ვ. ი. ზოგონიძე

# ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება (1804 წ.)

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა
პოლიტლიტერატურის სექტორი
თბილისი
1951

რედაქტორი [illegible]. ბერძნიშვილი
კორექტორი ა. ჯიჯღეიშვილი
კონტროლიორ-კორექტორი ვ. კუპრაშვილი
გამომშვები ვ. ჭიჭინაძე

---

გადაეცა წარმოებას 6/VII—1951, ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/IX—1951.
ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 11. უე 03877. შეკვეთის № 1007.
ტირაჟი 10000.

---

საქპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა. თბილისი,
ორჯონიკიძის ქ. № 50.
1-я типография Грузполиграфиздата. Тбилиси,

## რედაქტორისაგან

ვარლამ იაკობის-ძე ტოგონიძის წინამდებარე შრომა — «ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება (1804 წ.)» — იმავე საკითხს არკვევს, რომელსაც ამ სამოციოდე წლის წინათ აშუქებდა ა. თ. ფრონელი—ყიფშიძე (1862—1916) თავის წიგნში «მთიულეთი 1804 წელსა».

მეტად საგულისხმოა და ხაზგასასმელი, რომ ალ. ფრონელი თავის ნაწარმოებს ქვესათაურად აწერს «ისტორიული ამბავი»-ო, ხოლო შრომის ბოლოში პირდაპირ აცხადებს: «ვათავებთ საქართველოში აღრეულობის ამბავს 1804 წელსა და ძველთა რომაელთა მიხედვით ვიტყვით ჩვენც: **feci quod potui**. ვიტყვით აგრეთვე, რომ ჩვენ არც მოცალეობა და არც განზრახვა გვქონია მეცნიერულად გამოგვეკვლია საგანი ამ ისტორიული ამბისა»-ო (თბილისი, 1896, გვ. 357). აქედან ნათლად ჩანს, რომ «მთიულეთი 1804 წელსა» ავტორისავე შეხედულებით და შეფასებით მეცნიერული გამოკვლევა კი არ იყო, არამედ წარმოადგენდა პოპულარულად მონათხრობ ისტორიულ ამბავს.

წინამდებარე შრომა კი მეცნიერული ნარკვევია.

ხაზგასასმელია ისიც, რომ «ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება» აგებულია მარქსისტული მეთოდოლოგიის პრინციპების მიხედვით, რაც, რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ ახასიათებს მის წინამორბედ შრომას. მარტო ეს, სხვა ღირსებასაც

რომ თავი დავანებოთ, კმარა იმისათვის, რომ საჭიროდ მივიჩნიოთ ვ. ტოგონიძის ნარკვევის გამოქვეყნება და აღვიაროთ მისი უეჭველი ღირებულება მკითხველი საზოგადოებისათვის.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ავტორი კარგა ხანს მოღვაწეობდა ხელმძღვანელი მუშაკის თანამდებობაზე სწორედ იმ რაიონში, სადაც წარსული საუკუნის დამდეგ წლებში აჯანყების დროშა ააფრიალა თავისი მწარე ყოფით შეწუხებულმა მოსახლეობამ. მუშაობის ხასიათი ხელს უწყობდა ავტორს კარგად გაცნობოდა კერძოდ იმ ადგილებსაც, სადაც აჯანყება ბობოქრობდა. უთუოდ აქ მუშაობამ აღუძრა კიდეც ჩვენს ავტორს ინტერესი შიდა ქართლის მთიანეთის გლეხობის მასობრივ გამოსვლისადმი, ხოლო რაიონის ტოპოგრაფიის საფუძვლიანმა ცოდნამ საშუალება მისცა მას თავის შრომაში დაესახა აჯანყებული გლეხობის ცალკეული დაჯგუფებანი და წარმოედგინა ამ დაჯგუფებათა პუნქტების (ხევი, ციხისძირი, ლომისა) სტრატეგიული რაობის სურათიც.

შრომის ავკარგიანობაზე საუბარი მიუდგომელი კრიტიკის საგანს შეადგენს და ამიტომ აქ იგი უადგილოა. მაინც საჭიროდ მიგვაჩნია ნარკვევის ზოგიერთ მომენტზე შევჩერდეთ.

დავიწყოთ პირველი თავით, სადაც ჩვენს ავტორს ვრცლად აქვს განხილული ქართლ-კახეთის პოლიტიკური ვითარება იმ დროისა, როცა ქართული სახელმწიფო წყობილება ისტორიას ბარდებოდა და მის ნაცვლად ახალი, თუმც უცხო, წყობილება მყარდებოდა. ქართლ-კახეთის შინააშლილობა, დაუცხრომელი ქიშპი სამეფო გვარეულობის წევრთა შორის, ფეოდალების დას-დასად დაყოფა, ქვეყნის სასიცოცხლო ძალების დაძაბუნება, გართულებული საგარეო სიტუაცია და მუდმივი საფრთხე გარეშე მტრის შემოსევისა და მისგან აკლება-აოხრებისა — ყოველივე ეს ხანგადასულ ფეოდალურ სამეფოს გამოუვალ ჩიხს უქმნიდა; ერთი სიტყვით, «საქართველოს წინაშე მაშინ ალტერნატივა იდგა — მას შაჰის სპარსეთი ან სულტანის ოსმალეთი დაიპყრობდა, ან იგი უნდა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ შესულიყო... მეორე პერსპექტივა მაინც უმცირესი ბოროტება იყო». ჩვენი მთავრობის კომისიის ჟიურის დადგენილების აი ეს მართებული დებულება წითელი

ზოლივით გასდევს წინამდებარე შრომის მთელ პირველ თავს. აქ დასახელებული ფაქტებიც ჩვენში იმპერიალისტური რუსეთის დამყარების დროისა (ქართული ენის განდევნა-ამოგდება ხმარებიდან, გაჭიანურებული ფორმალისტური სასამართლო, უცხო დაწესებულებანი, კაპიტან-ისპრავნიკების თავგასულობა და მისთანა სხვა) მხოლოდ ილუსტრაციას წარმოადგენენ «უმცირესი ბოროტებისას». ამასთან ერთად ჩვენი ავტორი ხაზს უსვამს რუსეთთან შეერთების დადებით მხარეებსაც: ქართველობამ ფიზიკური არსებობა შეინარჩუნა, სპარსეთ-ოსმალეთისაგან დაპყრობა-გადაგვარების საფრთხე თავიდან აირიდა, ლეკთა თარეში აილაგმა, დამყარებული მშვიდობიანობის პირობებში ხალხი კულტურულ-ეკონომიური წარმატების გზას დაადგა და, ბოლოს, XIX საუკუნის მეორე ნახევარში მანამდე ცალკე ტომებად დაქსაქსული უკვე გაერთიანდა და ჩამოყალიბდა როგორც ერი.

მეორე თავში ავტორს სამართლიანად აქვს ყურადღება გამახვილებული ეკონომიურ მომენტზე: აქ იგი გაკვრით გვაცნობს საერთოდ ქართველი გლეხობის მდგომარეობას XVIII—XIX სს. მიჯნაზე და შემდეგ მიმოიხილავს თემატურად საინტერესო რაიონის (შიდა ქართლის მთიანეთის) პოლიტიკურსა და ეკონომიურ ვითარებას. მთიანეთის ეკონომიკის მიმოხილვისას ავტორს მარჯვედ აქვს გახსენებული XVIII საუკუნის საისტორიო საბუთები, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ საქართველოს სამხედრო გზაზე სავაჭრო მიმოსვლა, მეფე თეიმურაზ II-ის სიტყვით, «არას დროსა და ჟამს არა ქნილიყო» «ორისავ ტახტისა და სამეფოს გაერთებამდე», ე. ი. 1744 წლამდე, «ამჟამად კი (იგულისხმება 1750 წ. 24 იანვარი, როცა «შეწირულობის წიგნია» სვეტიცხოვლისადმი ბოძებული) ოსეთის გზით ქარავანმან იწყო სიარული». საგულისხმოა ისიც, რომ 1770-იან წლებში ირაკლი II-ეს ამ «ოსეთის გზით» მომავალ საქონელზე ბაჟი მოუმატებია (თუმანზე ხუთი შაური ანუ 2,5%), რაც უდავოდ მოწმობს სავაჭრო მიმოსვლის გაცხოველებას.

ზემორე ეკონომიური მიმოხილვა ჩვენს ავტორს, მართალია, დამყარებული აქვს 1827 წლის, ე. ი. უფრო გვიანდელი

დროის, საბუთზე — მთის მმართველის ჭილაშვილის მოხსენებაზე, მაგრამ ეს მეთოდოლოგიური წესის დარღვევად არ ჩაითვლება: მთის ეკონომიკა, მაშინ ბევრად დამოკიდებული გეოგრაფიულ პირობებზე, 1804 წლის მერეც კარგა ხანს, თითქმის ოქტომბრის რევოლუციამდე, არ შეცვლილა, მით უმეტეს იგი ნაკლებად შეიცვლებოდა 1827 წლამდე, როცა ჭილაშვილი უდგენდა მთავრობას თავის მოხსენება-აღწერას.

მესამე და უკანასკნელი თავი, რვა პარაგრაფად დაყოფილი, უკვე თვითონ აჯანყებას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხება. ავტორს არ იტაცებს საბრძოლო ოპერაციათა დაწვრილებითი აღწერა და ამიტომაცაა, რომ ნარკვევში მცირე ადგილს უთმობს «აჯანყების მსვლელობას». მას უფრო მნიშვნელოვანი საკითხები აინტერესებს: რა იყო აჯანყების მიზეზი ან უშუალო საბაბი იმისა, რომ მთის ხალხმა იარაღი აღმართა ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ? ვინ იყვნენ აჯანყების მეთაურები? სად, რომელ პუნქტებში იყრიდნენ თავს აჯანყებულნი? რატომ სწორედ ხევში, ციხისძირსა თუ ლომისაში და არა სხვა ადგილებში? რა და რა ეტაპები განვლო ამ მოძრაობამ? და უნდა ითქვას, რომ აი ეს და მისთანა სხვა საკითხები, 1804 წლის აჯანყებასთან რომაა გადაჭდობილი და ნარკვევშია აღძრული, ავტორს კარგად აქვს გარკვეული.

ყველა მათგანზე შეჩერება არაა საჭირო, რადგან მეტწილად ეს იქნებოდა ავტორის ნათქვამის გამეორება, მაგრამ ზოგიერთზე კი ყურადღების გამახვილება მკითხველს გაუადვილებს შრომის ავკარგიანობის შეფასებას.

ავიღოთ თუნდაც საკითხი: ვინ იყვნენ აჯანყების მეთაურები? ეს უმნიშვნელო საკითხი როდია, უბრალო ცნობისმოყვარეობით წამოჭრილი. თუ გავეცნობით მათ ვინაობას, ჩავუკვირდებით მათ გვარებს, დავინახავთ, რომ ის რვა პიროვნება, რომელთაც ასახელებს ჩვენი ავტორი (ლევან ნაზღაიძე, შიო ბურდული, სამუკა ამირიძე და სხვანი), ხალხის წრიდან არის გამოსული. ყველა ესენი დღეს უჩინარნი და დავიწყებულნი არიან. ისტორიკოსის ინტერესი ამათ მიმართ პირველად ამხ. ვ. ტოგონიძის შრომაშია აღძრული. ამ რვა კაცის

სახელის ისტორიის არეში მოქცევა კი იმ მხრივაა ყურადსაღები, რომ — ჩვენი ავტორის სიტყვისა არ იყოს — «წმინდა ხალხურ ხასიათს აძლევს მთიანეთის აჯანყებას თუნდაც მარტო იმ დრომდე, სანამ მას სათავეში ჩაუდგებოდა ფარნაოზ ბატონიშვილი» (გვ. 86). ავტორის სასაყვედუროდ მარტო ის-ღა შეიძლება ითქვას, რომ ამ რვა უჩინარი ადამიანის ბიოგრაფიული დეტალები არ შეაგროვა, რის საშუალება მას უთუოდ ჰქონდა, როგორც ადგილობრივად მომუშავეს.

ასევე ყურადსაღებია მესამე თავში ის პარაგრაფები, სადაც ავტორი არკვევს ხევის, ციხისძირისა და ლომისის სტრატეგიულ მნიშვნელობას, მაგრამ ამაზე დასაწყისში უკვე ითქვა და გამეორება ზედმეტია.

მნიშვნელოვანია აგრეთვე «აჯანყების ზოგადი მიმოხილვა», სადაც აჯანყების მარქსისტულ შეფასებასთან ერთად მოცემულია მისი პერიოდიზაცია, დაყოფა ოთხ ეტაპად და თითოეული მათგანის ნიშნობლივი დახასიათება.

დასასრულ, ინტერესით აღსავსეა ის ორი დღემდე გამოუქვეყნებელი დოკუმენტი, რომელნიც შრომას ბოლოში აქვს დართული და რომელთა შეფასებას ავტორი გვაძლევს 133—140 გვერდებზე. არ დავმალავთ, პირველი დოკუმენტის ღირებულება ამომწურავად არაა მოცემული: ის წვრილმანები, რომელთაც ავტორი ასახელებს დოკუმენტის შეფასებისას (გვ. 134—135), მკვლევრისათვის ცნობილი იყო «აქტების» II ტომში მოთავსებული საბუთებითაც (№ 1690, გვ. 822 და № 676, გვ. 336). რაც შეეხება მეორე დოკუმენტს, მისი ღირებულება კი მეტნაკლები სისრულით არის ნარკვევში წარმოდგენილი. ალბათ ეს დოკუმენტია («список») ის «უწყისი», რომელსაც იხსენიებს სახელმწიფო საბჭო თავის 1806 წ. 31 დეკემბრის დადგენილებაში: «В третьей ведомости означен 306 человек, замешанных по весьма маловажным делам и находившихся под следствием комиссии по одним только подозрениям, почему все они комиссиею уже освобождены и отпущены в их дома» (Архив Государ. Совета, т. II, ч. II. СПБ, 1878, стр. 1022). ოღონდ საფიქრებელია, რომ რუსეთ-

ში გაგზავნილი სია-უწყისი უფრო წესიერი ნუმერაციით იყო შედგენილი, რადგან საბჭო იხსენიებს 306 კაცს და არა 262-ს, როგორც წინამდებარე დოკუმენტშია. ხსენებულ სიებთან ერთად ჩვენ ვიცნობთ სხვა სიებსაც, რომელთა გათვალისწინება უფრო დააზუსტებდა მკითხველის წარმოდგენას. იმათთან შეჯერება გვიჩვენებს, რომ ამ სიაში შეტანილი არიან მიცვალებულნიც, რასაც, სხვათა შორის, არც საგამომძიებლო კომისია მალავს (АКАК. т. III, № 4, стр. 9), გაქცეულებიც, თავდებობით გაშვებულნიც,—წარმოიდგინეთ,—სიაში ერთი ისეთი პირიც კია ორჯერ დასახელებული (№№ 47,68—გლახა ჭილაძე, ბაბანას შვილი), რომელიც, პირიქით, სხვას დაუდგა თავდებად. მაგრამ კორექტივები, ჩვენს სიებს რომ შეაქვთ, ოდნავადაც არ ცვლიან იმ შეფასებას, რომელსაც ავტორი აძლევს ხსენებულ დოკუმენტს: იგი შედგენილია უპასუხისმგებლოდ, დაუდევრად.

ბოლოს, ვუსურვებთ ჩვენს ავტორს, ის მასალა, — შიდა ქართლის მთიანეთის 1804 წლის აჯანყების ირგვლივ რომ მოიპოვება საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში და, უეჭველია, რუსეთის არქივებშიც,—თავისი ნაშრომის შევსება-სრულყოფის მიზნით მომავალში გამოიყენოს უფრო ფართო მასშტაბით და მეტი სიღრმით.

მაქს. ბერძნიშვილი

1951. V. 13.

## წინასიტყვაობა

ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება (1804 წ.) უყურადღებოდ არ ყოფილა დატოვებული. ბევრი მკვლევარი გაკვრით თუ სპეციალურად შეხებია ამ საკითხს; არსებობს სპეციალური შრომაც ალ. ფრონელისა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება დღემდე ჯეროვნად არ ყოფილა შესწავლილი და შეფასებული. ამიტომ, ვფიქრობთ, ჩვენი წამოწყება დროულიც უნდა იყოს და გამართლებულიც.

ნაშრომში მოცემულია, ერთი მხრივ, დღემდე ცნობილი მასალების ახლებურად გააზრების ცდა, ხოლო, მეორე მხრივ, მოპოვებულია არა ერთი საარქივო მასალა, რომელიც დღემდე გამოყენებული არ ყოფილა.

სანამ უშუალოდ აჯანყების საკითხებს შევეხებოდით, საჭიროდ დავინახეთ მოგვეცა იმ ახალი მოვლენების ვრცელი მიმოხილვა, რომელთაც ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოში ჩვენთვის საინტერესო აჯანყების წინა პერიოდში, ვინაიდან, ჩვენი აზრით, აჯანყების გამომწვევი მიზეზები ფესვებგადგმულია სწორედ ამ მოვლენებში.

ამიტომაც არის, რომ შრომის პირველ თავში საუბარი გვაქვს აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე და ვცდილობთ სათანადო შეფასება მივცეთ რუსეთთან საქართველოს შეერთების ფაქტს. ცხადია, ამ საკითხის გაშუ-

ქების დროს ჩვენი ამოსავალი წერტილი იყო მთავრობის კომისიის ჟიურის ცნობილ დადგენილებაში მოცემული ის სახელმძღვანელო მითითება, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთება უმცირეს ბოროტებას წარმოადგენდა მაშინდელ ვითარებაში. ამავე თავში მოცემულია ამ საკითხზე არსებული ლიტერატურის მიმოხილვა.

შრომის მეორე თავში განხილულია ქართლის მთიანეთის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის საკითხები. აქ ვარკვევთ მთიანეთის მეურნეობის ხასიათს, ვაჭრობ-ხელოსნობას, საგადასახადო ნორმებს; აქვე დახასიათებული გვაქვს საქართველოს სამხედრო გზის მნიშვნელობა და ის ბეგარა-გადასახადები, რომლებიც უშუალოდ ამ გზასთან იყო დაკავშირებული საქართველოში ცარიზმის დამკვიდრების პირველ დღეებიდანვე და რომლებიც უშუალო მიზეზი შეიქნა მთიანეთის აჯანყებისა. ამავე თავში საუბარი გვაქვს მმართველობის ახლად დამყარებულ ფორმებზე.

შრომის მესამე თავში, რომელიც დაყოფილია ცალკე ქვეთავებად, გაშუქებულია თვით აჯანყების ისტორია. აჯანყების შესახებ არსებულ მასალათა შესწავლა-დამუშავებამ ჩვენთვის ნათელი გახადა, რომ 1804 წლის ქართლის მთიანეთის გლეხთა პირველი მასობრივი აჯანყების მიზეზი იყო, ერთი მხრივ, ცარიზმის მძიმე კოლონიური რეჟიმი და, მეორე მხრივ, ფეოდალების მიერ გლეხთა უსაზღვრო ექსპლოატაცია. ამდენად ეს წინააღმდეგ იყო მიმართული, არამედ ადგილობრივი ფეოდალების წინააღმდეგაც.

ამ თავში ვიხილავთ აჯანყების მსვლელობას, ბრძოლის მეთოდებს, ვადგენთ და გარკვეულ შეფასებას ვაძლევთ აჯანყების პერიოდიზაციას და აჯანყების მთავარ სამოქმედო უბნებს. ირკვევა, რომ აჯანყების უშუალო ხელმძღვანელები თვით გლეხთა წრიდან იყვნენ გამოსულნი (შ. ბურდული, ლ. ნაზღაიძე, ს. ამირიძე და სხვ.). მართალია, აჯანყებულნი თავიანთ იდეურ ხელმძღვანელებად ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ბატონიშვილებს: იულონს, ფარნაოზს და ალექსანდრეს ასახელებდნენ, მაგრამ თუ აჯანყების მსვლელობას დავუკვირდებით,

დასახელებულმა ბატონიშვილებმა აჯანყებას მაინცა და მაინც დიდი იდეური ხელმძღვანელობა ვერ გაუწიეს, რადგან, როგორც ცნობილია, ალექსანდრე სპარსეთს იყო გადახვეწილი, იულონი ადრევე შეიპყრეს, ხოლო ფარნაოზი აჯანყებულებთან მაშინ მივიდა, როცა აჯანყება უკვე განწირული იყო.

აჯანყებული გლეხები თავიანთ პროპაგანდისტებს გზავნიდნენ ქართლის მთიანეთის სხვადასხვა ხეობაში და მცხოვრებლებს აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ. პროპაგანდისტები განუმარტავდნენ მოსახლეობას მის გაჭირვებულ მდგომარეობას. ასეთი მუშაობის შედეგად აჯანყებულთა რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა.

აჯანყების მსვლელობაში აჯანყებულთა მოქმედების სამი ძირითადი კვანძი შეიქმნა: ხევი (ყაზბეგი), ლომისა და ციხისძირი. უნდა ვიფიქროთ, რომ სამივე ეს დაჯგუფება ერთი სტრატეგიული გეგმით მოქმედებდა, ხოლო ძირითადი ამოცანები თითოეულ მათგანს ცალკე ჰქონდა განსაზღვრული. ციხისძირის დაჯგუფება ანანურზე მიიტანდა იერიშს, ლომისის დაჯგუფება ქართლის საკომუნიკაციო ხაზებს დაიკავებდა, ხოლო ხევის დაჯგუფება იმიერიდან, ე. ი. ჩრდილოეთიდან, მომდინარე გზებს ჩაკეტავდა.

ამასთანავე მესამე თავშივე შესაძლებელი გახდა დაგვედგინა აჯანყების განვითარების ოთხი ძირითადი პერიოდი.

პირველი პერიოდი იწყება მაისის დამლევიდან და გრძელდება ივნისის ბოლო რიცხვებამდე. ამ პერიოდში აჯანყებულები ჰქმნიან თავდაცვით სიმაგრეებს, ეწევიან პროპაგანდას სხვადასხვა ხეობის მცხოვრებთა შორის, ზრდიან თავიანთ რიგებს, ხელოვნურ დაბრკოლებებს უქმნიან ჯარის ნაწილებს, ჰფუშავენ ამ ნაწილებს შორის კავშირს. ამ პერიოდში მოწინააღმდეგეთა შორის შეტაკებები შემთხვევითი ხასიათისაა.

მეორე პერიოდი იწყება ივნისის დამლევიდან და გრძელდება აგვისტოს ბოლო რიცხვებამდე; იგი წარმოადგენს აჯანყების აღმავლობის პერიოდს. აჯანყებულები სპობენ მოწინააღმდეგის, ე. ი. ცარიზმის სამხედრო ძალთა განლაგებას ხევსა და ლომისაში და მოქმედება გადმოაქვთ მთის ძირში. ეს პერიოდი მთავრდება აჯანყებულთა მიერ დუშეთის აღებით.

მესამე პერიოდი იწყება აგვისტოს ბოლო რიცხვებიდან და გრძელდება სექტემბრის ბოლო რიცხვებამდე. აჯანყებულები ინარჩუნებენ დაკავებულ ადგილებს და თავდაცვაზე გადადიან.

მეოთხე პერიოდი იწყება სექტემბრის ბოლო რიცხვებიდან და გრძელდება ოქტომბრის ბოლომდე. ეს პერიოდი აჯანყების დამარცხების პერიოდია. ცარიზმი მაშველ ჯარებს გზავნის «კავკასიის ხაზიდან», ციციანოვი შლის ერევნის ექსპედიციას და საქართველოში ბრუნდება. უპირატესობა ამიერიდან მთავრობის მხარეზეა. აჯანყება მარცხდება.

როგორც გლეხთა ყველა აჯანყება, ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყებაც (1804 წ.) თავიდანვე განწირული იყო, მაგრამ თავისუფლების მოყვარე მთიელი ხალხი მეფის მთავრობის მკაცრმა ზომებმა ვერ გატეხა, მთიელები შემდეგაც მედგრად ებრძოდნენ უსამართლობას და ეს ბრძოლები ხშირად წარმატებითაც მთავრდებოდა.

## თავი პირველი

# აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა XIX საუკუნის დამდეგს

რუსეთთან საქართველოს «შეერთების» შემდეგ საქართველოს ცალკეულ ნაწილებში ვხედავთ გლეხთა არა ერთ აჯანყებას. ეს აჯანყებები, ერთი მხრივ, მიმართული იყო ცარიზმისა და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, ხოლო, მეორე მხრივ, ადგილობრივი ფეოდალებისა და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. [1]

რადგან ამ აჯანყებათა დროს გლეხობა მედგრად იბრძოდა კერძოდ ახალი რეჟიმის ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სანამ ძირითად თემას — ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყებას (1804 წ.) — განვიხილავდეთ, შევჩერდეთ თვით ამ «ახალ რეჟიმზე», გავარკვიოთ, თუ რა პირობებში მოხდა რუსეთთან საქართველოს «შეერთება» და როგორი იყო შეერთების პირველი შედეგები, რომლებმაც გამოიწვიეს კერძოდ 1804 წლის აჯანყება ქართლის მთიანეთში.

1798 წლის 11 (22) იანვარს გარდაიცვალა 78 წლის ასაკში გადამდგარი ერეკლე მეორე, «ქვეყნის თავდადებული მოამაგე, დიდი სახელმწიფო მოღვაწე, ბრწყინვალე სარდალი და თავის დროის მოწინავე კაცი» [2].

---

1 ზ. ჩხეტია, გლეხთა აჯანყება დაღესტანში 1871 წელს. საქართველოს სსრ საარქივო სამმართველოს «საისტორიო მოამბე», 1946, ტ. I, გვ. 363.

[2] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, თბილისი, 1950, გვ. 421.

«ერეკლეს მრავალი შვილი ჰყავდა. უფროსი, ტახტის მემკვიდრე გიორგი, სხვა დედის შვილი იყო, დანარჩენნი კიდევ დარეჯან დედოფლისანი იყვნენ. ძმებს შორის უთანხმოება სუფევდა: თითოეულ ბატონიშვილს თავისი თავადების ჯგუფი ჰყავდა და ხელმწიფობას იჩემებდა. 1791 და 1792 წლები რეაქციის ზეიმი იყო. დარეჯანმა და მისმა შვილებმა მოხუც მეფეს ორი კანონი გამოგლიჯეს ხელიდან, ტახტის მემკვიდრეობისა და საუფლისწულოების შესახებ. პირველი კანონით ერეკლემ ტახტის მემკვიდრეობის წესი შეცვალა. ამიერიდან სამეფო ტახტი მამიდან შვილზე კი არ უნდა გადასულიყო, არამედ გვარში უფროსს უნდა სჭეროდა. ეს კანონი ნახევრად ნატყუარ-ნაძალადევი იყო, და ერეკლემ ხელმოწერის უმალვე უარყო ის. სამაგიეროდ, დარჩა მეორე კანონი: თითოეულ უფლისწულს მეფემ 1003 კომლი ყმა მისცა (ასეთი უფლისწული 5 იყო), ხოლო მემკვიდრე გიორგის — 4.000 კომლი. ამდენი შრომითა და ბრძოლით შექმნილი სამეფო ქონება ამიერიდან კიდევ უფრო რეაქციული ფეოდალების ხელში ექცეოდა, ვიდრე თავადები იყვნენ. თავის საუფლისწულოებში ბატონიშვილებს თავი ხელმწიფეებად მოჰქონდათ. ესენი იქცნენ ამიერიდან თავადური რეაქციის ბურჯებად» [1].

ამავე დროს საქართველოს სამეფო საგვარეულო მეტად მრავალრიცხოვანი იყო [2].

ერეკლემ თავის ანდერძში ტახტის მემკვიდრეობის საკითხი იმგვარად გადაწყვიტა, რომ მის მემკვიდრედ საქართველოს სამეფო ტახტზე უნდა ყოფილიყო მისი უფროსი ვაჟი გიორგი, ხოლო მის შემდეგ იმეფებდნენ არა გიორგის მემკვიდრენი, არამედ მისი ძმები — ერეკლეს მესამე ცოლის, დარეჯანის, შვილები, დაწყებული უფროსი ვაჟით იულონით.

ერეკლე II-ის სიკვდილის შემდეგ 1798 წელს ქართლ-კახეთის ტახტზე ავიდა მისი სნეული შვილი გიორგი XII. ახლა

---

1 იქვე, გვ. 415 — 416.

2 Акты, изданные Кавказской Археографической Комиссией (შემდეგში მოკლედ: АКАК). т. I, № 161, стр. 199 — 200; П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, ч. II, СПБ., 1869. стр. 438.

საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხებს გარდა, მას თავი უნდა გაერთმია ბატონიშვილების პოლიტიკური ჰიდალისათვის.

ერეკლეს გარდაცვალებიდან სამი კვირის შემდეგ ბატონიშვილები, ალექსანდრეს გარდა, თელავში შეიკრიბნენ და გიორგის ქვეშევრდომობის ფიცი გაუგზავნეს. ქართლის, ყაზახისა და ბორჩალოს თავადებმა უსიტყვოდ შეჰფიცეს მას ერთგულება, ხოლო ალექსანდრე ბატონიშვილთან მაშინვე დაიწყო შინაომი[1]. ბატონიშვილებმა გიორგის შეჰფიცეს იმ პირობით, რომ მას ტახტის მემკვიდრედ უნდა ეღიარებინა იულონი და ეკლესიებში დარეჯან დედოფლის სახელი მოხსენიებული ყოფილიყო მეფის სახელზე ადრე[2].

«თავისი ურჩი ძმების შემორიგების მიზნით გიორგი მალე იძულებული შეიქნა დაემტკიცებინა 1791 წელს დარეჯან დედოფლის თაოსნობით შედგენილი ტახტის მემკვიდრეობის ის წესი, რომლის უკანონობა თვით ერეკლემ დაუდასტურა ამავე გიორგის»[3].

1798 წლის აპრილში გარსევან ჭავჭავაძემ, ქართველი მეფის დესპანმა რუსეთის სამეფო კარზე, თანახმად 1783 წლის ხელშეკრულების მე-3 მუხლისა, საგარეო საქმეთა კოლეგიას ოფიციალურად აცნობა გიორგის ტახტზე ასვლა და ითხოვა მისი მეფედ დამტკიცება; როგორც სიგელში იყო აღნიშნული, სამეფო ინვესტიტურა — დროშა ღერბით, ხმალი, სამბრძანებლო კვერთხი და მანტია ყარყუმის ბეწვით საქართველოს მეფისათვის რუსეთის იმპერატორს უნდა გამოეგზავნა.

«საქართველოს საგარეო მდგომარეობა ამ დროს მეტად გართულებული იყო. თუ ერეკლემ ვერ ალაგმა შინაური მეამბოხენი და მოხუცებაში მყოფმა ვერ შეიმაგრა ოსმალ-სპარს-

---

1 П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, СПБ, 1869, ч, II, стр. 439, гл. 243.

2 П. Г. Бутков, Материалы... ч. II, стр. 439, гл, 244.

3 ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, გვ. 421.

ნი, მეფე გიორგი სრულიად უძლური იყო ამ დიდი საქმისათვის»[1].

მოკლული აღა-მაჰმად-ხანის ადგილზე შაჰის ტახტზე ასულმა ბაბახანმა, რომელმაც ამ დროს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ხანების დასამორჩილებლად გაილაშქრა, გიორგი XII-საც გაუგზავნა ფირმანი, რომლითაც საქართველოს მიმართ სუზერენობის პრეტენზიას აცხადებდა. «რადგან საქართველო, — სწერდა იგი, — საუკეთესო სამფლობელოა აზერბაიჯანში, რომელიც სპარსეთის ხელქვეითია, ამიტომ მოვითხოვ გამოგზავნო ერთ-ერთი შენი ვაჟი სპარსეთის სამსახურში მუდმივად ჩემთან სამყოფად. მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლებათ ქართველებს იყვნენ ისეთ მშვიდობაში, როგორიც მათ სურთ»[2].

გიორგი მეფის მდგომარეობა ამ დროს საკმაოდ მძიმე იყო: მას პეტერბურგიდან ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული მეფედ დამტკიცების ცნობა, დარეჯან დედოფლის პარტიის ზეგავლენაც მცირე არ იყო; თვითონ გიორგიც, რაკი წარსულშიც საქართველოს არა ერთხელ გაუცრუვდა იმედი რუსეთისაგან რეალური დახმარებისა, სკეპტიკურად უყურებდა ცარიზმის ფაქტიური დახმარების შესაძლებლობას; გარდა ამისა, სამეფოს საზღვართან უკვე ახლო იყო ბაბახანი. ყოველივე ამის გამო გიორგი მეფემ გადაწყვიტა გამოეყენებინა დიპლომატიური ხერხი: ბაბახანს გაუგზავნა თავისი სიმამრი თავადი გიორგი ციციშვილი და თან გაატანა ძვირფასი საჩუქრები (6000 მანეთად ღირებული)[3].

საქართველო საფრთხეში იყო. თურქეთი, მიუხედავად რუსეთთან დადებული იასის ტრაქტატისა, განაგრძობდა კავშირს დაღესტნის ხანებთან. ბაბახანსაც არაფერი უშლიდა ხელს ეგზავნა საქართველოში მუქარის ფირმანები.

ასეთ პირობებში აუცილებელი იყო ანგარიში გასწეოდა თურქეთს; გიორგიც მხედველობაში იღებდა იმას, რომ თურ-

---

[1] ა ლ. ფ რ ო ნ ე ლ ი, მოწინავე წერილი, «ივერია», 1894 წ. № 13.

[2] Н. Дубровин, Георгий XII, последний царь Грузии и присоединение ее к России. Изд. 2-ое, СПБ, 1897, стр. 116 — 117.

[3] Бутков, Материалы... ч. II, стр. 445, гл. 247.

ქეთს შეეძლო რეალური დახმარება გაეწია ბაბახანის წინააღმდეგ და ამის გამო ის თურქეთთან ერთგვარ მოლაპარაკებასაც აპირებდა: თავისი ქვისლის ასლან ორბელიანის ხელით მან თურქეთის სულთანს გაუგზავნა ოფიციალური თხოვნა. მაგრამ ამ დროს პეტერბურგიდან მისი ვაჟიშვილის დავით ბატონიშვილის (რუსეთის სამსახურის გენერლის) ჩამოსვლამ და მის მიერ ჩამოტანილმა ცნობამ, რომ პავლე I მოწყალებით მზრუნველობას იჩენს საქართველოზეო, გიორგი აიძულა დესპანი ახალციხიდან დაებრუნებინა [1].

როგორც ამ მასალებიდან ჩანს, საგარეო ურთიერთობა თუ საშინაო ამბები მეტად გართულებული იყო. «საქართველოს წინაშე მაშინ ალტერნატივი იდგა — მას შაჰის სპარსეთი ან სულტანის ოსმალეთი დაიპყრობდა, ან იგი უნდა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ შესულიყო... მეორე პერსპექტივა მაინც უმცირესი ბოროტება იყო» [2]. ამიტომაც იყო, რომ «1800-იან წლებისათვის ქართლ-კახეთის ფეოდალურ საზოგადოებას საგარეო ორიენტაციის საკითხში მეტი გარკვეულობა ეტყობოდა, ვიდრე ათიოდე წლის წინ. ამ დროისათვის უკვე შექმნილი იყო ქვეყნის რუსეთისადმი უშუალოდ დამორჩილების მომხრეთა მცირე დასი. ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობა რუსეთთან კავშირს ძველებურად 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე იცავდა. მესამენი — ესენი უმნიშვნელო და გავლენას მოკლებულ უმცირესობას შეადგენდნენ — რუსეთთან კავშირის წინააღმდეგ იყვნენ. ბატონების აღვირახსნილობით თავმოძულებული გლეხობა იმას მიემხრობოდა, ვინც ქვეყანაში მშვიდობიანობასა და სამართლიანობას დაამყარებდა, ვინც ბატონების მძლავრობას ალაგმავდა» [3].

---

[1] Бутков, Материалы... ч. II, стр. 446; Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, ч. III, стр. 230 (დამყარებულია პუშჩენის საქართველოს შემოერთების ისტორიულ მასალებისა და გიორგიევსკის არქივის დოკუმენტებზე).

[2] კრებული «К изучению истории», 1937, გვ. 38. მთავრობის კომისიის ჟიურის დადგენილებიდან.

[3] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 418.

პავლე I გიორგი XII-ს უგზავნის ბარათს (1798 წ. 30 ივლისს) და მისგანვე ღებულობს რესკრიპტს იმავე წლის 23 აგვისტოს თარიღით. ცარიზმი საქართველოს არწმუნებს თავის მფარველობაში. იმავე დროს პეტერბურგში ბაბახანის ელჩებს მითითება მიეცათ, რომ სპარსეთმა უარი სთქვას საქართველოსა და დაღესტნის მიმართ ყოველგვარი პრეტენზიის განცხადებაზე, ხოლო პორტასთან დაიწყო მოლაპარაკება მოკავშირეობისა და თავდაცვის ხელშეკრულების შესახებ, რომელიც დაგვირგვინდა 1798 წლის 28 დეკემბერს 8 წლის ვადით ურთიერთ თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადებით [1].

პეტერბურგში მყოფი საქართველოს მეფის სრულუფლებიანი წარმომადგენლებიც, როდესაც ცარიზმი პორტასთან კავშირის დადებას აპირებდა და ირანთან მიწერ-მოწერას აწარმოებდა, ხედავდნენ რუსეთის ცხოველ დაინტერესებას საქართველოთი. ამიტომ ისინი აქტიურად მოითხოვდნენ ტრაქტატით გათვალისწინებული პირობების შესრულებას. თავის 1798 წლის 11 ოქტომბრის თხოვნაში გიორგი XII სწერდა პავლე I-ს: «დაამტკიცეთ დავითი მემკვიდრედ და დამაიმედეთ დაპირებით, რომ ჩემს მემკვიდრეებს ექნებათ მუდმივი და ურყევი მეფობა საქართველოში, რომ სხვას არავის უფლება არ ექნება შეეხოს ჩემს საშინაო განკარგულებებს და როგორც თავადაზნაურებთან, ისე ყველა ქვეშევრდომთან საქმეს არ დაიჭერენ ჩემი საკუთარი სურვილის გარეშე» [2].

1799 წლის 23 თებერვალს გენერალ ლაზარევს ებრძანა ეგერთა 46-ე პოლკით საქართველოში წასვლა. იგი თბილისში

---

1 ხელშეკრულების დადების საბაბი იყო საფრანგეთის თავდასხმა ეგვიპტეზე, რის გამო თურქეთი იძულებული გახდა ეძია მოკავშირე რუსეთის სახით. ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლი გვაუწყებს, რომ ხელშეკრულების მონაწილე ორივე მხარე იძლევა ურთიერთ თავდებობას ყველა იმ მიწაზე, რომელსაც ისინი ფლობენ. ამგვარად, ირანის თავდასხმის შემთხვევაში თურქეთი უნდა გამოსულიყო რუსეთის მხარეზე.

2 **А. А. Цагарели**, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии, т. II, в. II, СПБ., 1902, стр. 189, д. № 163.

ჩამოვიდა 1799 წლის ნოემბრის ბოლოს. ამასთან ჯარის გამოგზავნის მიზანი ფორმულირებული იყო ამგვარად: «ჯარი იგზავნება მხოლოდ იმისათვის, რომ მეფე (გიორგი) იმყოფება რუსეთის იმპერიის უმაღლესი მფარველობის ქვეშ, რომ ჯარი ესე საკმარისი არ არის სპარსელებთან დასაპირისპირებლად, მაგრამ თუ ქართველები თავის მხრივ გააძლიერებენ მას, მაშინ შეიძლება საკმარისიც იქნეს» [1].

1799 წლის 18 თებერვალს გიორგი XII-ემ რუსეთიდან მიიღო სიგელი, სადაც ნათქვამი იყო: «1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე გიგზავნით გვირგვინს, ინვესტიტურის ნიშნებს, რომლებიც თქვენ გადმოგეცემათ ფიცის მიღების შემდეგ». ამავე დროს რუსეთის დესპანად საქართველოში დანიშნულ იქნა მეფის მოხელე კოვალენსკი.

კოვალენსკის საქმიანობისა და მოვალეობის შესახებ პავლე I საინსტრუქციო რესკრიპტში შემდეგს სწერდა: «ჩვენს ინტერესებში შედის, რათა ამ მხარეში (საქართველოში) არას დროს არ დამყარდეს რაიმე მტკიცე მფლობელობა შაჰის ან სხვისი სახელით, რომ ამგვარად არ ვიყოლიოთ ძლიერი მეზობელი, რომელიც ჩვენ თვითონ თუ არა, ყოველ შემთხვევაში ჩვენს ერთგულ მფლობელებს მაინც მიაყენებს ვნებას. ამიტომ საჭიროა თქვენ ყოველთვის გქონდეთ სარწმუნო ცნობები, თუ რა ხდება სპარსეთში» [2]. შემდეგ მითითებული იყო, რომ საჭიროა ვეცადოთ საქართველოს გადარჩენას დაღუპვისაგან, რომ აუცილებელია დარწმუნება როგორც ბაბახანისა, ისე სპარსეთის სხვა ხანებისა იმაში, რომ რუსეთს სურს მათთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარება, «რომ სპარსეთის ვაჭრობამ რუსეთში ნახოს მოგება და რომ სპარსეთის ქვეშევრდომნი ჩვენს ფარგლებში ჰპოვებენ მუდმივსა და ძლიერ მფარველობას» [3].

ამგვარად, აშკარა ხდება, რომ «საქართველოს გადარჩენა დაღუპვისაგან» ცარიზმს

---

1 დუბროვინი, ციტ. შრ. ტ. III (ნოტა კოვალენსკისადმი), გვ. 248.
2 АКАК, т. I, № 3, стр. 96.
3 АКАК, т. I, № 3, стр. 96.

ესმის, როგორც რუსეთის ინტერესების დაცვა აღმოსავლეთში. კოვალენსკის აგრეთვე დავალებული აქვს მუდმივ თვალყური ადევნოს მეფის საგვარეულოს. როგორც ჩანს, დესპანი აღჭურვილია ისეთი რწმუნებით, რომელიც აღემატება დიპლომატიური წარმომადგენლის ჩვეულებრივ უფლებებს. იგი უთვალთვალებს, თვალყურს ადევნებს, რათა არაფერი მოხდეს ცარიზმის ინტერესების საწინააღმდეგოდ. მოხელე კოვალენსკი «თბილისში მოემგზავრებოდა უკვე არა როგორც შუამავალი, არამედ როგორც გუბერნატორი ან ბატონ-პატრონი» [1].

1799 წლის დეკემბერს გიორგი მეფემ საზეიმოდ დასდო რუსეთის ტახტისადმი ერთგულების ფიცი. გიორგის თხოვნის თანახმად, პავლე I-მა მის მემკვიდრედ დაამტკიცა ბატონიშვილი დავითი. ამ გარემოებამ მეტად გაართულა გიორგის მდგომარეობა. «დავით გიორგის ძის ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებამ გიორგი მეფის ძმები ააჯანყა. ბატონიშვილები თავის საუფლისწულოებში ჩასხდნენ და მეფის ხელისუფლებას აღარ სცნობდნენ. დარეჯან დედოფალი თბილისში იჯდა და გიორგი მეფისადმი მტრობას დაუღალავად აღვივებდა. ალექსანდრე ბატონიშვილი (ერეკლეს ძე) ირანის შაჰთან გაიქცა. ბაბახანმა დიდი ხალისით იკისრა ერეკლეს შვილთა უფლების ცრუ ქომაგობა და კიდევ უფრო მეტი ენერგიით ცდილობდა ქართლ-კახეთის დამონებას» [2].

ცარიზმის მოხელე კოვალენსკი ბატონიშვილების ურთიერთ ბრძოლას ამჟამად რუსეთისათვის საზიანოდ მიიჩნევდა და ცდილობდა მათ შერიგებას, მაგრამ მან შედეგს ვერ მიაღწია. ალექსანდრე არ ცხრებოდა, ხოლო დარეჯან დედოფალმა, იულონ, ფარნაოზ და ვახტანგ ბატონიშვილებმა გადაწყვიტეს დაეტოვებინათ თბილისი და აშკარა ბრძოლა დაეწყოთ გიორგისთან.

---

1 გ. ხაჭაპურიძე. საქართველოს შეერთება მეფის რუსეთთან. გვ. 15.

2 ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1950 წ. გამოცემა, გვ. 422.

მხოლოდ გენერალ ლაზარევის მიერ დარეჯანის დაკავებამ ჩაშალა მოსალოდნელი სამოქალაქო ომის საფრთხე, რომლისაც ირანის ინტერვენცია მოჰყვებოდა. «ის (დარეჯანი) რომ წასულიყო, — სწერდა ლაზარევი კნორინგს, — ატეხდა აურზაურს, მაშინ იმერეთი, სპარსეთი და შინაური აჯანყებანი თავს დაატყდებოდა საცოდავ საქართველოს» [1].

საქართველოში ირანს ჰყავდა მნიშვნელოვანი რიცხვი თავისი მომხრეებისა არა მარტო სამეფო საგვარეულოში, არამედ ფეოდალ-დიდებულებს შორისაც. ამიტომ ირანს არ უნდოდა უბრძოლველად დაეთმო რუსეთისათვის თავისი პოზიციები საქართველოში. ბაბახანის ვეზირმა კოვალენსკის ნოტაზე რუსეთის მფარველობაში საქართველოს მიღების შესახებ უპასუხა: «იმ დროიდან, რაც მთელი დედამიწა გაიყო ოთხ ნაწილად, საქართველო, კახეთი, თბილისი მოექცა ირანის სახელმწიფოში და მათი მცხოვრებნი სპარსეთის წინა შაჰების დროს ყოველთვის ეკუთვნოდნენ მათ სამსახურით, მათი ბრძანებისამებრ იყვნენ მორჩილებაში. რუსეთის მფლობელობაში კი არასოდეს არ ყოფილან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მეფე ერეკლემ... განიზრახა ჩამოსცილებოდა თავის მუდმივ პატრონს და წასულიყო სპარსეთისათვის მტრული გზით. თქვენთვის, რასაკვირველია, უცნობი არ არის, თუ რა მიიღო მან სამაგიეროდ ასეთი საქციელისათვის» [2].

ალექსანდრე აბას-მირზას არწმუნებდა, რომ მას თავის სამშობლოში ჰყავს ძლიერი პარტია, რომელიც სიხარულით გადავა მის მხარეზე. აბას-მირზას ჯარი იდგა მდინარე არაქსის ნაპირას. იგი მარცხენა ნაპირზედაც კი გადმოვიდა. თბილისში შეიქმნა ქალაქის დაცვის კომიტეტი კოვალენსკის თავმჯდომარეობით. ქალაქში ვრცელდებოდა ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები და დადიოდა ხმები, რომ ამ უკანასკნელმა ბაბახანისაგან უკვე მიიღო ფირმანი, რომელშიც იგი მას პირ-

---

[1] დუბროვინი, გვ. 280.
[2] АКАК, т. I, стр. 581.

დებოდა დახმარებას, შველას და საქართველოს ტახტის მიმართ მისი უფლებების დაცვას [1].

გიორგის მდგომარეობა კრიტიკული იყო. ის უფრო ძნელდებოდა მით, რომ კოვალენსკი თავისი უტაქტობით, პატივმოყვარეობითა და ინტრიგებით ართულებდა მდგომარეობას. «ხალხისათვის უცხო, იგი ფიქრობდა დაემორჩილებინა გიორგი XII და მის სახელს ამოფარებულს თვითნებურად ემართა საქართველო» [2]. კოვალენსკიმ თავისი როლის შესრულება სავსებით შესძლო. გენერალი ლაზარევი გენერალ-ლეიტენანტ კნორინგს სწერდა: «საქართველოს ფაქტიურად უკვე განაგებს კოვალენსკი, რომელმაც სავსებით ხელში ჩაიგდო მეფე (გიორგი XII)» [3]. გიორგიმ მალე გამოარკვია კოვალენსკის საქმიანობა და მათ შორის უკმაყოფილება ჩამოვარდა.

შეშინებული ავადმყოფი გიორგი კოვალენსკის დაუკითხავად პეტერბურგში გზავნის ელჩებს (ჭავჭავაძეს, ავალიშვილს და ფალავანდიშვილს) და პავლე I-ს სთხოვს საქართველოს მიღებას რუსეთის სრულ ქვეშევრდომობაში. «შეშინებულმა ავადმყოფმა მეფემ ისევ რუსეთს მიმართა და ტრაქტატის შეცვლა ითხოვა. მეფე რუსეთის მთავრობას უფლებას აძლევდა ქართლ-კახეთის საშინაო საქმეები მოეწესრიგებინა, ოღონდ თავისთვის და თავისი ჩამომავლობისათვის მეფობის შენარჩუნებას მოითხოვდა» [4].

გიორგი ხედავდა სამშობლოსათვის მოსალოდნელ საფრთხეს; მის შეგნებაში არა ნაკლები სიმწვავით იდგა ის საფრთხეც, რომელიც მოელოდა მის მრავალრიცხოვან ოჯახს, მის მემკვიდრეობის უფლებებს სამოქალაქო ომისა და ირანის ორიენტაციის პარტიის გამარჯვების შემთხვევაში.

1800 წლის 15 ნოემბრის რესკრიპტში, საქართველოს საელჩოს ფორმალური პეტიციის მიღებამდე ორი დღით ად-

---

1 ლაზარევის პატაკი კნორინგისადმი, 1800 წ. 31/VIII. დუბროვინი, გვ. 306—308.

2 დუბროვინი, გვ. 260.

3 AKAK, ტ. I, გვ. 932; ციტირებულია გ. ხაჭაპურიძის წერილით, გვ. 15.

4 ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 422.

რე, პავლე I კნორინგს სწერს: «საქართველოს მეფემ გიორგი ერეკლეს-ძემ, რაკი ხედავს, რომ სახელმწიფო საშიშ მდგომარეობაშია როგორც გარეშე მტრისაგან, იმდენადვე — და შესაძლებელია უფრო მეტადაც — მის საკუთარ ოჯახში ამტყდარი შუღლის გამო, რაც გამოწვეულია ტახტის მემკვიდრის დანიშვნით, აქ მყოფ თავის საელჩოს დაავალა გამოგვიცხადოს სურვილი იხილოს საქართველოს მიწა-წყალი ჩვენს უშუალო ქვეშევრდომობაში» [1].

თვით ნოტის ანუ «სათხოვარი მუხლების» ტექსტი, როგორც მას ოფიციალურად უწოდებდნენ, 16 პუნქტისაგან შედგებოდა, რომელთაგან უმთავრესი იყო შემდეგი:

1. საქართველოს მეფეს გიორგის, დიდებულებს, სამღვდელოებას, მის ხალხს სურს ერთხელ და სამუდამოდ მიიღოს სრულიად რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობა.

2. სამეფოს ჩაბარებისას მეფე და შემდეგში მისი მემკვიდრენი ტახტზე ავიდნენ მეფის ტიტულით და მათ ჰქონდეთ მთავარი მმართველობა იმ კანონების მიხედვით, რომლებიც უმაღლესი სამეფო კარის მიერ იქნება მოცემული. თავის მხრივ კი მათ არავითარი კანონები არ შემოიღონ.

3. ებოძოს მეფეს წყალობა, ჯამაგირი და სოფლები რუსეთში. საქართველოს მეფის შემოსავალს კი, როგორც ქვეშევრდომი, აძლევს ხელმწიფე იმპერატორს სრულ განკარგულებაში, სადაც კი ეს მის უმაღლესობას მოესურვება ჯარის შესანახად თუ სხვა საჭიროებისათვის.

4. მიეცეს უმაღლესი ბრძანება როგორც კეთილშობილთ, ისე სხვებს, პირველ შემთხვევაში დაჯერების სახით, რათა ისინი შევიდნენ იმპერატორის სამსახურში იმპერიაში დაკანონებული წესის მიხედვით საგუშაგოების დასაცავად და შესანახად და თავის სახელმწიფოს ემსახურონ ჩვეულებრივი ხელფასით და ამუნიციით; შეუჩვევლობის გამო პირველად რომ გავამხნეოთ, — გამოეცხადოს, რომ მათი ტანისამოსის ფორმა დარჩება ნაციონალური.

---

[1] АКАК, т. I, № 116. стр. 177; П. Бутков, Материалы для новой истории Кавказа. II, СПБ, 1869, стр. 462.

5. ზარაფხანა დარჩეს ძველებურად, ფულის ერთ მხარეზე იქნება რუსეთის ვენზელი და მეორეზე — საქართველოსი.

6. ქართველი მეფის ყველა ქვეშევრდომს, როგორც თავადაზნაურობას, სამღვდელოებას, ვაჭრებს, ისე უბრალო ხელოსან ხალხს, უნდა ჰქონდეს თანაბარი უფლებები კანონებში, როგორც რუსეთის ქვეშევრდომთ [1].

ასეთია ძირითადი მუხლები გიორგი XII-ის თხოვნისა. ის რომ შევადაროთ ერეკლე II-ის თხოვნას, რომელიც გაეგზავნა 1797 წლის გაზაფხულზე იმავე პავლე I-ს, დავინახავთ, რომ ესაა დაზუსტება და განვითარება ცარიზმისადმი იმ დათმობისა, რაზედაც იძულებული იყო დათანხმებულიყო ერეკლე. ერეკლე მაშინ ითხოვდა: «მიეცეს საქართველოს მეფეს და ხალხს სრულიად რუსეთის კანონი სახელმწიფოს მართვისათვის, რათა ამით აღმოიფხვრას ზოგიერთი ძველთაგანვე შეპარული აზიური უსამართლობა სამართლის წარმოებაში, რაც კი საზიანოდ და საწინააღმდეგოდ ემსახურება მართლმადიდებელ ქრისტიანულ სარწმუნოებას». იგი ითხოვდა მისი ვაჟიშვილები მიეღოთ რუსეთის სამსახურში და მისთვის სესხად ებოძებინათ «თანხა, რამდენსაც ინებებდა», ქართველი ჯარის შესანახად; [2] ითხოვდა ფულის მოჭრის ნებართვას, ერთ მხარეზე პავლე I-ის, ხოლო მეორეზე მისი, ერეკლეს, გამოხატულებით. მაგრამ მაშინ მოლაპარაკება იყო რუსეთის მ ფ ა რ ვ ე ლ ო ბ ა ზ ე, ქ ვ ე შ ე ვ რ დ ო მ ო ბ ი ს საკითხი კი არ ყოფილა დასმული.

ამასთან უკანასკნელი საკითხი გიორგის «სათხოვარ მუხლებში» ფორმულირებული იყო არა მარტო მ ე ფ ი ს ს ა ხ ე ლ ი თ, ა რ ა მ ე დ დ ი დ ე ბ უ ლ თ ა, ს ა მ ღ ვ დ ე ლ ო ე ბ ი ს ა დ ა ხ ა ლ ხ ი ს ს ა ხ ე ლ ი თ ა ც, ე. ი. ქართველი ხალხის თითქმის ყველა წოდების სახელით. გიორგის «სათხოვარი მუხლების» მიხედვით, საქართველოში უნდა შენარჩუნებულიყო მხოლოდ ბაგრატიონთა დინასტია მარტოოდენ აღმას-

---

[1] АКАК. т. I, № 121, стр 179—180; Н. Дубровин, Закавказье от 1803—1806 года. СПБ, 1866, стр. 14.

[2] ერეკლეს წერილი 1797 წ. 16 აპრილის თარიღით. საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი.

რულებელი უფლებით. მეფემ უარი სთქვა თავის პრეროგატივებზე, ოღონდ სურვილი ჰქონდა ყოფილიყო საქართველოს მემკვიდრეობითი მმართველი. ეს არსებითად იმას ნიშნავდა, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფო იქცეოდა ქვეყნად, რომელსაც რუსეთის იმპერიის ნაცვალი განაგებდა, მეფის ნაცვლის თანამდებობაზე კი პრივილეგია ენიჭებოდა ბაგრატიონთა დინასტიას [1].

იმ დროს, როდესაც გიორგის «სათხოვარი მუხლები» პეტერბურგში საბოლოოდ ყალიბდებოდა, საქართველოში შემდეგი ამბები ხდებოდა. გიორგის, ლაზარევისა და კოვალენსკის დაჟინებითი მოთხოვნით საქართველოში რუსეთის ჯარი გადიდდა კიდევ ერთი პოლკით, რომელიც თბილისში 1800 წ. 23 სექტემბერს ჩამოვიდა [2]. ახალი ჯარის ჩამოსვლამ ერთბაშად შეანელა აბას-მირზას შეტევის სურვილები, რომელიც «თავისი ძალების გასაძლიერებლად» სასწრაფოდ გავიდა არაქსს გაღმა. არა ნაკლებ შეშფოთებული იყვნენ ძმები ბატონიშვილებიც. «როდესაც გიორგი მცირე ჯარის იმედით იმდენ წყენას გვაყენებდა, — სწერდა ბატონიშვილი ვახტანგი კნორინგს, — განა ახლა მეტ შევიწროებას არ უნდა მოველოდეთ მისგან, როცა თავისი მფარველობისათვის ახალი დამატება მიიღო» [3]. ბატონიშვილები აშკარა აჯანყებისათვის ემზადებოდნენ, ელოდნენ მხოლოდ გიორგის გარდაცვალებას, რომელიც უკვე ლოგინად იყო ჩაწოლილი.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს, როდესაც გიორგის «სათხოვარი მუხლები» პეტერბურგში მსჯელობის საგნად იყო გადაქცეული, იქ უკვე კოვალენსკის, კნორინგისა და სხვების მიერ მიწოდებულ ცნობებს გარდა, პავლე I-თან წარდგენილი იყო მოხსენებითი ბარათი «რუსეთის სახელმწიფოსთან საქართველოს შეერთების ხელსაყრელობისა და სარგებლობის შესახებ დღევანდელ პირობებში»; ბარათი ეკუთვნოდა გრაფ მუსინ-პუშკინს, რომელიც იმ დროს საქართველოში იმყოფებოდა სამთამადნო გამოკვლევებისათვის. ამ ბარათს

---

[1] З. Д. Авалов, Присоединение Грузии к России, стр. 198.
[2] Н. Дубровин, Георгий XII, стр. 143.
[3] 1800 წ. 22/IX წერილი. დუბროვინი, ტ. III. გვ. 317.

დართული ჰქონდა «წინასწარი სანიმუშო მუხლები იმ საფუძვლების შესახებ, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია რუსეთის მიერ საქართველოს მაღაროების აღდგენა».

როგორც ამ საბუთებიდან ჩანს, მუსინ-პუშკინი პავლე I-ს არწმუნებდა, «გიორგიმ თვითონ შეიგნო, რომ მისი ხსნის ერთადერთი გზაა თავისი თავი ნახოს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში, რის შესახებ მან თითქმის გულახდილად უთხრა მუსინ-პუშკინს, რომ მეფის ძმები უფრო სიამოვნებით შეხვდებიან რუსეთთან საქართველოს შეერთებას, ვიდრე მის გადაცემას ბატონიშვილ დავითისათვის. რუსეთთან საქართველოს შეერთება კი სასარგებლოა შემდეგი გარემოების გამო:

1. ეს ქვეყანა ნაყოფიერია და უხვი; 2. მისი დაკავებით კავკასიის ხაზი უზრუნველყოფილი იქნება სტრატეგიულად და გაადვილდება წინა კავკასიის დაპყრობა; 3. რუსეთის ვაჭრობა ირანთან და ინდოეთთან მიიღებს ფართო ხასიათს; 4. თურქეთთან ან ირანთან ომიანობის შემთხვევაში საქართველო იქნება მთავარი სტრატეგიული პუნქტი; 5. რუსეთთან საქართველოს შეერთების მაგალითს დაუყოვნებლივ მიჰყვება იმერეთი; 6. დაჩაგრული ქართველი ხალხი მთელ თავის იმედებს რუსეთზე ამყარებს. ერთი სიტყვით, — ამთავრებს მუსინ-პუშკინი, — საქართველოს შეძენა ამჟამად ერთობ იოლია და, თუ მოსალოდნელია რაიმე დაბრკოლება, ეს შეიძლება, მოხდეს მხოლოდ ვახტანგ ბატონიშვილისაგან, რომლის სამთავროც თოვლიანი მთების ორივე მხარესაა, სამხედრო გზის ყველაზე მიუვალ ადგილას»[1]. მაგრამ, დასძენს მეფის მზვერავი-ეკონომისტი, შესაძლებელია მისი დაყოლიებაც ორდენებით და საჩუქრებითო.

საქართველოს შეძენის სარგებლიანობის ამ ახალმა ეკონომიურმა დაზვერვამ, უეჭველია, მცირე როლი როდი შეას-

---

1 ხაზი ჩვენია. **Бутков**, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. ч. II, стр. 484; **Дубровин**, История войны и владычества русских на Кавказе, т. III, стр. 337; АКАК, т. 1, № 162, стр 203.

რულა ცარიზმის მიერ საქართველოს რუსეთის იმპერიასთან სამუდამოდ შეერთების საკითხის გადაწყვეტის დაჩქარებაში. თვითონ შეერთების საკითხი ახლა ისე აღარ იწვევდა წინააღმდეგობას, როგორც ძველად, და პავლე I, რომელიც თავისი მეფობის დასაწყისში ტრაქტატის დაცვის თვალსაზრისზე იდგა, ახლა უკვე სავსებით ეთანხმება საქართველოს რუსეთთან შეერთებას.

მომენტი მართლაც მარჯვე იყო: საერთაშორისო სიტუაცია ხელს უწყობდა რუსეთის იმპერიას თავისი პოლიტიკა საქართველოს მიმართ გაეაქტიევებინა. პავლე I თუ ჯერ საფრანგეთის საწინააღმდეგო კოალიციის წევრია, 18 ბრიუმერის (1799 წ. 9 ნოემბრის) შემდეგ მალე გამოდის ამ კოალიციიდან. რუსეთის თვითმპყრობელი 1800 წლის დამლევისათვის იმდენად უახლოვდება ნაპოლეონ ბონაპარტეს, რომ მისი მოკავშირეც კი ხდება, ე. ი. უპირისპირდება თავის ყოფილ მოკავშირეს — ინგლისს. 1801 წლის 12 იანვარს პავლე ბრძანებას უგზავნის დონის მხედრობის ატამანს, 40 ათასი კაზაკით ინდოეთზე გაილაშქრეო. ინდოეთზე გალაშქრება კი ნიშნავდა ინგლისისათვის ზურგში ჩასაცემად მახვილის აღმართვას. გარდა ამისა, პავლე უკავშირდება ავსტრიის საწინააღმდეგოდ პრუსიას, ხოლო ინგლისის წინააღმდეგ — შვეციას, დანიას და იმავე პრუსიას. თვითმპყრობელ პავლეს თვალში ასეთი მოქმედება იდეურადაც გამართლებული იყო. 18 ბრიუმერის გადატრიალებით ნაპოლეონ ბონაპარტე ერთპიროვნულ მმართველობას ამყარებს საფრანგეთში და ამიერიდან იგი უკვე სულთამხუთავია რევოლუციისა და არა მისი მოსარჩლე. ასეთ პირობებში, ცხადია, ევროპის სახელმწიფოთა ყურადღება მიპყრობილია მხოლოდ საფრანგეთზე, მათი თვალი და ყური მარტო საფრანგეთზეა გამახვილებული; პატარა და შორეულ საქართველოსთვის კი ახლა აღარავის სცალია, ის ალალ ბედზეა მიტოვებული და, ამრიგად, რუსეთს საშუალება ეძლევა საქართველო ადვილად ჩაიგდოს ხელში.

ცარიზმს განზრახული ჰქონდა გიორგის სიკვდილის შემდეგ საქართველოს სამეფო ტახტზე მემკვიდრე დავითი დაემ-

ტკიცებინა არა მეფის უფლებით, არამედ მას მისცემოდა გენერალ-გუბერნატორის წოდება.

ამრიგად, «ცარიზმს მტკიცედ ჰქონდა წინასწარ გადაწყვეტილი გიორგის გარდაცვალების შემდეგ ახალი მეფე აღარ დაემტკიცებინა, საქართველო კი გამოეცხადებინა რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიად და აქ დაეწესებინა საგენერალ-გუბერნატორო» [1].

მეფეს და მისი ოჯახის წევრებს ჯამაგირი ენიშნებოდათ საქართველოს შემოსავლიდან. კავკასიის ხაზის სარდალს კნორინგს წინადადება მიეცა წარედგინა ცნობები, თუ რა რაოდენობის ჯარის გამოყოფა შეიძლებოდა საქართველოსათვის, თანაც ევალებოდა — გიორგის სიკვდილის შემდეგ გამოეცხადებინა ხალხისათვის, რომ პეტერბურგიდან ნებართვის მიღებამდე არ ყოფილიყო დანიშნული მემკვიდრე სამეფო ტახტზე.

ამავე დროს საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენლები ავალიშვილი და ფალავანდიშვილი გაგზავნილ იქნენ თბილისში გიორგი მეფესთან საგარეო საქმეთა მინისტრის როსტოპჩინის წერილით, რომელშიც როსტოპჩინი მეფეს სთხოვდა, პირობების შინაარსის განხილვის, განსჯისა და დამტკიცების შემდეგ პავლე I-ისათვის ამათივე ხელით გაეგზავნა მადლობის სიგელი და რწმუნებულთათვის დაერქვა ელჩები. გიორგისაგან ასეთი პასუხის მიღების შემდეგ განზრახული იყო პეტერბურგში დაედვათ ურთიერთ საიმპერატორო აქტი შესაფერი ზეიმით [2].

რწმუნებულები ავალიშვილი და ფალავანდიშვილი თბილისში ჩამოვიდნენ 1801 წლის 8 იანვარს, ე. ი. იმ დროს, როდესაც გიორგი XII უკვე გარდაცვლილი იყო (გარდაიცვალა 1800 წ. 28 დეკემბერს). ცარიზმის განზრახვა, რომ გიორგი თვითონ გამოუცხადებდა საჯაროდ ხალხს რუსეთთან საქართველოს შეერთებას და ცარიზმის მიერ ნაკარნახევ პირო-

---

[1] გ. ხაჩაპურიძე, საქართველოს შეერთება მეფის რუსეთთან. გვ. 14.

[2] Н. Дубровин, Закавказье.. стр. 17—18

ბებს, ვერ განხორციელდა, რის გამოც კნორინგმა გამოცხადება შეაჩერა პეტერბურგიდან პირდაპირი მითითებით.

გიორგის სიკვდილის შემდეგ დავით ბატონიშვილის გამოცხადებამ — «მებძანა უმაღლესითა ბრძანებითა მიახლოვებად მემკვიდრეობით ტახტისადმი საქართველოისა სადღესასწაულოითა დღესასწაულობითა მმართებლადო» [1], — გამოცხადებამ იმ დავითისამ, რომელიც სინამდვილეში მეფის გვირგვინზე ოცნებობდა, გამოიწვია ნამდვილი შინაომი.

იულონ, ვახტანგ და მირიან ბატონიშვილებმა ოთარ ამილახვარს, «ყველას საერთოდ გორის სასულიერო წოდებას, საერო პირებს და სხვებს» გაუგზავნეს მოწოდება, რათა მიმხრობოდნენ მათ. «ახლა ის ჟამია, — სწერდნენ ისინი, — რომ ყველამ სრული ერთგულება და მორჩილება გვიჩვენოთ. ჩვენ გორის გარშემო ვიქნებით და იქ შემოგვეყარენით. (ამას) როგორც თქვენ გწერთ, ასე მთლად ქართლსა და კახეთსა»-ო [2]. ხსენებულ ბატონიშვილების მხარეზე მყოფმა ქართლის თავადებმაც «თბილისის მელიქს და საერთოდ ყველა მოქალაქეს, ქეთხუდებს, დიდსა და პატარას» გაუგზავნეს მოწოდება, რომელშიც ისინი სწერდნენ: «სამეფო გვირგვინი ეკუთვნის იულონს, რისთვისაც დადეს ქართველებმა ფიცი, და იულონის გარდა სხვა არავინ შეიძლება იყოს მეფედო» [3].

მეორე მხრივ დავით ბატონიშვილმა, რომელსაც უმეტესად კახეთის თავადები და აზნაურები ემხრობოდნენ, თავის ძმას ბაგრატს უბრძანა, შეეფიცათ მისთვის. დავითის მომხრეები იულონს, ვახტანგს და მირიანს ბრალად სდებდნენ იმას, რომ მათ სურდათ საქართველო გადაეცათ ბაბახანისათვის და ლაზარევს სთხოვდნენ, რათა მეფედ დამტკიცებული ყოფილიყო დავითი [4].

ამავე დროს ეკლესიებში იულონი იხსენიებოდა როგორც საქართველოს მეფე [5], რომელიც აპირებდა მცხეთაში ჩას-

---

1 АКАК, т. I, стр. 358; საქართველოს სიძველენი, ტ. III, ე. თაყაიშვილის რედაქციით, თბილისი, 1910, გვ. 310, № 323.

АКАК, т. I, № 194, стр. 228—229.

АКАК, т. I, № 196, стр. 229—230.

4 Н. Дубровин, Закавказье... стр. 20.

АКАК, т. I, № 197, стр. 231.

ვლას, რათა საზეიმოდ გამოეცხადებინა თავი მეფედ და იქ მიეღო კურთხევა.

რუსის ჯარს, რომელიც მოსული იყო საქართველოს საგარეო უშიშროების დასაცავად, მოუხდა გამოსვლა, რათა არ მომხდარიყო სისხლის ღვრა სამეფო ტახტის პრეტენდენტთა შორის: მცხეთაში გაიგზავნა ორი ასეული. 20 იანვარს შტაბკაპიტანი კოტლიარევსკი ამგვარად უხატავდა საქმის ვითარებას გენერალ ლაზარევს: «ბატონიშვილები იულონი, ვახტანგი, მირიანი და ფარნაოზი და მათთან ერთად ჯარი სამას კაცამდე იმყოფებოდნენ მუხრანში... თქვენი წერილის წაკითხვის შემდეგ თავადები და აზნაურები გაიყვნენ პარტიებად და შესამჩნევი იყო, რომ ბევრ მათგანს იქ ყოფნა არ სურდა...ბატონიშვილებს განზრახული ჰქონდათ წასულიყვნენ მცხეთაში, მაგრამ რომ გაიგეს, იქ რუსის ჯარი იმყოფებაო, გადაწყვეტილება შეცვალეს და განიზრახეს კახეთში წასვლა, რაც ჩემი წამოსვლის შემდეგ მოიყვანეს კიდეც სისრულეში. იქ მათ ყველა თავადსა და მთელ ხალხს იულონის მეფობაზე ფიცი უნდა მიაღებინონ და შეურიგდნენ ალექსანდრე ბატონიშვილს. მერე მკითხეს, — იმპერატორმა პავლემ მართლა დავითი დაამტკიცა გიორგის მემკვიდრედო? მე ეს დავუდასტურე; მაშინ იმათ გამომიცხადეს, რომ ისინი დავითს არავითარ შემთხვევაში არ იცნობენ მემკვიდრედ, მაგრამ თუ იმპერატორი ინებებს, რომ არც ერთი იყოს მეფედ და არც მეორე, მაშინ ისინი თანახმანი იქნებიან და უკანასკნელ სისხლს დაღვრიან ხელმწიფისათვის. ამასთან გაცნობებთ, რომ თავადების მეტად მცირე ნაწილი ემხრობა იულონს, მაგრამ მათ შორის უფრო მეტია ისეთები, რომელთაც ეშინიათ თავისი სოფლების დარბევისა, რის მაგალითიც მათ უკვე ნახეს»-ო [1].

ეს მოძრაობა რომ კახეთში არ გავრცელებულიყო, გენერალმა ლაზარევმა მარტყოფში გაგზავნა 4 ასეული—ზარბაზნით.

---

[1] АКАК, т. I, № 202, стр. 232.

1801 წ. 20 იანვარს ლაზარევი კნორინგს სწერს: «ძმები ბატონიშვილები ყოველმხრივ ავიწროებენ ქართლის თავადებს, რომელთაც არ სურთ მათი სურვილების შესრულება და მიჰყვებიან ხელმწიფე იმპერატორის ნებას; ბატონიშვილების მძვინვარება იქამდე მივიდა, რომ 3 დღის წინ გამოათრიეს და შებორკეს თავად თუმანიშვილის მეუღლე. ასევე მოექცნენ სარდალ ორბელიანის დას. ასეთ ძალადობას ისინი სჩადიან ძალიან ხშირად, აოხრებენ სოფლებს» [1].

1801 წლის 2 თებერვალს იოანე ბატონიშვილმა აცნობა კნორინგს, რომ ძმებმა ბატონიშვილებმა წერილი გაუგზავნეს ბაბახანს და რომ მათმა გაგზავნილებმა უკვე გაიარეს თავრიზი, ხოლო თვით ბაბახანი მოლაპარაკებას აწარმოებს ფრანგ ემისრებთანო [2].

გენერალი ლაზარევი იმავე წლის 11 თებერვალს მოახსენებდა კნორინგს, რომ იულონს, ალექსანდრეს და ფარნაოზს, რომლებმაც ვერ შესძლეს კახეთში გასვლა, განზრახული აქვთ იმერეთში გადასვლა, სადაც უკვე გაგზავნეს კიდეც თავისი ალალის ნაწილი და წინადადებას აძლევენ იქ შეკრებილ ჯარს, თავად ელიზბარ ერისთავის მეთაურობით, წამოვიდეს საქართველოში და აქ ომარ-ხანთან შეერთების შემდეგ აწარმოონ თავიანთი შმაგობაო [3].

ლაზარევისათვის 1801 წ. 18 თებერვლის თარიღით მიწოდებული ცნობებიდან ჩანს, რომ იულონთან, როგორც მისი მომხრე, იმყოფებოდა 168 სული (მამრობითი და მდედრობითი), ალექსანდრესთან — 36 და ფარნაოზთან — 92, სულ მათთან იმერეთში გაიქცა 296 ქალი და კაცი, რომელთა ნახევარზე მეტს უკვე სურს საქართველოში დაბრუნებაო [4].

1801 წ. იანვარს საქართველოში მყოფ ჯარებს შეემატა ერთი ბატალიონი და ორი ასეული. გენერალმა ლაზარევმა, რომელიც ამ დროს დავით ბატონიშვილთან ერთად საქართვე-

---

1 АКАК, т. I, № 205. стр. 233.

2 АКАК, т. I, № 222, стр. 240.

3 АКАК, т. I, № 225, стр. 241.

4 АКАК, т. I, № 229, стр. 243. შერმაზან და ელიზბარ ერისთავების წერილი ლაზარევისადმი.

ლოს განაგებდა, რაკი ფეხქვეშ მტკიცე ნიადაგი იგრძნო, გადაწყვიტა ბატონიშვილების მიმართ გამოეყენებინა სამხედრო ძალა, მით უმეტეს, რომ ის კნორინგისა და გრაფ როსტოპჩინისაგან უსათუოდ მიიღებდა ცნობებს, რომ საქართველოს ბედი უკვე სხვაგვარად იყო გადაწყვეტილი ცარიზმის მიერ.

პავლე I-ის წინასწარი გადაწყვეტილებით «ორმხრივი საიმპერატორო ხელისმოწერის აქტი რუსეთის ქვეშევრდომად საქართველოს შესვლის შესახებ», თანახმად «სათხოვარი მუხლებისა», 1800 წ. 18 დეკემბერს გაუქმდა (როცა საქართველოს ელჩები ჯერ კიდევ თბილისში არ იყვნენ მოსული) და გამოიცა საქართველოს რუსეთთან «საუკუნოდ» შეერთების მანიფესტი.

პავლე I-ის 1800 წ. 18 დეკემბრის მანიფესტი საქართველოს შეერთების შესახებ (და არა რუსეთისა და საქართველოს მეფეების ორმხრივი შეთანხმება, როგორც ეს განზრახული იყო ერთი თვის წინათ) 1801 წ. 18 იანვარს გამოქვეყნდა პეტერბურგში[1], ხოლო ორი დღის შემდეგ, 20 იანვარს, პავლე (თავისი ხელით) კნორინგს სწერდა: «მე მსურს, რომ საქართველო, როგორც უკვე გწერდით, იყოს გუბერნია, რომელიც დაუყოვნებლივ დაუმორჩილეთ სენატს, ხოლო სასულიერო ნაწილი — სინოდს მათი პრივილეგიების ხელშეუხებლად. გუბერნატორად კი იყოს მეფის რომელიმე შთამომავალი, ოღონდ თქვენ ხელქვეითად, და იგი იქნება მანდაურ გუსართა ახალი პოლკის უფროსი»[2].

ამგვარად, საქართველოს ბედი, საქართველოს მეფის სრულუფლებიან წარმომადგენლებთან ერთად შემუშავებული პირობების დარღვევით და საერთაშორისო ნორმების წინააღმდეგ, იმ დროს შექმნილი ვითარების გამო, ისე გადაწყდა, როგორც ეს სასარგებლო და ხელსაყრელი იყო ცარიზმისათვის.

---

1 კანონთა სრული კრებული, 26, № 19721.

2 Дубровин, Георгий XII, стр. 185. ხაზი ჩვენია. ვ. ტ.

23 იანვარს პავლე I კნორინგს ახალ რესკრიპტში ისევ უმეორებს: «შეეცადეთ საქართველო განამტკიცოთ იმავე საფუძველზე, რომელზედაც მე თქვენ უკვე გწერდით. ეცადეთ დაიახლოვოთ სომხები და დააინტერესოთ ისინი ვაჭრობით; მათი საშუალებით სავაჭრო გზა გააფართოვეთ მათ იქითაც, დაიცავით პრივილეგიები, მაგრამ განამტკიცეთ ჩვენი წესრიგიც. ძველი პოლკები შეავსეთ ახალი რეკრუტებით, მაგრამ (ეს) პოლკები ცოტაა სივრცის მიხედვით. (ამიტომ) დააზუსტეთ (ე. ი. ივარაუდეთ), ხომ არ შეგიძლიათ ისინი გაამრავლოთ და გააძლიეროთ ადგილობრივი მცხოვრებლებითა და შემოსავლით. ეძიეთ სხვადასხვაგვარი მადნები, ასევე საბაჟო გადაიტანეთ საზღვარზე; შეუდექით სომხეთის შეძენას არა დაპყრობით, არამედ ნებაყოფლობით. აი ჩემი აზრი»[1].

ცარიზმი გულახდილად აცხადებს, რომ ახალი გუბერნია უნდა იყოს მისი შემდგომი შეტევითი პოლიტიკის ბაზა კავკასიის იქით და უწინარეს ყოვლისა ამიერკავკასიის იმ პროვინციების მიმართ, რომლებიც სომხებით არის დასახლებული.

1801 წ. 19 თებერვალს იმავე კნორინგს პავლე შემდეგ ბრძანებას აძლევს: «დესპანებთან ავალიშვილსა და ფალავანდიშვილთან ერთად მსურს ჩემთან კიდევ გამოგზავნოთ რომელიმე ბატონიშვილი და საქართველოს დიდებულთაგანი, რათა ქვეყნისათვის ნათელი იყოს, რომ საქართველოში ნამდვილად არის საერთო სურვილი — იყვნენ ჩემს ქვეშევრდომობაში (общий Грузии произвол есть быть в моем подданстве), და არა ისე, რომ მათი მორჩილება წარმოსდგებოდეს მხოლოდ ორისა თუ სამის სურვილისაგან. აგრეთვე გიბრძანებთ წარმომიდგინოთ სია საქართველოს იმ უწარჩინებულესთა, რომლებიც ერთგულებას იჩენენ ჩემდამი და მეტად სურთ იყონ ჩემს ქვეშევრდომებად. ჩემი განზრახვაა ზოგ მათგანს ებოძოს გრაფისა და ბარონის ღირსება, სხვები კი განვადიდოთ ჩინებით, ხოლო ახალგაზრდები და დიდგვაროვანნი მი-

---

1 Бутков, Матерiалы... т. II, стр. 470. ხაზი ჩვენია. ვ. ტ.

ღებულ იქნან ჩემს კამერჰერებად. ასევე, მომწერეთ იმათ შესახებ, ვისაც დამსახურების მიხედვით ეკუთვნის წმ. ანდრიას ორდენი» [1].

რუსეთის იმპერიასთან საქართველოს სამუდამოდ შეერთების მანიფესტი თბილისში გამოქვეყნდა 1801 წ. 16 — 17 თებერვალს. გენერალმა ლაზარევმა ძალითა და მოტყუებით მოახერხა ქართველი თავადები და აზნაურები დაეთანხმებინა პავლე I-ისადმი საპასუხო მადლობის — სიგელის შედგენაზე და მოამზადა პეტერბურგში გასაგზავნი დეპუტაცია, რომელსაც შეადგენდნენ ბატონიშვილები იოანე, ბაგრატ და მიხეილ გიორგის-ძენი, უკვე გარდაცვლილი გიორგი XII-ის სიმამრი გიორგი ციციშვილი, იოანე ქობულაშვილი, ზაზა ანდრონიკაშვილი, გაბრიელ რატიშვილი და სხვანი [2]. რაც შეეხება საქართველოს იმ უწარჩინებულეს მოხელეთა სიას, რომლებიც უერთგულესი იყვნენ რუსეთის იმპერიისა და სხვებზე მეტად მოსურნენი მის ქვეშევრდომობაში ყოფნისა, ის გენერალმა ლაზარევმა შეადგინა მხოლოდ 22 მარტს, ე. ი. პავლე I-ის მოკვლის შემდეგ, როდესაც ტახტზე უკვე მისი შვილი ალექსანდრე I იჯდა.

პავლე I-ის 1801 წ. 18 იანვრის მანიფესტის მიხედვით საქართველოს უნდა მიეღო შემდეგნაირი ადმინისტრაციული დაყოფა: მთელი ქვეყანა მოქცეულია საზღვრებში: ჩრდილოეთით — კავკასიის მთები, დასავლეთით — იმერეთის სამეფო და ახალციხის საფაშო, სამხრეთით — ყარსის საფაშო და ერევნის სახანო (საზღვარი მიდიოდა მდინარე არპაჩაით და გოგჩის ტბით), აღმოსავლეთით (მდინარე ჯაგირ-ჩაი) — განჯის სახანო და ჭარ-ბელაქნის თავისუფალი თემები (მდინარე ალაზანზე). ეს ფართობი შეიცავდა ქართლის, კახეთის, სომხითის, ყაზახის, შამშადილის, ბამბაკისა და შურაღელის მიწა-წყალს დაახლოებით 160 ათასი სული მოსახლეობით და იყოფოდა ორ პროვინციად: ქართლისა და კახეთისად.

---

[1] АКАК, т. I, № 529, стр. 417.

[2] Акты, т. I, 528; Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, II, стр. 471; მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის-ძისა და მისი ძმებისა. თბ., 1905, გვ. 61.

ქართლში მთავარ ქალაქად დამტკიცებული იყო თბილისი, რომელიც იმავე დროს ცხადდებოდა მთელი საქართველოს საგუბერნიო ქალაქად, კახეთში კი — თელავი («თელაუ», როგორც ნათქვამია კანონში). მთელი გუბერნიის მმართველი უნდა ყოფილიყო გენერალ-გუბერნატორი, ხოლო თითოეული პროვინციისა — განსაკუთრებული ვიცე-გუბერნატორი. მთავრობის მთავარ დაწესებულებად უნდა ყოფილიყო საგუბერნიო სამმართველო, მას დაექვემდებარებოდა პროვინციათა კანცელარიები, რომელნიც თავის მხრივ იყოფოდნენ ორ დეპარტამენტად: 1) სასამართლოსი და განაჩენის და 2) კამერალური ან სახაზინო საქმეების. კანცელარიებს ექვემდებარებოდა სამაზრო სასამართლოები (ქართლში — 6, კახეთში — 2), ამასთანავე ყველა სამაზრო ქალაქში (დუშეთი, გორი, სურამი, ლორი, კაიკული[1], თელავი და სიღნაღი) და საგუბერნიო ქალაქ თბილისში დაწესებული იქნა საქალაქო მაგისტრატები, ხოლო არა სამაზრო ქალაქებში (ანანური, ახალგორი, ცხინვალი და სხვა) — რატუშები.

ამგვარად, რუსეთის ბიუროკრატიამ ცარიზმის საყვარელი ოსტზეის გუბერნიის ნიმუშის მიხედვით შეიმუშავა საქართველოს მმართველობის სქემა.

პავლე I-ის სიკვდილის გამო მის მიერ დამტკიცებული საქართველოს სახელმწიფოს ადმინისტრაციული რეფორმა განწირული აღმოჩნდა.

ალექსანდრე I-ის გამეფების შემდეგ საქართველოს ბედის საკითხი განსახილველად კვლავ დაისვა იმპერიის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში — სახელმწიფო საბჭოში, სადაც იგი განიხილეს ორჯერ — 1801 წლის 11 და 15 აპრილს.

მაშინდელი რუსეთის სახელმწიფო საბჭოს საქართველოს შეერთების საკითხზე უკვე ჰქონდა თავისი გარკვეული შეხედულება. ამიტომ 11 აპრილს, საკითხის განხილვის დროს, საბჭო გამოვიდა საქართველოს შეერთების მომხრედ და თავისი აზრი დაასაბუთა იმითი, რომ: 1. «მეფის საგვარეულოს წევრ-

[1] როგორც ჩანს, დღევანდელი სოფელი კაზანჩი (ბოგდანოვკის რაიონი) იმ დროს ყოფილ ახალციხის საფაშოს საზღვარზეა.

თა უთანხმოება და დამღუპველი შინაბრძოლა, რომელიც გამოაშკარავდა ერეკლეს-ძის მეფე გიორგის სიკვდილისთანავე, ემუქრება ამ სუსტ სახელმწიფოს; 2. აშკარა მფარველობა, რომელსაც ადრინდელი დროიდან რუსეთი ამ მხარეს უწევს, იმპერიის საკუთარი ღირსებისათვის მოითხოვს საქართველოს სამეფოს სრულიად შენარჩუნებას და 3. უაღრესად მოსახერხებელი იქნება მთიელ ხალხთა თვითნებობის ალაგმვა, ამით კი უზრუნველყოფილი იქნება სიმშვიდე რუსეთის საზღვარზე» [1]. ამასთანავე სახელმწიფო საბჭო ფიქრობდა საქართველოში მყოფი ჯარები დატოვებული ყოფილიყო აქ და ჩამოყალიბებულიყო დროებითი მთავრობა, მაგრამ არა იმ სქემით, როგორიც მიეცა სენატს 1801 წლის 6 მარტს პავლე I-ის დროს, არამედ მთავარსარდალ კნორინგის წარდგინების მიხედვით, რისთვისაც მას აუცილებლად მიაჩნდა იგი გაგზავნილიყო საქართველოში მხარის დათვალიერებისა და გამოკვლევისათვის [2].

19 აპრილის რესკრიპტში ალექსანდრე I, გზავნიდა რა კნორინგს საქართველოში, სწერდა მას: «საქართველოს სამეფო... ყველა სახელმწიფოებრივი აქტით უკვე შეერთებულია იმპერიასთან და ჩვენდა მოცემული ფიცი დადებულია ქვეშევრდომთა სრული სიწმინდით. საქმეთა ასეთი ვითარებისა და იმის გამოც, რომ ქვეყანა გარემოცულია ჩვენი სამხედრო ძალებით, შეგვიძლია ჩვენი ძალაუფლება იქ ჩავთვალოთ ურყევად დამკვიდრებულად, მით უმეტეს, რომ მოსული წინასწარი ცნობებით დავრწმუნდით, დაბრუნებული ელჩების სურვილები და სრული რწმუნებანი სავსებით შეესაბამებიან მიღებულ ზომებს».

«აგრეთვე არ დაგიმალავთ თქვენ, რომ იმპერიის ღირსება, ჩვენი საზღვრების უშიშროება, მთიელი ხალხების ხელის შემართვა და გულისთქმა, საკუთრივ რუსეთისადმი უპატივცემლობა ადრიდანვე აიძულებდნენ მთავრობას ეფიქრა ამ შემთხვევაზე და მოესურვებინა ამ ამბის მოხდენა. შევაფასეთ

---

[1] სახელმწიფო საბჭოს 1802 წ. ოქმების რეესტრი. სახ. არქივი; Н. Дубровин, Закавказье... стр. 22—23.

[2] იქვე, стр. 23.

რა მთელი მისი არსი ჩვენი სარგებლიანობის თვალსაზრისით, ჩვენ არ შეგვეძლო არ გვეცნო მთელი მისი ძალა». «მაგრამ ამ ქვეყნიურ სამეფოთა სარგებლიანობას, — განაგრძობს პირმოთნე ალექსანდრე I, — დაუპირისპირდა სხვა საზომი: ერთიანი, ჭეშმარიტი და უცვლელი სამართლიანობა და ხელშეუხებლობა ზოგადი სახალხო სამართლიანობის მიმართ· ყველა ჩვენს საშინაო და საგარეო საქმეს ეს ჭეშმარიტება უნდა დავუდვათ საფუძვლად. ამის გამო საქართველოს შესახებ აწინდელ განკარგულებათა სისწორისათვის უწინარეს ყოვლისა გვსურს დავრწმუნდეთ: 1. ნამდვილად ისეთია თუ არა ამ ქვეყნის საშინაო მდგომარეობა, რომ მას თავისი ერთიანი ძალებით არ შეუძლია წინააღუდგეს ბატონობის მოყვარულ სპარსეთის მიმჩემებლობას, მოიგერიოს გარშემო მყოფი მთიელი ხალხის თავდასხმები, ჩააქროს შინაგანი შუღლი, რომელიც საშინელი ბრძოლებით ემუქრება მას... 2. სცნო თუ არა მაღალმა წოდებამ და ხალხმა ერთსულოვნად ესე საქციელი (ე. ი. რუსეთის ქვეშევრდომობა. — ვ. ტ.) თავის მხსნელად თუ, გარკვეული რიგის ადამიანთა გამბედაობით მოხიბლულებმა, უფრო მეტი ადგილი დაუთმეს შიშს და გარეშე შთაგონებას, ვიდრე საკუთარ სარგებლიანობათა შეგნებას?». დაავალა რა კნორინგს საქართველოს მმართველობის პროექტის შედგენა, ალექსანდრემ იმავე წყალობის სიგელში ხელახლა დაუდასტურა მას, რომ «ქართველი ხალხი უერთდება არა რუსეთისათვის, არამედ საკუთრად მისი სარგებლობისათვის». ამიტომ მმართველობის შესახებ შედგენილ დებულებაში კნორინგმა «უპატივცემლოდ არ უნდა დატოვოს ქართველი ხალხის უფლებანი, შეუფარდოს იგი მის ზნეჩვეულებასა და გონებაგანწყობას, საქართველოს უყუროს არა როგორც იმპერიის სარგებლობისათვის შეძენილ ქვეყანას (კოლონიას. — ვ. ტ.), არამედ როგორც ხალხს, რომელიც ეძიებდა იმპერიასთან შეერთებას საკუთარი ბედნიერებისათვის, რათა მოეპოვებინა მის წიაღში განსვენება ყველა იმ უბედურებისაგან, რომლებიც აღელვებდნენ მას» [1].

---

[1] ცნობები დაწვრილებით მოცემულია „აქტების" I ტომში.

1801 წლის მაისის დასაწყისს საქართველოში რუსი ჯარის უკვე მთელი კორპუსი იყო თავმოყრილი. გენერალი ლაზარევი მდგომარეობის ბატონ-პატრონი იყო, თუმცა ამ დროს მხარეს ნომინალურად განაგებდა დავით ბატონიშვილი, რომელიც ულმობლად უსწორებდა ანგარიშს სახლიკაცებს, ართმევდა მათ მიწებს, რითაც ზრდიდა თავისივე წინააღმდეგ საერთო უკმაყოფილებას. ლაზარევი დროებით ამასაც ითმენდა, რომ შემდეგ საფუძველი ჰქონოდა საბოლოოდ გასწორებოდა დავითს.

როდესაც მაისის ბოლოს კნორინგი თბილისში ჩამოვიდა, მან პირველად ყურად იღო დავითისაგან განაწყენებულთა საჩივარი, ჩამოაშორა იგი საქმეებში ყოველგვარ მონაწილეობას, გამოსცა მოსახლეობისადმი სპეციალური პროკლამაციაც, რომელშიც გამოაცხადა, რუსეთის იმპერატორმა საქართველო თავის ქვეშევრდომობაში მიიღო არა იმისათვის, რომ წაართვას ვისმე წინანდელი უფლებები, ჩინები და მამულები, არამედ «საერთოდ ყველას და განსაკუთრებით თითოეულის უფლებათა მეტი განმტკიცებისათვისო». შემდგომ მან გენერალ ლაზარევის თავმჯდომარეობით შექმნა საქართველოს დროებითი მთავრობა იმავე მდივანბეგებისაგან, რომელნიც საქართველოს უკანასკნელი მეფეების დროს იყვნენ ამ წოდებაში (თავადები ზაალ ბარათაშვილი, ივანე ჩოლოყაშვილი, ეგნატე და სულხან თუმანიშვილები და, საკუთრივ თბილისის საქმეებზე, დარჩია ბებუთოვი, თბილისის მელიქი), ლაზარევისა და სხვათა საშუალებით შეაგროვა ცოტად თუ ბევრად დაწვრილებითი ცნობები საქართველოს მდგომარეობაზე [1] და გაემგზავრა პეტერბურგში.

კნორინგის მიერ დაარსებული დროებითი სამმართველო თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა 1801 წ. 6 ივნისს და ამ შემადგენლობით იარსება დაახლოებით ერთი წელი, სანამ მის ნაცვლად შემოღებული იქნებოდა «საქართველოს უზენაესი მთავრობა».

---

[1] იქვე.

ამ ფრიად საპასუხისმგებლო და მეტისმეტად სერიოზულ ოპერაციას უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. იგი იწვევდა ნაციონალური ჩაგვრის მწვავე გრძნობას და გულგატეხილობას მოსახლეობის იმ ფენებშიც კი, რომელნიც ბატონიშვილებისგან ჩაგვრას განიცდიდნენ და გულში თანამგრძნობნი უნდა ყოფილიყვნენ საქართველოდან მათი გაძევებისა. მეორე მხრივ თვით ბატონიშვილები, რომელნიც მანამდე ერთმანეთს მტრობდნენ, მოსალოდნელი საფრთხის გამო (საუფლისწულო მამულების დაკარგვა, გასახლება მშობლიური კერიდან და სხვ.) შეურიგდნენ ერთმანეთს და ბაგრატიონთა შთამომავლობაში სამეფო ღირსების შენარჩუნების აზრით შეკრეს ერთგვარი ბლოკი. ცარიზმისადმი შათი წინააღმდეგობა მეტად აქტიური გახდა. კერძოდ, ბატონიშვილი დავითი, რომელიც საქმეებს ჩამოაშორეს და თავის პირად ჯავრს განაწამებ ქვეყანაზე იყრიდა, არ თაკილობდა მმართველობის საწინააღმდეგოდ მტაცებელ ლეკთა მოწვევასაც კი.

1801 წლის 12 სექტემბერს გამოქვეყნდა იმპერატორ ალექსანდრე პირველის «ისტორიული» მანიფესტი «რუსეთთან საქართველოს შეერთების შესახებ». მანიფესტი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ცარიზმის თვალთმაქცობის კლასიკური ნიმუში, აცხადებდა:

«არა ძალების შემატების მიზნით, არა ანგარებით, არა საზღვრების გადიდებისათვის მსოფლიოში ისედაც უდიდესი იმპერიისა, ვიღებთ ჩვენს თავზე საქართველოს სამეფოს მმართველობის ტვირთს. მხოლოდ ღირსება, მხოლოდ პატიოსნება და ადამიანობა გვაკისრებს ჩვენ წმინდა მოვალეობას შევისმინოთ ტანჯულთა ღაღადი, მათი მწუხარების აღმოსაფხვრელად დავაწესოთ საქართველოში ისეთი მმართველობა, რომელიც შესძლებს განამტკიცოს მართლმსაჯულება, პირადი და ქონებრივი უშიშროება და მისცეს თითოეულს კანონის მფარველობა» [1].

სწორედ ასეთსა და მსგავს საგარეო პოლიტიკასა და დიპლომატიაზე ლაპარაკობდა ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, როდესაც

[1] Н. Дубровин, Закавказье от 1803—1806 года, СПБ, 1866. стр. 29.

ცარიზმზე წერდა: იგი «რკინისებური შეუპოვრობით, განუხრელად მისდევდა დასახულ მიზანს, არ ჩერდებოდა არც ვერაგობის, არც გამცემლობის, არც მუხანათური მკვლელობის, არც მლიქვნელობის წინაშე, არაფერს ზოგავდა მოსასყიდლად, თავბრუ არ ეხვეოდა გამარჯვებებით, სულით არ ეცემოდა დამარცხებისას» [1].

«აღმოსავლეთ საქართველოს შეერთება მოხდა არა იმ პირობებში, რომელთა მიღწევასაც ცდილობდნენ მეფე ერეკლე და მისი დიპლომატია. მფარველობისა და დახმარების, შინაურ საქმეებში საქართველოსათვის დამოუკიდებლობის შენარჩუნების ნაცვლად არსებითად მოხდა საქართველოს სამხედრო ოკუპაცია და ანექსია გარეშე მტრებისაგან მისი დაცვის საბაბით» [2]. ცარიზმი ახდენს საქართველოს სამეფოს ლიკვიდაციას და გადასცემს მას მთავარსარდალ კნორინგის გამგებლობაში, რომელიც ამიერიდან ხდება ამ მხარის მთავარ სამხედრო და სამოქალაქო უფროსად.

ამასთან ერთად დაარსებული ეგრეთ წოდებული «საქართველოს უზენაესი მთავრობა» მარტო თავისი დიდი სახელით, და არა საქმის შინაარსით, განირჩეოდა იმ დროის რუსეთის გუბერნიებში არსებულ საგუბერნიო მმართველობისაგან, სახაზინო და სასამართლო პალატებისაგან. საქართველოს უზენაესი მთავრობის ოთხი ექსპედიცია: აღმასრულებელი, სახაზინო და ორი სასამართლო (ერთი—სისხლის სამართლის, მეორე — სამოქალაქო საქმეებისათვის) მოწოდებული იყო შეეცვალა საქართველოში რუსეთის შიდა გუბერნიების დაწესებულებანი. საქართველო დაყოფილი იყო 5 მაზრად: ლორის — ცენტრით თბილისში, დუშეთის, გორის, თელავის და სიღნაღის [3].

როგორც საქართველოს უზენაესი მთავრობა, ისე ადგილობრივი დაწესებულებანი დაკომპლექტებული იყო რუსი

---

1 К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. XVI, ч. II, стр. 7

2 გ. ხაჭაპურიძე, საქართველოს შეერთება მეფის რუსეთთან. გვ. 15.

3 АКАК, т. I, № 566 и 575, стр. 448, 474.

მოხელეებით. საქართველოს უზენაესი მთავრობის ექსპედიციებს სათავეში ედგნენ რუსი მოხელენი, სამაზრო სასამართლოში თავმჯდომარეობდა რუსი მოხელე, სამაზრო გამგეობაში — «კაპიტან-ისპრავნიკი», რუს ოფიცერთაგანი; მხოლოდ სათათბირო ხმა ეძლეოდათ იმავე რუს მოხელეთა არჩევით დანიშნულ ქართველ თავადაზნაურებს — ეგრეთ წოდებულ მრჩევლებს (მდივანბეგებს) საქართველოს უზენაესი მთავრობის ექსპედიციაში, მსაჯულებს — სამაზრო სასამართლოებში და იასაულებს — საერობო პოლიციებში.

ადგილობრივ ელემენტებს, რა თქმა უნდა, არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ და საქართველოში ახალი მმართველობის შემოღების პირველ დღიდანვე ყველა საქმეს უკონტროლოდ განაგებდნენ რუსი მოხელენი[1]. ცარიზმის აზრით, როგორც ჩანს, ასეთი მმართველობა უნდა ყოფილიყო «ქართველი ხალხის გონება-განწყობასთან» შეფარდებული, «მართლმსაჯულების, «პიროვნებისა და ქონებრივი უშიშროების» უზრუნველმყოფელი და ახალი ქვეშევრდომის კანონიერი დაცვისათვის დაფუძნებული. ეს იყო აშკარა მოტყუება, ხალხის უფლებათა გათელვა.

ხალხის მასების გულის გატეხას, ამგვარი ტყუილის შემდეგ, მაშინვე უნდა ეჩინა თავი, როგორც კი ისინი გაიგებდნენ და შეიგნებდნენ, თუ როგორი მმართველობა მიანიჭა მათ ცარიზმმა. ამაში, რა თქმა უნდა, ეჭვი არ შეეპარებოდა არც კნორინგს, არც მის უახლოეს თანამშრომლებს, მათ შორის კოვალენსკისაც, რომელიც ახლა თბილისში «საქართველოს მმართველის» უფლებებით ჩამოვიდა; მთავარსარდლის შემდეგ იგი პირველი თანამდებობის პირი იყო, რომელიც თავისი კომპეტენციით გუბერნატორთან იყო გათანაბრებული. ამას მოწმობს ის ვითარება, რომელშიც ჩატარდა 1802 წლის 12 აპრილს საქართველოში მეფის მანიფესტის გამოცხადება და საქართველოს მცხოვრებთა მიერ ფიცის დადება.

თანამედროვეთა დამოწმებით, კნორინგმა თავისთან მიიწვია საქართველოს წარჩინებულნი და თბილისის ყველა

[1] В. Н. Иваненко, Гражданское управление Закавказьем. Тфл, 1901, стр. 31—32.

მცხოვრები. იმავ დროს თბილისში კავკასიის ხაზიდან დასძრეს დიდძალი ჯარი, რომელსაც ებრძანა ალყა შემოერტყა შეკრების ადგილისათვის. მხოლოდ ამის შემდეგ იქნა წაკითხული მანიფესტი და დაიწყო ფიცის მიღება[1]. ასეთი პირობები თავისუფალი გრძნობების ნებაყოფლობითი გამოთქმისათვის თბილისის მოსახლეობას, რომელსაც, კნორინგის განმარტებით, «სწყუროდა ყოფილიყო რუსეთის იმპერიის კანონის მფარველობის ქვეშ», არ მოეწონა და შეკრებილთ დაიწყეს დაშლა; არ სურდათ ფიცის დადება. ამის გამო დაპატიმრებულ იქნენ მთელი რიგი პირები, რუსეთის ორიენტაციის აშკარა მოწინააღმდეგენი უწარჩინებულეს ქართველ აზნაურთაგან. «ხალხი სასოწარკვეთილი დარჩა როგორც კნორინგის საქციელით, ისე საქმის წარმოების მისთვის სრულიად უცხო წესით, რომელიც შემოღებულ იქნა საქართველოს ახალი მმართველობის ჩამოყალიბების შემდეგო»[2], — გულწრფელად აღიარებს რუსი ოფიციალური ისტორიკოსი ნ. თ. დუბროვინიც კი.

მღელვარება დაიწყო თვით თბილისში, «მთელი თავადაზნაურობა უკმაყოფილოა საქმის ახლანდელი წარმოებით», —მოახსენებდა კნორინგს გენერალი ლაზარევი[3]. მოსახლეობაში ვრცელდებოდა ხმები, განზრახულია ქართველების რუსეთს გადასახლება და მათ ადგილზე კაზაკების დასახლებაო. თუ შენ აქაური ამბები გაინტერესებს, —სწერდა რუსეთიდან ერთი მოქალაქე თავად იოანე ორბელიანს, —მაშინ, რა თქმა უნდა, უკვე ნახული გექნება მანიფესტი. ახლა დიმიტრი ორბელიანს მისცეს სარდლობა, შენ კი იგი უკვე აღარ გაქვს, ბატონიშვილებს (რუსეთიდან) უკან არ უშვებენ. ისიც გავიგე, რომ იმათაც, რომლებიც მანდ იმყოფებიან, აქ მოითხოვენ და, როდესაც ისინიც გადმოყვანილ იქნებიან, საქმე ისეა მოწყო-

---

[1] **Н. Дубровин**, Закавказье... стр. 33, გარსევან ჭავჭავაძისადმი მინაწერი წერილებიდან. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. საერთო საქმეთა დეპარტამენტი.

[2] **Н. Дубровин**, Закавказье... стр. 33.

[3] 1802 წ. 23 ივნისს.

ბილი, რომ ბაგრატიონთა ყველა ნათესავი და მოყვარე აქვე გადმოიყვანონ, აგრეთვე ყველა მანდაური დიდგვაროვანი თავადი, აზნაური და გლეხიც კი უნდა გადმოიყვანონ და აქ დაასახლონ, ხოლო აქაური კაზაკები, 14.000 კომლი, გადმოჰყავთ საქართველოში»[1]. მრავალრიცხოვანი სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლები შეეცადნენ თავიანთ მიზნების განსახორციელებლად გამოეყენებინათ ხალხის მასებში წარმოშობილი უკმაყოფილება, დაეცვათ საქართველოში ბაგრატიონთა სამეფო დინასტია და იგი ქვეყნის მმართველობის სათავეში ჩაეყენებიათ.

«საქართველოს მკვიდრთ, — სწერს ალექსანდრე I-ისადმი წარდგენილ თავის მოხსენებაში ჩინოვნიკი ლოფიცკი, — მმართველ კოვალენსკის სახით მართლმსაჯულებას რომ ეძიებდნენ, არ ჰქონდათ სიამოვნება ენახათ თავისი იმედების განხორციელება კანონთა დაცვის საქმეში, ამიტომ სახლში ბრუნდებოდნენ პირქუში შთაბეჭდილებითა და დაეჭვებულნი იმ კეთილდღეობაში, რომელსაც რუსეთის მთავრობისაგან ელოდნენ»[2].

«აქაურ თავადაზნაურთაგან,—სწერდა ლაზარევი კნორინგს, —ყველას ჰყავს თავდადებული ქვეშევრდომნი, დარჩა მცირე ნაწილი ერთგულთა (რუსეთის მთავრობისა) და ამათშიც უეჭველად მოიძებნებიან ისეთები, რომელნიც ერთნაირად ერთგულნი არიან ჩვენიც და მოწინააღმდეგე პარტიისაც და პირველ შემთხვევისთანავე გადავლენ იმათ მხარეზე, ვინც მათი შეხედულებით უფრო სასარგებლო იქნება. ყაზახები, ბორჩალოელები და საერთოდ თათრები ერთგული არ არიან, სურთ ცვლილებები და აშკარაა არ გაუშვებენ შემთხვევას, რომ აგვიმხედრდნენ... უკმაყოფილება ახლანდელი მმართველობის საქმის ნელი წარმოების გამო, შიში მტრის თავდასხმისა, აღშფოთება და თითქმის აშკარა დრტვინვა ჩვენს (მთავრობის) მიმართ», — ასეთი იყო, ლაზარევის სიტყვით, სულიერი განწყობილების ნამდვილი სურათი საქართველოში რუსეთთან შეერთების მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ.

---

[1] АКАК, т. I, № 557, стр. 442.

[2] АКАК, т. III, стр. 4, № 1. приложение, п. 1-й.

მხოლოდ კნორინგს, რომელიც მთავარი დამნაშავე იყო საქმის ამგვარად წარმართვისათვის, რაც მის მიერ ქვეყნის მმართველობის შესახებ შედგენილი დებულების შემოღებას მოჰყვა, ეყო თავხედობა იმპერატორისათვის მოეხსენებინა: «ყველგან მესმოდა წარსულ უბედურებათა მწარე მოგონება და სიხარულის გამოხატვა თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის უძლიერეს მფარველობაში საქართველოს შემოერთებისა და ქვეყნის მმართველობის გამო»-ო [1].

საქართველოს პირველი მმართველი კოვალენსკი სამაზრო პოლიციის უფროსებსა და სამაზრო სასამართლოების წარმომადგენლებთან ერთად განაგრძობდა ქართველი ბატონიშვილებისა და ფეოდალების ძველ პრაქტიკას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მანამდე თვითნებობა და უკანონობა ხდებოდა უფრო პრიმიტიულ და მარტივ ვითარებაში.

კოვალენსკი, რომელმაც დიდი დანაშაულებრივი მოქმედებანი ჩაიდინა, დათხოვნილ იქნა. თავისი თანამდებობა მან დასთმო მხოლოდ დიდი ბრძოლის შემდეგ. ალექსანდრე 1-ის პირადი განკარგულების ძალით. მასზე ცოტა ადრე გადაყენებულ იქნა კნორინგი, რომლის ნაცვლად საქართველოში მთავარსარდლად დაინიშნა (1802 წ. 8 სექტემბერს) თავადი პ. დ. ციციანოვი.

პ. ციციანოვის დანიშვნა პასუხი იყო საქართველოს საელჩოს წარდგინებაზე კნორინგის გადაყენებისა და საქართველოში რომელიმე ქართველის დანიშვნის შესახებ. ეს დანიშვნა ერთგვარ დათმობას წარმოადგენდა ქართველთა ნაციონალური გრძნობების წინაშე, და ამავე დროს მეფის დიპლომატიის მარჯვე ფანდიც იყო. მთავარმართებლად დანიშნული თავადი პ. ციციანოვი, რომელიც რამდენადმე ჰკვიანურად, მაგრამ უფრო მეტი სიმკაცრით შეუდგა საქართველოს «ათვისების» პოლიტიკის გატარებას, ძველი ქართული ფეოდალური საგვარეულოს შთამომავალი იყო, ამ საგვარეულოს კი ქართველ მეფეებთან ნათესაური კავშირი ჰქონდა. მისი პაპა ჯერ კიდევ პეტრე I-ის

---

[1] 1802 წ. 25/V პატაკი. აქტები, ტ. I, № 78, გვ. 476.

დროს გადასახლდა რუსეთში. პ. ციციანოვი დაწინაურდა ეკატერინე II-ის კარზე; გენერლის ჩინით დაჯილდოებული, იგი მონაწილეობას იღებდა რუსეთ—ოსმალეთის ომში და დიდი სისასტიკით ჩააქრო პოლონეთის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. საქართველოში ციციანოვი, როგორც მეფის მთავრობის ერთგული მსახური, ენერგიულ კოლონიზატორულ პოლიტიკას ატარებდა; ციციანოვი ჩემულობდა ადგილობრივი ზნე-ჩვეულების, ცხოვრების პირობების ცოდნას, მაგრამ თავის მოქმედებაში არ ჩამოუვარდებოდა სასტიკ აზიურ დესპოტებსაც კი [1].

ციციანოვი იყო რუსეთის იმპერატორის ერთ-ერთი უერთგულესი მსახური, დაუღალავი და შეუბრალებელი დასახული მიზნის მიღწევაში.

ციციანოვს და ერმოლოვს ერთნაირი მეთოდები ჰქონდათ ხალხების მართვისა. აზიაში მოქალაქეობრიობის საწყისთა დანერგვა, პიროვნებისა და კანონების პატივისცემა, «უწყინარი ხასიათი და მოყვასის სიყვარული», ამ მოღვაწეთა აზრით, რომელნიც დარწმუნებული იყვნენ «აზიელთა ფსიქოლოგიის ცოდნაში», შესაძლებელი იყო იმ უდიდესი სიმკაცრის გზით, რაც მძვინვარე სისასტიკედ იქცევა და რითაც ისინი იმათ გულში, ვისაც მართავდნენ, შიშის გრძნობას აღძრავენ. ციციანოვის ენის «კოლორიტობა» ადგილობრივ მკვიდრთადმი მიმართვისას წესიერების ყოველ საზღვარს სცილდებოდა. ციციანოვთან კეთილსასურველი დამოკიდებულება ჰქონდა საქართველოს ფეოდალების მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც თავის ფეოდალური პრივილეგიების შენარჩუნების ერთგვარ იმედებს ამყარებდა ამ «საქართველოს მიწის შვილის» დახმარებაზე. ციციანოვის ტაქტიკა მათ მიმართ ფხიზელი იყო. ის, მაგალითად, დათმობაზე მიდიოდა და მოურაობას უნარჩუნებდა იმათ, ვინც სახელი გაითქვა გლეხებისაგან უზომო ქრთამების აღებით.

---

1 გ. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე, გლეხთა მოძრაობანი საქართველოში XIX საუკუნეში, 1932 წ., გვ. 34.

ამ წლებში ამიერკავკასიის მართვის ისტორიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფორმულას: გამგებლობამ ვალად იდოს შეგუება «ხალხის გონება-განწყობისადმიო», რომელიც მოცემული იყო ალექსანდრე I-ის მანიფესტში. ამ ფორმულის გაგება და განმარტება, მმართველების პირად თავისებურებათა მიხედვით, ხშირად სრულიად სხვადასხვაგვარი იყო. ციციანოვი ამბობდა, «კანონებმა ვალად უნდა იდონ მოიქნან ზნე-ჩვეულებათა მიხედვითო»[1]. მისი გაგებით, ეს ნიშნავდა ბატონყმობის უფლების დაცვას, ბატონყმური წყობილების შეურყევლობას. ქართველი ფეოდალებისათვის ეს ფორმულა საყვარელ იარაღს წარმოადგენდა მათ ბატონყმურ სულისკვეთებათა განხორციელებისათვის.

ახალი წყობილების დამყარება ისეთი უხეში წესით ხდებოდა, რომ ხალხში უკმაყოფილებას იწვევდა. ადგილობრივ პირობებს თითქმის არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ და უცვლელად გადმოჰქონდათ შიდა რუსეთის არა მარტო კანონები, არამედ მმართველობის ყველა მეთოდიც. ამასთან მთავრობა აწარმოებდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას და ამ მხრით მტკიცედ მისდევდა დასახული გეგმის განხორციელებას.

ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობა ქართული ენის უცოდინარ რუს მოხელეთა და სამხედრო პირთა ხელში იყო, რომლებიც არც ქართველთა ზნე-ჩვეულებებს იცნობდნენ, არც გამგებნი იყვნენ ხალხის მოთხოვნილებებისა. ამასთან საქართველოს მმართველის თანამდებობაზე დანიშნულმა კოვალენსკიმ შესძლო მთელი ჩინოვნიკობა შეერჩია თავის ნათესავ-ნაცნობებისაგან[2].

«ახლად დაარსებულ დაწესებულებებში, სადაც საქმისწარმოება უცხო, ადგილობრივ მცხოვრებთათვის გაუგებარ ენაზე მიმდინარეობდა, გაბატონდა ხელისუფალთა და მოხელეთა სრული თვითნებობა. ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქ-

---

1 „Законы долженствуют взгибаться по нравам". АКАК Т. II, стр. 46.

Бутков, т. II, стр. 495.

ცა: მექრთამეობა, საქმის წარმოუდგენელი გაჭიანურება და მოსყიდვა. სასამართლოში სამართლის მაგიერ უსამართლობა იყო გამეფებული, სულ უმნიშვნელო საკითხის გადაწყვეტაც კი ათი წლობით ჭიანურდებოდა» [1]. ხალხი მიჩვეული იყო საქმის სწრაფად და საბოლოოდ გადამწყვეტ სასამართლოს, ახლა კი უნდა გაევლო მთელი რიგი სასამართლო ინსტანციები ათასგვარი გაუგებარი ფორმალობითა და აუცილებელი სიძნელით. თვით ციციანოვიც კი იძულებული იყო განეცხადებინა: «რაოდენი დაბრკოლებაა სასამართლოს წარმოებაში—მათთვის ყველაფერი ახალია, ჩვენთვის ყველაფერი უცნაურია. მოსამართლე და მოჩივნელი ერთმანეთს ვერ უგებენ და ორივე უკმაყოფილო რჩება»-ო [2]. «ადვილი წარმოსადგენია, — წერს ისტორიკოსი ვ. ნ. ივანენკო, — ჩვენმა გამგეობამ რამდენი მღელვარება და უსიამოვნება გამოიწვია პირველ ხანებშივე. ჩვენ უკვე აღარ ვლაპარაკობთ ბატონიშვილებზე, რომლებმაც დაივიწყეს პირადი შუღლი და საერთო ძალით იწვევდნენ ყველას და ყველაფერს მთავრობასთან საბრძოლველად, იმ მთავრობასთან, რომელმაც ისინი საქართველოს უბრალო თავადებად გადააქცია; მრავალრიცხოვანი თავადები და აზნაურები, რომელთაც ჰქონდათ მემკვიდრეობითი თანამდებობანი და შემოსავალი, ჰკარგავდნენ მდგომარეობასაც, ძალაუფლებასაც, ცხოვრების საშუალებასაც, იძულებული იყვნენ «ვიღაც» კაპიტან-ისპრავნიკს დამორჩილებოდნენ და დაკმაყოფილებულიყვნენ უმნიშვნელო მუდმივი პენსიით, რაც ალექსანდრე I-მა უმაღლესი რესკრიპტით აღუთქვა დანაკარგის სანაცვლოდ» [3].

უპირველეს ყოვლისა, ცარიზმმა სისრულეში მოიყვანა გადაწყვეტილება საქართველოს ტერიტორიიდან მეფის საგვარეულოს წარმომადგენელთა განდევნის შესახებ; მათ

---

[1] გ. ხაჭაპურიძე, გლეხთა მოძრაობანი საქართველოში XIX საუკუნეში, 1932 წ., გვ. 14—15.

[2] АКАК, т. II, № 65, стр. 46.

[3] В. Н. Иваненко, Гражданское управление Закавказьем. Тифлис, 1901, стр. 38.

შორის პირველ რიგში განდევნილ იქნენ ქვრივი დედოფლები მარიამი და დარეჯანი. მეფის საგვარეულოს გადაუდებელ გაძევებას განსაკუთრებით დაჟინებით მოითხოვდა საქართველოში მყოფი მუსინ-პუშკინი, რომელმაც დაიწყო ახტალის საბადოების დამუშავება კონცესიონერ-მონოპოლისტის უფლებით. «მეფის ოჯახი, აქაურ საზღვრებიდან გაუძევებელი, შურის თვალით შესცქერის დაკარგულ გვირგვინს,— სწერდა 1802 წ. 20 აგვისტოს მუსინ-პუშკინი დიმიტრი პროკოფის-ძეს ტროშჩინსკის,—და მისი სხვადასხვა წევრები, წინათ მტრულად განწყობილნი, დღეს ერთხმად ერთდებიან, რათა აზიური პოლიტიკის ყოველგვარი ხრიკებითა და ცბიერებით ყოველი მხრიდან მოუწოდონ მტერს რუსების წინააღმდეგ. გაქცეული ბატონიშვილები აღელვებენ სპარსელებსა და იმერლებს და იმედით ჰკვებავენ ახალციხის ფაშას მიიღოს მონაწილეობა იმ დალუპვაში, რომელიც მათ სურთ მოუმზადონ რუსებს. ლეკების თარეში უმეტეს ნაწილად მეფის ოჯახის ჩაგონებით ხდება... რათა დაარწმუნონ აქაური უბრალო ხალხი, რომ რუსეთის მფარველობა მათ უზრუნველსაყოფად საკმარისი არ არის... თბილისში არა ერთხელ გავრცელდა ხმები, თითქოს სურთ სცადონ დახოცვა აქ მყოფი რუსებისა» [1].

1803 წ. 7 მარტის რესკრიპტში ალექსანდრე I სწერს ციციანოვს: «რამდენადაც სამწუხაროა ჩემთვის იმ მდგომარეობის დანახვა, რომელშიც იმყოფება მეფის ოჯახი (საქართველოში), იმდენადვე, ვცნობ რა საქართველოდან მათ გაძევებას თქვენს მიერ აწერილ სხვადასხვა გარემოებათა გამო აუცილებელ საჭიროებად, გავალებთ ამ საქმეს შეუდგეთ დაუყოვნებლივ» [2]. ციციანოვი მთელი ენერგიით შეუდგა მიღებული დავალების შესრულებას და მალე მეფის ოჯახის დიდი ნაწილი გადასახლებულ იქნა რუსეთში. მეფის საგვარეულოს წევრთა რუსეთს გადასახლებამ უთუოდ ერთგვარად შეამცირა ცარიზმით უკმაყოფილო ელემენტთა რიგები საქართველოს შიგნით.

---

[1] АКАК, т. I. № 502, стр. 396, 397.

[2] АКАК, т. II, № 30, стр. 27.

რუსეთის იმპერიის მოხელეები არაფერს ერიდებოდნენ. ისინი «ანგარიშს არ უწევდნენ ქართულ ენას, კულტურას, ადგილობრივ სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობებს. პირდაპირ და უცვლელად გადმოჰქონდათ ჩვენში რუსული დაწესებულებანი. ყველგან პირველობდნენ რუსი მოხელეები, რომელთაც ქართული ენა არ იცოდნენ და საქართველოში მოხვედრილიყვნენ მხოლოდ იმიტომ, რომ აუტანელი იყვნენ რუსეთში» [1].

აქვე უნდა ითქვას, რომ კავკასიას რუსეთში ისე უყურებდნენ, როგორც ციმბირს. საქართველოში ხშირად იგზავნებოდნენ სხვადასხვა დამნაშავენი ცენტრალური გუბერნიებიდან. აქეთ მოეშურებოდა ცენტრში გამოუსადეგარი ბედდაკარგული მოხელე, ვინაიდან აქ მას სამსახურიც ადვილად ეძლეოდა და ჯამაგირიც მეტი ჰქონდა. ამას გარდა, ადგილი ჰქონდა კანონთა გამოყენების სხვადასხვაობას, რასაც მოჰყვა ხელისუფალთა უდიდესი ბოროტმოქმედებანი. შემდგომ ხანებში მთავარმართებელი პასკევიჩი ასე ახასიათებდა მმართველობას: უპირველეს ბოროტებას წარმოადგენს «მმართველობის გასაოცარი ნაირნაირობა. ერთ მაზრაში რუსეთის სამართალია შემოღებული, მეორეში აღმასრულებელი ხელისუფლება სასამართლოს უფლებასთან არის გაერთიანებული. ყველგან ხდება რუსეთისა და ქართველთა კანონების ერთმანეთში აღრევა... ადგილობრივი დაბალი მოხელეების ბოროტმოქმედებანი უმაღლეს წერტილს აღწევდა.... საგუბერნიო უფროსების თვალყურის დევნება წესიერებისა და მართლმსაჯულებისადმი ფრიად სუსტი იყო... არსებობს მრავალი სხვადასხვა გადასახადი, რომელიც ხალხს ძალიან აწუხებს და ვაჭრობა-მრეწველობას თრგუნავს».

ეკონომიური და სტრატეგიული სარგებლობა, რაც ცარიზმმა მიიღო, აშკარა გახდა XIX საუკუნის დასაწყისში. «ერთმორწმუნე» და მეტად მძიმე მდგომარეობაში მყოფ საქართველოსადმი სამსაუკუნოვანი მისწრაფების განხორციელებას შედეგად მოჰყვა საქართველოს ტერიტორიის სამხედრო

---

1 გ. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე, გურიის აჯანყება 1841 წელს, გვ. 5.

ოკუპაცია, 1783 წ. ტრაქტატის დარღვევა და სამეფოს შთანთქმა უდიდესი იმპერიის მიერ. საქართველო იქცა რუსეთის გუბერნიად, მის მოსახლეობას დაადგეს კოლონიური ჩაგვრის მძიმე უღელი, რომელსაც ამძაფრებდა სამხედრო ოკუპაცია და ხალხისათვის უცხო და უჩვეულო სამხედრო-ბიუროკრატიული მმართველობის შემოღება.

კ. მარქსის სიტყვები, ზოგადად თქმული ცარისტული რუსეთის მართვა-გამგეობითი სისტემის შესახებ, სავსებით შეესაბამებოდა საქართველოში შექმნილ ვითარებასაც. კ. მარქსი წერდა: «რუსეთის მმართველობის სისტემა ყველგან, სადაც კი ის დაკავშირებულია ფეოდალურ დაწესებულებებთან, განა იგივე არ არის, რაც სამხედრო ოკუპაცია, რომელშიც სამოქალაქო ხელისუფლება და იურიდიული იერარქია ორგანიზებულია სამხედრო საწყისებზე და ხალხს აწევს შესანახად»[1].

ერთმორწმუნე უძლიერეს სახელმწიფოსთან, როგორიც იყო რუსეთის სამეფო, შემდეგში იმპერიად გადაზრდილი, საქართველოს ურთიერთობა ჰქონდა განუწყვეტლივ, საუკუნეების მანძილზე; რუსეთისადმი სწრაფვა მეტად ძლიერი და შეუნელებელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მასთან დაახლოების შედეგად საქართველოს არა ერთხელ განუცდია მწარე გულისტკივილი.

საქართველოს უკანასკნელი მეფეები და მათ ზურგს უკან მდგომი მოსახლეობის ფართო ფენები დაჟინებით მოითხოვდნენ რუსეთთან დაახლოებას ნაციონალურ-პოლიტიკური ინტერესების მაქსიმალურ დათმობათა საფასურით და მრავალი ვალდებულების მიღებით. საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენლები, უეჭველია, თავიანთ თავს ანგარიშს აძლევდნენ, თუ რა მოჰყვებოდა ამგვარ ვალდებულებებს და რაოდენ დიდ ტანჯვა-წამებას უმზადებდნენ ისინი თავიანთ მშობლიურ მიწა-წყალსა და ხალხს. მაგრამ შექმნილი იყო ისეთი მდგომარეობა, რომ, მათი რწმენით, სხვა უკე-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, М. 1933. т. IX, стр. 397

თესი გამოსავალი იმ დროისათვის არ არსებობდა და აუცილებელი იყო ასეთი დიდი მსხვერპლის გაღება, რათა ქართველი ხალხი გადაერჩინათ ფიზიკური მოსპობისაგან.

თუ ქართველმა ხალხმა მოახერხა თავისი ნაციონალური სახის, თავისი ნაციონალური ინდივიდუალობის შენარჩუნება, ეს შესაძლებელი აღმოჩნდა ქართველი ხალხის განსაკუთრებული წინააღმდეგობის უნარისა და ბევრი მისი მმართველის მოქნილი პოლიტიკის გამო, რომლებიც სარგებლობდნენ ირანისა და თურქეთის მეტოქეობით, აგრეთვე რუს ხალხთა კავშირის განმტკიცებით.

მიუხედავად იმ უარყოფითი შედეგებისა, რომელნიც მოჰყვა საქართველოს რუსეთთან შეერთების აქტს, არ შეიძლება მასში არ დავინახოთ დადებითი მხარეები ქართველი ხალხისათვის. მიუხედავად ტანჯვისა და ჩაგვრის მძიმე გზისა, ქართველმა ხალხმა შეინარჩუნა ფიზიკური არსებობა, თავი იხსნა თურქეთისა და ირანის მხრით დამონების უფრო ცუდი ხვედრისაგან. ცარიზმის დროს საქართველო ჩართულ იქნა მსოფლიო ურთიერთობის სისტემაში და ამ გარემოებამ ბიძგი მისცა საწარმოო ძალებისა და ახალ საწარმოო ურთიერთობათა განვითარებას. მიუხედავად ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა არსებობისა, კაპიტალისტურმა განვითარებამ გზის გაკაფვა იწყო საქართველოშიც. აქ გაჰყავთ რკინიგზები, ფოსტა, ტელეგრაფი, იწყება მარგანეცის, ქვანახშირის დამუშავება, შენდება ქარხნები და ფაბრიკები. XIX საუკუნეში საქართველოში ყალიბდება ეროვნება და ჩნდება კაპიტალისტური საზოგადოების ორი ძირითადი კლასი — პროლეტარიატი და ბურჟუაზია [1].

«საქართველო, როგორც ერი, მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა, როცა ბატონყმობის გაუქმებამ და ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ზრდამ, გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ დაამყარა შრომის განაწი-

---

[1] გ. ხაჭაპურიძე, საქართველოს შეერთება მეფის რუსეთთან, გვ. 18—19.

ლება საქართველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ შეარყია სამთავროთა სამეურნეო კარჩაკეტილობა და ერთ მთელად შეაკავშირა ისინი» [1].

სავსებით ცხადია, რუსეთის მეშვეობით დაუკავშირდა ქართველი ხალხი მოწინავე კულტურას და ჩაება სამეურნეო და კულტურული განვითარების ფერხულში.

---

1 ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 318

## თავი მეორე

## I

## გაკვრით გლეხობის მდგომარეობაზე XVIII — XIX სს. მიჯნაზე

ცნობილია, რომ XVIII საუკუნეში საქართველო, როგორც ამიერკავკასიის ყველა დანარჩენი ქვეყანა, საშინელ ეკონომიურ კრიზისს განიცდიდა. სახელმწიფო შემოსავლის დაცემა და ფეოდალური დიდკაცობის გაერთიანება, რომელიც უკვე ეჩვეოდა აღმოსავლურ ფუფუნებას და საოჯახო მოთხოვნილების ევროპულ საგნებსაც კი, უწინარეს ყოვლისა საშინელ ტვირთად აწვებოდა გლეხთა წოდებას. სახელმწიფო და ფეოდალები ცდილობდნენ თავიანთი დაქვეითებისა და უბედურების მთელი სიმძიმე გლეხობის ზურგზე გადაეტანათ.

XVIII საუკუნეში საეკლესიო გლეხების დაბეგვრა საქართველოში აღწევდა ფულზე გადატანით კომლზე 15,5 აბაზამდე (3 მან. 12 კაპ.), ან წელიწადში 60 სამუშაო დღემდე, სახელმწიფო ბეგარის ჩაუთვლელად (სამხედრო, კოდის პური, კულუხი, ირანის ხარკი — კომლზე 3,5 აბაზი). ეს ბეგარა რომ შევკრიბოთ და გადავიტანოთ სამუშაო დღეებზე, მივიღებთ, რომ საეკლესიო გლეხს 150 სამუშაო დღიდან წლიურად 80 სამუშაო დღე უნდა მიეცა ფეოდალისათვის. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ საეკლესიო გლეხების მდგომარეობა შედარებით უკეთესი იყო, ვიდრე მემამულეთა გლეხებისა [1].

---

[1] **О. Какабадзе.** Крестьянский вопрос и крестьянские движения в Восточной Грузии в 18 в (Сборник—„История классовой борьбы в Закавказье“, Тфл. 1930), стр. 166.

თავად ზაალ გურამიშვილის საბატონო გლეხი, სახელად ქრისტეფორე, თავის წერილში 1789 წლის 10 იანვარს სწერს თავის ბატონს: «რა გსურს ჩემგან, რატომ მინადგურებ მთლად ოჯახს?... მე წავედი (თბილისში), რომ რაიმე შევისწავლო... ერთი ნაბადი ვიყიდე და ისიც შენს სიძეს უნდოდა წაერთმია. რამდენი ბატონი უნდა ავიტანო? რა გინდათ ჩემგანა?» [1]

გლეხების გაღატაკებას ხელს უწყობდა არა მარტო იმ ბეგარის სულ მზარდი სიმძიმე, რომელიც ფეოდალებისათვის უნდა მოეხადათ ანდა სახელმწიფოსათვის გადაეხადათ. თვითონ ფეოდალები, განსაკუთრებით შინაბრძოლების დროს, ანადგურებდნენ გლეხებს, მიჰყავდათ ისინი ტყვედ და ჰყიდდნენ. მონობით ვაჭრობა საქართველოში, როგორც ისტორიკოსები ადასტურებენ, XVIII საუკუნეშიც არ შეწყვეტილა. «მონობით ვაჭრობა, — ამბობს აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი, — არასოდეს არ ღებულობდა ისეთ მახინჯ ფორმებს და საზოგადოების განვითარებისათვის ისეთ სახიფათო ხასიათს, როგორც იყო იგი საქართველოში XVI — XVIII საუკუნეებში». [2]. მონობით ვაჭრობა განსაკუთრებული დადასტურება იყო საქართველოში ყმა გლეხთა უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებისა. ამ მხრივ მეტად მძიმე იყო ქართლის გლეხთა ხვედრი. საციციანოდან XVIII საუკუნის ნახევარში ოჯახური შინაბრძოლების დროს ჯავახეთში გაქცეული მემამულე ზაზა ციციშვილი და იქვე შეფარებული მისი ბიძაშვილი პაატა ციციშვილი ნამდვილი ბანდიტები იყვნენ; შურს იძიებდნენ რა თავიანთ მტრებზე, ისინი თავს ესხმოდნენ თავიანთ ყოფილ გლეხებს, იტაცებდნენ მათ და მონებად ჰყიდდნენ თურქეთში. ასე, ზაზა ციციშვილმა სხვადასხვა დროს 54 კაცი, აზნაური და გლეხი, დაიჭირა და გაჰყიდა თურქეთში. პაატა და დავით ციციშვილებმა დაატყვევეს 155 სული და იმერეთსა და თურქეთში გაჰყი-

---

1 С. Какабадзе, цитир. сочинение, стр. 190.

2 ნ. ბერძენიშვილი, ნარკვევი ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ისტორიიდან საქართველოში (XIII—XVIII საუკ.), თბილისი, 1938 წ., გვ. 24.

დეს. ოთარ ციციშვილი ლეკებთან ერთად თავს დაესხა სოფელ მძოვრეთს და გაწყვიტა ყველა გლეხი, რომლებიც იქ თავს აფარებდნენ. ამ ბანდიტური თავდასხმის შედეგად «საციციანო, — ნათქვამია ერთ-ერთ ისტორიულ დოკუმენტში, — ისე დაცარიელდა, რომ 4 წლის განმავლობაში არც თესვა ყოფილა, არც ხვნა, არც ცეცხლი დანთებულა, არც კალო გალეწილა და არც მამლის ყივილი გაუგია კაცსა» [1].

მეფის ხელისუფლება იმდენად სუსტი იყო, რომ არ შეეძლო გლეხების დაცვა თვითნებობისაგან და ყაჩაღური ბანდის მსგავსი თავდასხმებისაგან, პირიქით, შერიგება უნდა ეძია ლტოლვილ ბანდიტ ციციშვილებთან და ქართლის მაშინდელმა მეფემ თეიმურაზ II-ემ სხვა გამოსავალი ვერ გამონახა, გარდა იმისა, რომ საციციანოში დაბრუნება შესთავაზა მათ. [2] გლეხობის შევიწროებამ და თვით ფეოდალების ბანდიტურმა თავდასხმებმა გამოიწვიეს გლეხების გაქცევა შეჩვეულ ადგილებიდან. «მუდმივმა დარბევებმა, რასაც განიცდიდა გლეხური მეურნეობა, და ძლიერმა ჩაგვრამ მემამულეთა მხრივ, ქართველი გლეხი აქციეს უაღრესად დაჩაგრულ არსებად, რომელსაც დაკარგული ჰქონდა ყოველგვარი ინტერესი თავისი შრომის ნაყოფიერების ამაღლებისადმი». [3]

ქართველ ყმას დაკისრებული ჰქონდა ორმაგი ბეგარა — მემამულისა და სახელმწიფოსი. სახელმწიფო გადასახადთა ძირითადი სახეობა იყო კოდის პური, საური, სურსათი და სხვა. ხოლო მემამულეს მიჰქონდა გლეხისაგან ყველაფერი, რის წაღებაც კი შეეძლო. ამ მხრივ მემამულის უფლება შეუზღუდავი იყო, მისი რეგულაცია მარტო ადათის მიხედვით ხდებოდა. აკადემიკოს ბროსეს (XIX საუკუნის 40-იან წლებში) გამოანგარიშებით, არსებობდა დაახლოებით 120 სახე გლეხთა ბეგარისა მემამულისადმი. თუ რამდენად დიდძალი იყო საბატონო გადასახადები, ეს ჩანს საქართველოს არქივის მასალებიდან. 1850 წელს დუშეთის მაზრის სოფ. გრემისხე-

---

1 С. Какабадзе, цитир. сочин., стр. 174—175

2 Там же, стр 175.

3 О. Маркова, Присоединение Грузии к России в 1801 г. (ж. „Историк—марксист", 1940, № 3).

ვის მცხოვრებ მემამულე ტერიევებს (ტერიშვილებს) მოუ-
სურვებიათ «პრიკაზიდან» (Приказ общественного призре-
ния)სესხის მიღება. სესხის საწინდრისთვის მემამულე ტერიევებს უძრავი ქონების აღწერა მოუხდენიათ. ამ აღწერილობაში მოყვანილია ცნობები საბატონო ყმების ქონებრივი მდგომარეობისა და იმ გადასახადების შესახებ, რომელთაც ყმები თავიანთ ბატონებს უხდიდნენ.

მოვიყვანოთ ზოგიერთი ცნობა. გლეხ გიორგი ბეჟიტაშვილის ოჯახი ათი სულისაგან შედგება; აქვს ფიცრის სახლი, ერთი გომი საქონლისთვის, მოწნული საბძელი და კალო. შენობებს უჭირავს დაახლოებით ნახევარი დღიური მიწა. ამ ოჯახს აქვს სახნავი მიწა რვა დღიური (4 დესეტინა) და სათიბი — ორი დღიური (1 დესეტინა). ეს ოჯახი თავის ბატონმემამულეს უხდის წელიწადში 22 კოდ (77 ფუთ) ხორბალს და ქერს და ბატონის მიწებზე სამუშაოდ გამოდის სხვადასხვა დროს წელიწადში 100 დღეს.

მეორე გლეხის — თომა ლანაურის — ოჯახში ათი სულია. აქვს ბანიანი სახლი და გომი, მოწნული საბძელი და კალო; საქონელი არა ჰყავს. სახნავი მიწები აქვს 24 დღიური (12 დეს.) და სათიბი — 4 დღიური (2 დესეტინა); აქვს ბოსტანი, უდგას ოთხი კაკლის ხე, აქვს თავის ნათესავებთან საზიარო ერთთვლიანი წისქვილი. ეს ოჯახი მემამულეს უხდის 25 კოდ (80 ფუთ) ხორბალს და ქერს, ბატონისათვის მუშაობს წელიწადში 80 დღეს. წელიწადში ორჯერ: საშობაოდ და სააღდგომოდ მიაქვს ბატონთან ძღვენი; ამ ოჯახიდან ბატონთან მუდმივ იმყოფება მოახლედ ერთი გოგო.

მესამე გლეხის — კიკოლა საღირაშვილის — ოჯახში 14 სულია. მისი სახნავ-სათესი მიწები, საბოსტნე და სათიბი საერთოდ 36 დღიურს (18 დესეტ.) შეადგენს. ჰყავს საქონელი — 3 ხარი, 1 კამეჩი და 1 ძროხა. ბატონს უხდის წელიწადში 15 კოდ ხორბალს და ქერს. ბატონისათვის მუშაობს წელიწადში 60 დღეს. ბატონის სამსახურისათვის ხუთჯერ გამოდის თავისი ურმით და ორჯერ — გუთნეულით. წელიწადში ორჯერ მიაქვს ძღვენი. ამას გარდა ეს ოჯახი ბატონს მოსამსახურედ აძლევს ერთ ბიჭს. ასეთია საშუალოდ ვალდებულებათა

ნორმა, რასაც ჩვეულებრივ ყმები უხდიდნენ თავის ბატონს [1].

ამან გამოიწვია ის, რომ საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური ნგრევის პირობებში, რაც მუდმივი საგარეო თავდასხმებისა და ქვეყნის შიგნით ფეოდალური ბრძოლის შედეგი იყო, გლეხი თავისი ქონებით იქცა თავისი ბატონის უბრალო ნივთად.

სასოწარკვეთილი გლეხობა ჯანყდებოდა თავისი მჩაგვრელი ფეოდალების წინააღმდეგ. 1772 წელს ფშავლები უკმაყოფილონი იყვნენ მათ რაიონში მეფის სახლთუხუცესის გრიგოლ ჩოლოყაშვილის დამკვიდრებით, რომელსაც მიწები გამოუყვეს სოფელ ფშაველში; გლეხებმა მას დაუნგრიეს აშენებული ციხე-სიმაგრე, თვითონ ის დაიჭირეს და ორი თვე ჰყავდათ ტყვედ, სულით ხორცამდე გაძარცვეს ბატონის მსახურების და გლეხობის 60 კომლი, გარეკეს 300 სული მსხვილფეხა საქონელი და 1.200-მდე ცხვარი [2]. 1786 წელს დაიწყო კახეთის გლეხთა ძლიერი მოძრაობა მემამულეთა წინააღმდეგ. 1786 წელს კახეთის მოურავები თავიანთ წერილში ქიზიყის მოურავის ანდრონიკაშვილის, ნაზირ შალიკაშვილის და მდივან ქობულაშვილის სახელზე, რომელნიც მაშინ მეფის კარზე იმყოფებოდნენ, ასე ახასიათებენ კახეთში არსებულ მდგომარეობას: «ჩვენ თქვენი ძმები ვართ... რადგან თქვენ ჩვენი მხარის შვილები ხართ და ამასთანავე დიდი მდგომარეობაც გაქვთ, ამიტომ ვალდებული ხართ იზრუნოთ კახეთზე. ჩვენ ვხედავთ და გვესმის, რომ კახეთის მოსახლეობა დიდად აღელვებულია და დრტვინავს. ზოგიერთ ადგილას მთელმა სოფლებმა ეკლესიებში შეფიცეს ერთმანეთს (პირი შეკრეს), ზოგან საქმე ერთიმეორის დაჭრამდე და მკვლელობამდე მიდის, ზოგ ადგილას აღარ ინახავენ მარხვას, მოქმე-

---

[1] ცენტრარქივი, იურიდიული განყოფილება, საქმე № 44; გ. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე, გლეხთა მოძრაობანი საქართველოში XIX საუკუნეში, 1932 წ. გვ. 20.

[2] С. Какабадзе, Крестьянский вопрос и крестьянские движения в Восточной Грузии в 18 в. (Сборник — „История классовой борьбы в Закавказье". Тфл., 1930), стр. 185—186.

დებენ ეკლესიის მიერ დაკანონებული გზების გარეშე. ყველა ეს უწესრიგობა თითქოს უფრო ძლიერდება» [1].

ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა შეემსუბუქებინა ეს მძიმე მდგომარეობა გლეხებისათვის სპეციალური კანონების გამოცემით, რათა მოეწესრიგებინა გლეხების დამოკიდებულება მემამულეებთან. 1748 წ. თეიმურაზ II ამცირებს მემამულეთა მიერ თავიანთი ყმების ძიების ვადას 30-დან 12 წლამდე; 1765 წელს ერეკლე II-ემ ნება მისცა გლეხებს, რომლებიც ტყვეობიდან ბრუნდებოდნენ, თავისი სურვილისამებრ ამოერჩიათ თავისთვის ბატონი, იგი ათავისუფლებდა მათ თავიანთი ძველი მემამულის ყმობის მოვალეობისაგან. XVIII საუკუნის სამოცდაათიანი წლების ბოლოს გამოიცა განკარგულება გლეხების უმიწოდ და ცალ-ცალკე გაყიდვის დაუშვებლობის შესახებ, გაყიდვა ნებადართული იყო მხოლოდ მიწით და მთელ ოჯახად [2].

გლეხთა მასების მდგომარეობა აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გაცილებით უფრო მძიმე გახდა. დამახასიათებელია, რომ რუსი ისტორიკოსების — დუბროვინის, ბერჟეს, ბუტკოვის და სხვათა — გამოკვლევებით, რუსი ჯარის მეთაურები XIX საუკუნის დასაწყისში მართლაც აღმაშფოთებელ ძალმომრეობას სჩადიოდნენ მდაბიო ხალხის მიმართ. გლეხობა გმინავდა მეფის გადაჭარბებული გადასახადების, ბეგარისა და ნაციონალური ჩაგვრის უღელქვეშ. ამიტომაც გლეხობა ამიერიდან შეუპოვარ ბრძოლას იწყებს ორმაგი ჩაგვრის წინააღმდეგ — ბატონყმური ურთიერთობისა და მეფის რუსეთის წინააღმდეგ.

საქართველოს პოლიტიკური დაპყრობისა და ახალი მმართველობის დამყარების შემდეგ მსხვილი ფეოდალები, სამეფო გვარეულობის წევრები და მათი ახლობელი პირები სავ-

---

1 С. Какабадзе. цитир. сочин., стр. 191.

2 Там же, стр. 180. 1785 წ. დოკუმენტი — ხელნაწერი ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში № 453-ით.

სებით ჩამოაშორეს მმართველობას, ჩამოართვეს მათ მთელი რიგი პრივილეგიები. როდესაც ამ ხალხმა დაინახა, რასაც უქადდა მათ ნამდვილად ცარიზმის მიერ დაფუძნებული მმართველობა, მათ თავიანთი უკმაყოფილება გამოხატეს საქართველოს მმართველისადმი წარდგენილი მთელი რიგი კოლექტიური თხოვნებით და კახეთში დაწყებული მოძრაობით, რომელშიც, ბატონიშვილებსა, თავადებსა და აზნაურებს გარდა, ხალხის მასებიც იღებდნენ მონაწილეობას. გენერალ გულიაკოვის მიერ მოხდენილი ოფიციალური გამოძიების თანახმად, მცხოვრებლებმა «ვერ შესძლეს უცებ შეთვისებოდნენ ისეთი პოლიციური სახელმწიფოს სიმკაცრეს, როგორიც იყო რუსეთი» [1].

საქართველოს ახალ მმართველობას ფეოდალების ნაწილმა უპასუხა ეგრეთ წოდებული «კახელ თავადთა შეთქმულებით». ყრილობაზე კელმეჩურში (1802 წ. ივლისი) ფეოდალებმა, რომლებმაც შეჰფიცეს ალექსანდრე I-სა და ბატონიშვილ იულონს, ალექსანდრე I-ს გაუგზავნეს 69 კაცის ხელმოწერილი თხოვნა «მეფე ერეკლეს ანდერძის» დამტკიცების შესახებ. ამასთან ერთად მათ მიმართეს მოსახლეობას მოწოდებით ბატონიშვილ იულონის მეფედ აღიარების შესახებ. მათ ფიცი დასდეს დაეცვათ ბაგრატიონთა მპყრობელური უფლებანი. ამას მოჰყვა გენ. ლაზარევისა და გულიაკოვის გალაშქრება სიღნაღში და გენერალ ტუჩკოვისა — დუშეთის მაზრაში. ლაშქრობა დამთავრდა მრავალრიცხოვანი დაპატიმრებით. ამ დაპატიმრებამ უფრო მეტად ააღელვა ქართველი ფეოდალები, რომლებიც ჩვეულნი არ იყვნენ პოლიციის ამგვარი ფორმით ზემოქმედებას. 20 კახელი თავადი გაიქცა ამ დროს ბატონიშვილ ალექსანდრესთან.

ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელმაც მჭიდრო კავშირი დაამყარა კახეთის თავადებთან, ამ დროს ჭარ-ბელაქანში მოქმედებდა, აგროვებდა ლეკების რაზმებს, ხოლო ბატონიშვილებმა იულონმა და ფარნაოზმა სცადეს იმერეთის მხრი-

---

1 АКАК, т. I, стр. 385: „ამონაწერი კახეთის ამბებზე ზოგიერთი იქაური თავადისაგან მოწყობილი არეულობის შესახებ"

დან შემოჭრა შეიარაღებული რაზმებით. წლის ბოლოს ქართლ-კახეთი უკვე ინტერვენციის აშკარა საფრთხის წინაშე იდგა. მას ემუქრებოდნენ ჭარ-ბელაქნისა და განჯის სახანოს, ახალციხის საფაშოს, იმერეთის სამეფოს, ერევნისა და ნახიჭევნის სახანოების მხრიდან. ფეოდალები ცდილობდნენ მიემხროთ მასები. კოვალენსკიმ, გენერალ ლაზარევის წარდგინების საფუძველზე, გააუქმა პურის გადასახადის აკრება. დავით ბატონიშვილიც, რომელიც შეურიგდა თავის ბიძებს, დაადგა ღალატის გზას და 1802 წ. ზაფხულში გააძლიერა ურთიერთობა ერევნის ხანთან. ქართველი ფეოდალების გამოსვლამ ბაგრატიონთა სამეფოსა და თავიანთი საკუთარი უფლების დასაცავად სრული მარცხი განიცადა. ამის მიზეზები შემდეგი იყო: მოსახლეობის ძირითადმა მასამ მათ მხარი არ მისცა; ირანი, პორტა და აგრეთვე მეზობელი სახანოები, რომელთაც მიმართავდნენ ხოლმე დახმარებისათვის ქართველი ფეოდალები, დასუსტებულნი იყვნენ; და, ბოლოს, თვით ფეოდალთა შორის გამეფებული იყო გახრწნილება. როგორც ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი წერს, ფეოდალურ-მონარქიული «ნაციონალიზმის» ამ «მოძრაობამ» «ვერც ერთი შესამჩნევი კვალი ვერ დააჩნია... ქართველების ცხოვრებას, ვერც ერთი ფაქტით ვერ ისახელა მან თავი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართველ თავად-აზნაურების ზოგიერთ შეთქმულებას რუსი მმართველების წინააღმდეგ კავკასიაში. საკმარისი იყო ოდნავ მოხვედროდა საზოგადოებრივი ცხოვრების ტალღები ამ ისედაც სუსტ «მოძრაობას», რომ ძირიანად დაენგრია იგი. და მართლაც, საქონლის წარმოების განვითარებამ, ბატონყმობის გადავარდნამ, სათავადაზნაურო ბანკის დაარსებამ, კლასთა ანტაგონიზმის გაძლიერებამ ქალაქსა და სოფელში, სოფლელი ღარიბების გაღონიერებულმა მოძრაობამ და სხვა ამისთანებმა — სასიკვდილო ლახტი დაკრა ქართველ თავადაზნაურობას და, მასთან ერთად, **«ფეოდალურ-მონარქიულ ნაციონალიზმს»** [1].

---

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ. ტ. I, გვ. 32—33.

ცარიზმი შეუდგა საქმის ისე მოწყობას ქვეყნის შიგნით, როგორც ამას მისი კოლონიური ინტერესები მოითხოვდნენ. თავდაპირველად საჭირო იყო ახალი ხელისუფლებისათვის სოციალური დასაყრდენის შექმნა. ასეთ დასაყრდენად შეიძლებოდა გამომდგარიყო საქართველოს მოსახლეობის ის მაღალი ფენა, რომელსაც რუსული მმართველობის შემოღებამდე აქ პოლიტიკური ძალაუფლება ხელში ეპყრა, ხოლო ამ მმართველობის შემოღების შემდეგ ეს ძალაუფლება უკვე აღარ ჰქონდა. და მთავრობაც შეუდგა თავადაზნაურობის საკითხის მოგვარებას იმ ვარაუდით, რომ ის თავის ერთგულ მოკავშირედ გაეხადა. მთავრობა ცდილობდა თავადაზნაურები გადაექცია მსხვილ ~~მემამულეებად და ამავე დროს~~ ჩაება პოლიციურ სამსახურში, რათა ამ გზით ისინი გაეხადა თავის აგენტებად კოლონიური პოლიტიკის გატარების დროს. მემამულეებს მთავრობამ ბევრი რამ დაუთმო და უწყალობა, განსაკუთრებით გლეხთა საკითხში. ქართველი მემამულეები უფლებრივად გაუთანასწორეს რუს აზნაურებს. ამის გამო ყმების მდგომარეობა საქართველოში არათუ არ გაუმჯობესებულა, არამედ, პირიქით, ფრიად გაუარესდა. ქართველ მებატონეებს საშუალება მიეცათ ურჩი ყმები ჯარში გაეგზავნათ ან ციმბირს გადაესახლებინათ[1].

თავადთა და აზნაურთა მიმართ ციციანოვმა დიდი მოხერხებით გაატარა სათანადო პოლიტიკა, თავადაზნაურობას მიენიჭა ყველა უფლება და უპირატესობა «რუსეთის ტახტის დასაყრდენ კეთილშობილთა წოდებისა». თავადაზნაურთ ეძლევათ კარისკაცთა წოდება, ჩინები, ორდენები, საჩუქრები, ენიშნებათ პენსიები იმ სახელოთა ანუ თანამდებობის ნაცვლად, რაც მათ უკანასკნელი ქართველი მეფეების დროს ჰქონდათ ნაბოძებ-ნაწყალობევი. ცარიზმის მიზანი იყო სოფლებში ჰყოლოდა თავისი ერთგული ხალხი, რომელიც ხმის ამოუღებლივ შეასრულებდა მთავრობის ყველა განკარგულებას.

---

1 გ. ხაჭაპურიძე, გურიის აჯანყება 1841 წელს, გვ. 5.

ქართველი თავადაზნაურობა, რომელმაც დაუმტკიცა რუსეთის ტახტს თავისი ერთგულება და გაიარა წინასწარი მომზადება რუსეთის სამხედრო სამსახურში, რწმენით ემსახურება ცარიზმს და სამხედრო ლაშქრობაში თუ სამოქალაქო სამსახურში თავისი სისხლით მას ეხმარება «უიმისოდაც თვალუწვდენელ რუსეთის იმპერიის» გაფართოებაში, შინაგან სახალხო აჯანყებათა ჩახრჩობაში და ასე შემდეგ.

ცარიზმი დაპყრობილ საქართველოში განზრახ ნერგავდა პატრიარქალურ ჩაგვრას, მთავრობა ხელს უწყობდა თავადაზნაურობას გაეძლიერებინა გლეხთა ექსპლოატაცია, რომელმაც ამის შემდეგ უფრო მკაცრი და ფართო ხასიათი მიიღო, ვიდრე ეს მანამდე იყო.

საქართველოს მემამულენი ისეთივე ხდებოდნენ თავიანთ სოფლებში, როგორებიც იყვნენ რუსი აზნაურები თავიანთ მამულებში. ისინი მოვალენი იყვნენ პასუხი ეგოთ თავიანთი მემამულეების მშვიდობაზე და მიეცათ გარანტია, რომ მათი ყმა გლეხები წესიერად მოიხდიდნენ საერთო სახელმწიფოებრივ ვალდებულებებს. მემამულეთა და გლეხთა შორის შინაგან დამოკიდებულებაში მთავრობა არ ერეოდა, აქ იგი სრულ თავისუფლებას აძლევდა მემამულეთა საკუთარ შეხედულებებს. ქართველი მემამულეების საჩივრების მიხედვით, გლეხები მემამულეებისაგან განუწყვეტლივ გარბოდნენ ან იკვეცებოდნენ ბერებად, იმალებოდნენ მონასტრებში. ამიტომაა, რომ ციციანოვი 1804 წლის 23 მარტს ანტონ კათალიკოსს გულისწყრომით შენიშნავს, რომ არქიმანდრიტები განუკითხავად და საკუთარი სურვილისამებრ ბერებად ჰკვეცავენ ყველას, «მიუხედავად წლოვანებისა, წოდებისა, მდგომარეობისა და მემამულეთა უკითხავად ყმებს ბერებად აკურთხებენო» [1].

აქვე უნდა ვიგულისხმოთ, რომ თავადაზნაურთა საჩივარი გლეხთა ქალაქებში გაქცევაზე, სადაც ისინი მიწის მუშაობას სცვლიდნენ ხელოსნობაზე, იყო ერთ-ერთი საბაბი ციციანოვის განკარგულებისა აღმასრულებელ ექსპედიციისადმი,

---

[1] **АКАК, т. II, № 520, приложение, стр. 267—268.**

რომ «გლეხები, რომლებიც ცხოვრობენ ქალაქებში, ორი თვის ვადაში უნდა დაბრუნდნენ თავიანთ სოფლებში და მემამულეებმა ამ ხნის განმავლობაში უნდა გაიყვანონ ქალაქებიდან თავიანთი ყმებიო»[1].

1807 წ. ციციანოვის შემცვლელმა გუდოვიჩმა, სასამართლოსა და სასჯელის ექსპედიციის წარდგინების თანახმად, ბრძანება გასცა — ყველა სამოქალაქო საქმე, აღძრული ერთი მემამულის კუთვნილ გლეხთა შორის, თვით მებატონემ გაარჩიოს და სასამართლოებმა ასეთი საქმე თავის წარმოებაში არ მიიღონ.[2]

ევროპული ცხოვრებისადმი ხარბად დაწაფებამ და ბაზარზე ახალი საფუფუნო საგნების გამოსვლამ თავადაზნაურობას გაუჩინა ახალი მოთხოვნილებები, რომელთა დასაკმაყოფილებლად მას სჭირდებოდა ის, რაც ნატურალური მეურნეობის ბატონობის დროს ნაკლებად აინტერესებდა, — ფული. ფულის საჭიროება თავადაზნაურობას აიძულებს გლეხობის მეტი ექსპლოატაცია მოახდინოს, რაც იწვევდა გლეხობის წინააღმდეგობას ფეოდალების მხრივ გაძლიერებული ექსპლოატაციის მიმართ, ეს კი თავადაზნაურობას აიძულებდა შემჭიდროებულიყო და ხსნა თვითმპყრობელობის ძალაში ეძია, ახალი ხელისუფლებისათვის მიემართა თხოვნით გლეხთა დასაწყნარებლად სამხედრო ძალების გაგზავნის შესახებ. ამგვარი თხოვნის გახშირებამ ციციანოვი იძულებული გახადა ასეთი მიწერილობა გაეგზავნა თავად მიხეილ ერისთავისათვის: «ნუთუ 4.000 კომლის მყოლს არ შეგიძლიათ დააწყნაროთ ერთი თქვენი სოფელი? ნუთუ მთავრობა მოვალეა დააწყნაროს ყველა მემამულის ხალხი, რომელიც არაფრის გამო ისე არ ჯანყდება, როგორც შემოსავლის უწესრიგო და გამოურკვეველი აკრების გამო?»-ო[3].

ამავე დროს «საქართველოს ტერიტორიაზე მრავალრიცხოვანი ჯარის ყოლა, განუწყვეტელი ომები, ხელისუფლების

---

[1] АКАК, т. II, № 70, стр. 49.

[2] АКАК, т. III, № 15, стр. 16.

[3] АКАК, т. II, № 671, стр. 335

ახალი აპარატის შენახვა — ყოველივე ეს დიდ ხარჯებს მოითხოვდა. ამ მიმართულებით თვითმპყრობელობა მტკიცე ეკონომიურ პოლიტიკას ატარებდა: საჭირო ფინანსიური საშუალებანი ადგილობრივ უნდა გამოძებნილიყო, სახელმწიფო ხაზინას ეს ხარჯები რაც შეიძლება ნაკლებად უნდა დაკისრებოდა. ამიტომ რუსი ხელისუფლება უმთავრესად გადასახადების სისტემას დაადგა; სრულებით ანგარიშს არ უწევდა გლეხობის ქონებრივ მდგომარეობას: გლეხობისაგან ითხოვდა აუტანელ დიდ გადასახადებს და მრავალგვარ ნატურალურ ბეგარას»[1]. გადასახადებისა და ბეგარის ასაკრებად, რაც იმ დროს ხშირად შეიარაღებული ძალით ხდებოდა, არსებობდა განსაკუთრებული აპარატი წმინდა ფეოდალური წარმოშობისა, — მოურაობა. მოურავები იგივე მემამულენი იყვნენ, მაგრამ მათ სახელმწიფოსაგან უფლება ჰქონდათ მიცემული — გაესამართლებინათ გლეხები და აეკრიბათ გადასახადები მოსახლეობისაგან. ამ ფუნქციების შესრულებისათვის, ჩვეულების თანახმად, მათ ერგებოდათ გადასახადთა მეათედი ნაწილი, მაგრამ პრაქტიკაში ეს წილი მეტად სხვადასხვა ოდენობისა იყო. ამ ნიადაგზე გლეხობაში იმთავითვე დიდი უკმაყოფილება არსებობდა. რაც დრო გადიოდა, ეს უკმაყოფილება უფრო და უფრო იზრდებოდა, იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ მეფის პოლიცია და მოხელეები, რომელთა შორის ადგილობრივი ფეოდალებიც იყვნენ, სულ უფრო და უფრო მეტ თვითნებობას იჩენდნენ და გლეხებს სულ უფრო მეტად ავიწროებდნენ.

გლეხთა მასები, რომლებიც ორმაგ ჩაგვრას განიცდიდნენ, სტიქიურად ჯანყდებოდნენ ფეოდალურ-ბატონყმური უსამართლობისა და მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ. აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი დამახასიათებელი მოვლენა — გლეხთა მოძრაობის გამოყენება რუსეთის მოწინააღმდეგე ფეოდალების მიერ. ფეოდალთა ძალები საკმარისი არ იყო დამოუკიდებელი გამოსვლისათვის, ისინი მიეკედლებოდნენ ხოლმე გლეხთა აჯანყებებს და, მოიგდებდნენ თუ არა ხელში მოძრაობას

---

[1] გ. ხაჭაპურიძე, გლეხთა მოძრაობანი საქართველოში XIX საუკუნეში, 1932 წ., გვ. 12.

რომელიმე ბატონიშვილის ალმის დახმარებით, მაშინვე ანტირუსულ მიმართულებას მისცემდნენ მას. ასეთ მდგომარეობას ადგილი ჰქონდა საქართველოს მთიანეთის გლეხთა აჯანყების დროსაც.

გლეხების საოცარმა ექსპლოატაციამ, აშკარა ძარცვა-გლეჯამ მალე თავისი ნაყოფი გამოიღო: გლეხები გარბოდნენ ფეოდალებისაგან, იკლებდნენ მათ ოჯახებს, ცეცხლს აძლევდნენ მათ მამულებს.

1804 წლის გაზაფხულზე დაიწყო გლეხთა პირველი მასობრივი აჯანყება. ეს აჯანყება დაიწყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში, იქ, სადაც სამხედრო გზა გადის. აჯანყებამ მასობრივი ხასიათი მიიღო, მასში მონაწილეობდნენ მთიულები, მოხევეები, ხევსურები, ფშავლები და ოსები, ერთობ მთებში მცხოვრები მოსახლეობა, მთელი მთიანეთი.

II

## ქართლის მთიანეთის მოკლე პოლიტიკური და ეკონომიური მიმოხილვა

ის გეოგრაფიული თავისებურება, რომელიც მთას ახასიათებს და ბარისაგან განასხვავებს, თავის მხრივ ძლიერ გავლენას ახდენს მეურნეობის ხასიათზედაც. მთის სამეურნეო დახასიათება მოცემული აქვს ვახუშტი ბაგრატიონს, ხოლო XIX საუკუნის 20-იანი წლებისათვის — ცარიზმის მთელ რიგ მოხელეებს თუ სპეციალურად ამ საქმით დაინტერესებულ პირებს. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ჰილაშვილის ცნობები მთის სამეურნეო ხასიათის შესახებ.

1827 წელს ჰილაშვილი, რომელიც მთის მმართველად ითვლებოდა, ფინანსთა მინისტრის კანკრინის დავალებით ადგენს მთის სამეურნეო მიმოხილვას და მთავრობას უდგენს თავის ნაშრომს. მისი ეს ცნობები აქტების მეშვიდე ტომშია დაბეჭდილი და ეწოდება «ნ[ადვორნი] ს[ოვეტნიკის] ჰილაევის

მოხსენება საქართველოს სამხედრო გზაზე მთიელი ხალხების შესახებ». ჩამოთვლის რა მთის ზოლის სხვადასხვა ხეობებს (მთიულეთი, გუდამაყარი, ხევი, თრუსო), ავტორი დასძენს: «აქ არ არის ბაღები, თესენ ქერს, მიწებს არ ასვენებენ. მცხოვრებნი ყოველწლიურად ყიდულობენ პურს საქართველოს სხვადასხვა ადგილებში და აგრეთვე ვლადიკავკავს იქით ნაზრანში. სათიბები კარგი და ვრცელი აქვთ. მცხოვრებნი მისდევენ მეცხვარეობას. რძისაგან აკეთებენ ყველს, მატყლისაგან ქსოვენ შალს, ტყავისაგან ისხამენ ქალამნებს». [1]

იმის გამო, რომ სახნავი მიწები მცირე და მწირია, დასახლებულ ხეობებში ნიადაგ საყოველთაო სიღატაკე სუფევს. «სიღატაკე წარმოადგენს განსაცვიფრებელ სურათს. მცხოვრებთა არსებობისა და მათგან სახელმწიფო შემოსავლის ერთადერთ წყაროს შეადგენს ამუნიციისა და სავაჭრო ტრანსპორტის მთებზე გადატანა» [2].

თრუსოს ხეობაში, ჰილაშვილის თქმით, სახნავი მიწები თითქმის არ არის, აქა-იქ საქერედ თუ მოქორჩნიან, მცხოვრებნი მეცხვარეობას მისდევენ, საუკეთესო სათიბი მთები აქვთ და «ზაფხულ-ზამთარ ინახავენ საქონელს, მატყლისაგან ამზადებენ საკმაოდ კარგ ქეჩას, ყაბალახებს, ნაბდებს და მთის მაუდს; რძისაგან — ყველს, ტყავებისაგან კი — ქურქებს; აკეთებენ ტყავებს, თასმებს და სხვ. და ჰყიდიან საქართველოს სამხედრო გზაზე, დუშეთსა და თბილისში» [3].

«აქ (ლაპარაკია მთიულეთზე, ხანდოზე, ჰართალზე და გუდამაყარზე, ვ. ტ.) მოდის ხორბალი, ქერი და ფეტვი. მოსავლიანობა აქაც მცირეა, ცხვარი ზაფხულს მთაში ჰყავთ, ხოლო ზამთრობით ქართლის ველებზე ჩამოუდით» [4].

ამრიგად, თუ გავიხსენებთ მთის ვახუშტისეულ დახასიათებას და შევადარებთ ჰილაშვილისეულს, დავინახავთ, რომ მთას ასი წლის განმავლობაში ცვლილება დიდად არ ეტყობა, გარდა იმისა, რომ საქართველოს სამხედრო გზაზე, გასაგები

---

1 АКАК, т. VII, стр. 349, № 298.
2 АКАК, т. VII, стр. 349.
3 Там же, стр. 349.
4 Там же, стр. 350.

მიზეზებით, გაცხოველებულა მიმოსვლა, რასაც თავის ორბიტში მოუქცევია ამ გზის პირას მცხოვრებნიც.

XIX საუკუნის დამდეგიდან სულ უფრო და უფრო ფართოვდება სავაჭრო-საბაზრო ქსელი. ეს პროცესი თანდათან მთაშიც იჭრება. ძველი სამაზრო ცენტრები: დუშეთი [1], ანანური, ახალგორი, ცხინვალი კიდევ უფრო მეტად იზიდავენ ხალხს, მათ გვერდით ჩნდება ბაზრებიც: ფასანაური, მეჯვრისხევი, ჯავა, კობი, ყაზბეგი, კაიშაური, ქვეშეთი, ლარგვისი (მონასტერი) და სხვ.

საქართველოს სამხედრო გზაზე სავაჭრო მიმოსვლა გაჩნდა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში, ქართველ მეფეთა დროს, როდესაც მას «ოსეთის გზა» ან «ოსეთზე ქარავნის გზა» ეწოდებოდა. ამ გზაზე სავაჭრო მიმოსვლის გაცხოველებას ადასტურებს მეფე თეიმურაზ II-ის შეწირულების წიგნი, მცხეთის სვეტიცხოვლისადმი ბოძებული, სადაც შემდეგ საგულისხმო ცნობას ვკითხულობთ: «ოდეს წყალობა ჰყო ღმერთმან ჩვენსა ზედან და ორისავ ტახტისა და სამეფოს გაერთება ინება, ამას წინათ არას დროსა და ჟამს არა ქნილიყო, რომ ოსეთზედ ქარავნის გზა ყოფილიყოს და ამ მთის გზაზედ ქარავანი, ვაჭარი და სოვდაგარი მოსულიყო და ამ გზიდამ ქალაქში სავაჭრო მოეტანათ, და აწ ღმერთმან ჩვენ გვიმრავლწყალობა და ამჟამად ოსეთის გზით ქარავანმან იწყო სიარული»-ო. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ გზაზე დაწესებული სახელმწიფო ბაჟის მესამედს თეიმურაზ II 1750 წლის 24 იანვარს სწირავს სვეტიცხოველს, რასაც შემდეგში, 1765 წლის 23 ოქტომბერს, ადასტურებს თეიმურაზის მომდევნო მეფეც, ერეკლე II [2]. ამასვე ერეკლე კვლავ კიდევ ორი სხვა ბრძანებით ამტკიცებს: ერთხელ 1770 წ. 24 დეკემბერს [3] და მეორედ 1771 წ. 24 სექ-

---

1 1803 წლისათვის ქალაქ დუშეთში არის 236 კომლი. 603 მამაკაცი, 560 ქალი, 48 დუქანი. გლეხებისაგან წლიური საიჯარო შემოსავალი შეადგენს 2.354 მ. 30 კაპ. იხ. აქტები, II, გვ. 81.

2 АКАК, II, стр. 1133, док. № 6.

3 Там же, стр. 1136, док. № 9.

ტემბერს [1]. საინტერესოა ისიც, რომ ერეკლე II-ეს ოსეთის გზით მომავალ საქონელზე «მომატებული ბაჟი განუწესებია» ბოლო ხანებში, სახელდობრ, თუმანზე ხუთი შაური ანუ 2,5 %.

მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობა ქართლის მთიანეთში ცარიზმის დამკვიდრების შემდეგ კიდევ უფრო გაუარესდა. არსებულ გადასახადებს ახლა «სარუსოც» დაემატა, ბეგარა გადიდდა, უფრო აუტანელი გახდა.

მთიანეთის საგადასახადო ნორმებისა და საგადასახადო სისტემის შესახებ იგივე ჭილაშვილი გვაძლევს მეტად საყურადღებო ცნობებს; ჭილაშვილის აზრით, მთაში ძველთაგანვე არსებობდა ორგვარი გადასახადი:

1) მიწის გადასახადი — ყალანი, რომლითაც დაბეგრილია გლეხის მიწა, ეგრეთ წოდებული საკომლო. ამ გადასახადში შედის ცხვარი, ბატკანი, თხები, თიკნები, ქათმები, კარაქი, ხორბალი, ქერი და თივა [2].

2) კომლობრივი გადასახადი (**подымная**), როგორიცაა საალდგომო, სამასპინძლო, შავარდენი, ნაბადი. ეს გადასახადი, ამბობს იგი, ერთნაირი, თანასწორი არ არის, არც ყველაზე შეწერილი, ხშირადაც იცვლება ოჯახთა გაყრისა და ხან შეყრის გამოო [3].

აღნიშნულ გადასახადებს ძველად ნატურით იხდიდნენ, ახლა კი, გარდა თივისა და ქერისა, ფულადი შეფარდების მიხედვით: ცხვარზე დაწესებულია მანეთი, ბატკანზე, თხაზე და ლიტრა ერბოზე — 80 კაპ., ციკანზე — 60 კაპ., ქათამზე — 20 კაპ., კოდ პურზე — 50-80 კაპ., ნაბადზე — 50-60 კაპიკი [4]. თრუსოს ხეობაში, მისივე მტკიცებით, მხოლოდ ერთი სახის — საკომლო, მიწის გადასახადი არსებობდა. აქ ძველთაგანვე მიწა გაყოფილია ორ ნაწილად: საკომლოდ და თარხნად. საკომლო ძველად ყოველ ორ წელიწადში იხდიდა 5 ცხვარს, 3 წელში — 12-ს. იმ კომლებს, რომლებიც თარხან

---

[1] **Там же, стр. 1136, док. № 10.**

[2] **АКАК, т. VII, стр. 348, № 298.**

[3] **АКАК, т. VII, стр. 348, № 298.**

[4] **АКАК, т. VII, стр. 348, № 298.**

მიწაზე ისხდნენ, ევალებოდათ მხოლოდ ბატონიშვილების მიერ წარგზავნილ მოხელეთა კვება და სამ წელიწადში ერთხელ თითოეულ ნაკვეთს უნდა მიეცა 3-3 ძროხა ან ერთი ცხენი [1].

მთის ხალხზე პოდპოლკოვნიკ ქანანოვის მმართველობის დროსაც კი «თითოეული საკომლო დაბეგრილი იყო 12 ცხვრით, ხოლო თარხანი — ძროხით, და ყოველწლიურად ერთმეოდათ ფულად, ცხვარზე მანეთი, ხოლო ძროხაზე 5 მანეთი, რაც ახლაც გრძელდება»-ო [2].

მთიულეთსა, ხანდოსა და გუდამაყარშიაც იმავე სახის გადასახადია, როგორც ხევში, განსხვავება მხოლოდ რაოდენობაში ჩანს.

გადასახადების ზოგადი სურათის წარმოსადგენად ჭილაშვილი დაასკვნის: «ისინი ვალდებული არიან:

1. მიაწოდონ უფასოდ საქართველოს სამხედრო გზაზე მთებში განლაგებულ საგუშაგოებს შეშა;

2. მიიტანონ კაიშაურის საგუშაგოზე ორცხობილას გასახმობად შეშა;

3. მიაწოდონ ხე-ტყე ყველა საგუშაგოს სახაზინო შენობებისათვის, ხიდებისა და მოაჯირებისათვის, რისთვისაც თითო მორში მიიღებენ თითო მანეთს ასიგნაციებით, ხან კი — არაფერს;

4. მიიტანონ თივა საქართველოს სამხედრო გზაზე მიმავალი ცხენოსანი ჯარისათვის 10 კაპიკად ფუთი;

5. უფასოდ უზრუნველჰყონ გამვლელი ჯარი ურმებით ეკიპაჟების გადასაყვანად;

6. გადაიტანონ მთებზე სახაზინო ამუნიცია ლარსიდან თბილისამდე 1 მანეთად და 34,5 კაპ.;

7. უზრუნველჰყონ დაბალი სამხედრო ხარისხის ავადმყოფთა გადაყვანა ჰოსპიტლებში უფასოდ;

---

1 Там же, № 298.

2 АКАК, т. VII, стр. 319, № 298.

8. მოსულ მოხელეთა დასახმარებლად საჭირო რაოდენობით გამოიყვანონ ხარები, ქირის გადახდის თვით ბატონების ნებაზე მინდობით;

9. უზრუნველჰყონ ზვავის ჩამოწოლისას ანდა თერგის ადიდების დროს ფოსტის გადატანა ზურგით, უფასოდ;

10. ზაფხულობით საქართველოს სამხედრო გზის შეკეთება ზოგჯერ ფასად, მაგრამ მეტწილად უფასოდ; ზამთარში კი გზა თოვლისაგან უნდა გაეწმინდათ» [1].

თუ რა მძიმე ტვირთად აწვა ეს სამუშაო ბეგარა მთის მოსახლეობას, ამას ჭილაშვილი ადასტურებს:

«ეს ბეგარა ისე ამძიმებს ხალხს, რომ მინდვრიდან პურის აღების საშუალებასაც კი არ აძლევს: თითქმის ყველა მამაკაცი და ყველა პირუტყვი დაკავებულია ბეგარაზე. მხოლოდ ქალებს მიჰყავთ სოფლის მეურნეობა, მაგრამ მათ არ შესწევთ ძალა შესცვალონ მამაკაცები. მე თვითონ ვნახე მათთან პური, რომელიც წვიმაში ლპებოდა მინდვრად, აუღებელი თუ მომკილი, იმის გამო, რომ მცხოვრებნი თავიანთ ოჯახებს მოშორებულნი არიან» [2].

ეს ცნობები თავისთავად მეტყველებენ, თუ როგორ დიდად იყო შევიწროებული მთიანეთის მოსახლეობა ეკონომიურად.

ცარიზმის დამკვიდრების შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1801 წლის 12 სექტემბრის დებულების თანახმად, 1802 წელს დაარსდა, სხვათა შორის, დუშეთის მაზრაც ცენტრით ქალაქ დუშეთში. [3]

ერთი წლის შემდეგ, 1803 წლის 27 ოქტომბერს, ციციანოვმა მოახსენა იმპერატორს, რომ დუშეთი სამაზრო ცენტრად არ ვარგა, რადგან წყალი და სხვა საჭირო მონაცემები არ არის აქ საამისოდო, და სთხოვდა დუშეთის მაგიერ სამაზრო ცენტრად დაემტკიცებია ანანური. [4] ამავე წლის 28 ნოემბერს

---

1 АКАК, т. VII, стр. 350, № 298.

2 Там же, № 298.

3 АКАК, т. I, стр. 437

4 АКАК, т. II, стр, 37.

ალექსანდრე I-მა დააკმაყოფილა ციციანოვის თხოვნა და გამოსცა ბრძანებულება დუშეთიდან სამაზრო ცენტრის ანანურში გადატანის შესახებ [1].

ასე ჩამოყალიბდა ანანურის მაზრა, რომლის სათავეში კაპიტან-ისპრავნიკი იდგა.

ანანურის მაზრამ 1803 წლიდან 1820 წლამდე იარსება, რის შემდეგ ისიც დაიწუნეს. 1820 წლის 20 აგვისტოს გენერალ-მაიორმა ხოვენმა გენერალ-ლეიტენატ ველიამინოვს მიმართა მოხსენებით და მოაგონა, რომ მარკიზი პაულუჩი ფიქრობდა სამაზრო ცენტრის გადატანას ანანურიდან დუშეთში, მაგრამ მისი ფიქრი განუხორციელებელი დარჩაო. იგი ამტკიცებდა, რომ ანანურის მავნე ჰავა, ვიწრო და ცუდი ადგილმდებარეობა, მცხოვრებთა სიმცირე, სიღარიბე და სხვა არ იძლევა ანანურის შემდგომი ზრდის იმედს, დუშეთი კი მაზრის მთავარი ნაწილის ცენტრშია, მცხოვრებთა რიცხვიც დიდად სჭარბობს ანანურისას, დუშეთში არის 124 კომლი და 89 სავაჭრო დუქანი, არსებობს სახაზინო სახლი, სადაც სამაზრო დაწესებულებები მოთავსდებაო და სხვა. ამ საბუთით ხოვენი თხოულობდა სამაზრო ცენტრი ანანურიდან დუშეთს ყოფილიყო გადატანილი.

1820 წლის 14 სექტემბერს ერმოლოვმაც აღძრა სათანადო შუამდგომლობა შინაგან საქმეთა მინისტრ კოჩუბეისთან და 1821 წლის 4 თებერვალს ალექსანდრე I-მა გამოსცა ბრძანებულება: «ესე ქალაქი (ლაპარაკია ანანურზე. — ვ. ტ.), დაწესებული 1803 წელს, 17 წლის მანძილზე მოსახლეობის რაოდენობის მხრივ, რომელიც შესდგება 37 კომლისაგან, არავითარ იმედს არ იძლევა მისი უკეთესად მოწყობისათვის, ამიტომ ჩვენ ვბრძანებთ: 1) აღდგენილ იქნას ადრე გაუქმებული ქალაქი დუშეთი. 2) მაზრას, დღემდე ანანურისად წოდებულს, ეწოდოს დუშეთისა». ამიერიდან უკვე ანანურის მაზრის მაგიერ არსებობდა დუშეთის მაზრა, რომელშიც შედიოდა არაგვის ხეობის ერთი ნაწილი, კერძოდ ამ ხეობის ბარის

---

[1] АКАК, т. II, стр. 43.

ზოლი, სამუხრანბატონო და ქსანი [1]; მთის ხეობები: ხევი, თრუსო, მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო და ჭართალი შეადგენდნენ ცალკე საგანგიო ერთეულს, რომელსაც მთიელ ხალხთა სამმართველო ეწოდებოდა [2].

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ არაგვის ხეობის ბარის ზოლი, სამუხრანბატონო და ქსანი, სოციალურ-ეკონომიური თვალსაზრისით ფეოდალურ რაიონებს წარმოადგენდნენ. კერძოდ ქსნის ხეობაში ბატონყმური სისტემა, მოსპობილი ერეკლე II-ის მიერ 1777 წელს, მთავარმართებელ ციციანოვის ინიციატივით კვლავ განახლდა 1803 წელს, რათა ერისთავებისათვის ამ ხეობის დაბრუნებით ერეკლე მეფისაგან დაჩაგრული ქსნის ერისთავები დაეპირისპირებინა გავლენიანი ბაგრატიონებისათვის და მათი სახით ამგვარად მოეპოვებინა რუსეთისთვის საიმედო დასაყრდენი ძალა. რაც შეეხება მთის ხეობებს: ხევს, თრუსოს, მთიულეთს, გუდამაყარს, ხანდოსა და ჭართალს (არას ვამბობთ თუშ-ფშავ-ხევსურეთზე), აქ ბატონყმობა არ ყოფილა და აქაური მოსახლეობა ყოველთვის უშუალოდ მეფეს ემორჩილებოდა. ამიტომაც იყო, რომ რუსეთის ხელისუფლებამ აქ დააარსა ცალკე საადმინისტრაციო ერთეული «მთიელ ხალხთა სამმართველოს» სახელწოდებით. აქაურ ცალკეულ სოფლებსა და ხეობებში ნაცვლები საქმობდნენ, რომლებიც უშუალოდ სამმართველოს მმართველს ემორჩილებოდნენ [3], მთის მცხოვრებთა მთავარი მმართველი კი ემორჩილებოდა საქართველოს საგუბერნიო უფროსს [4].

აქვე საჭიროდ ვცნობთ ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ რადგან მთიანეთის მოსახლეობა ბატონყმობის უღელში არ ყოფილა შებმული, არც შეიძლება მას გლეხი თუ გლეხობა ვუწოდოთ, როგორც ეს ჩვეულებრივ მიღებულია მეტყველებაში სოფლის მდაბიო მცხოვრებთა მიმართ. მაგრამ თუ ამ ტერმინს წინამდებარე შრომაში აქა-იქ მაინც ვხმარობთ, ამის ფორმა-

---

1 АКАК, т. VII, стр. 348.
2 АКАК, т. VII, стр. 348.
3 АКАК, т. VII, стр. 349.
4 АКАК, т. VIII, стр. 426.

ლურ გამართლებად შეიძლება ის გარემოება დავასახელოთ, რომ თვითონ მთის მცხოვრებნი ამ ტერმინს ხმარობენ. მაგალითად, გუდამაყრელები გუდოვიჩისადმი მიმართულ სახივარში 1807 წელს, სხვათა შორის, ასე სწერდნენ: «ჩვენის ქვეყნისა მრავალნი დაუნაშავებელნი აზნაურნი (ზოგიერთი მოხელე ანუ თანამდებობის პირი — ვ. ტ.) და გლეხნი საპყრობილეში დაიხოცნენ»-ო.[1] ცხადია, მოხელეთა გარდა, მოსახლეობის ფართო მასა «გლეხის» სახელს ატარებდა გუდამაყარში; ასევე იყო თავისუფალი მთიანეთის სხვა ნაწილებშიც.

---

1 АКАК, т. III, стр. 108, № 195.

## თავი მესამე

# 1804 წლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება

## I

## აჯანყების მიზეზები

მმართველობის ახალი სისტემა, ცარიზმის დამკვიდრებას რომ მოჰყვა საქართველოში, მთის მცხოვრებთათვის შეუთავსებელი და გაუგებარი იყო, რადგან ეს ახალი სისტემა არ ითვალისწინებდა ადგილობრივი ხალხის ადათ-ჩვეულებებს. ერთი ხელის დაკვრით სპობდა რა ძველს, ცარიზმს შემოჰქონდა მმართველობის ახალი, გაუგებარი, უხეში ფორმები. კაპიტან-ისპრავნიკები უხეში მეთოდებით მძლავრობდნენ ადგილობრივ მოსახლეობაზე, აბუჩად იგდებდნენ, ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ მას, იტაცებდნენ მის ნაოფლარს. სწორედ ეს იყო ძირითადი მიზეზი 1804 წელს მთიანეთის აჯანყებისა.

ეს აჯანყება, მიუხედავად იმისა, რომ მას, როგორც ქვემოთ დავინახავთ, საკმაოდ ფართო ხასიათი ჰქონდა, ჯერ კიდევ ვერ არის სათანადოდ შესწავლილი და ჩვენს საისტორიო ლიტერატურაში საკმაოდ ცნობილი. ამავე დროს ეს აჯანყება მრავალმხრივ საყურადღებო და საინტერესოა საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით, რამდენადაც ის იდეურად უკავშირდება გლეხთა ანალოგიურ აჯანყებებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ მომდევნო პერიოდში.

ჩვენს ხელთ არსებული ზოგიერთი ოფიციალური მასალა, რომლის ძირითადი ნაწილი მოთავსებულია «კავკასიის საარქეოგრაფიო კომისიის აქტების» I და II ტომებში და საქართველოს ცენტრალური საისტორიო სახელმწიფო არქივის

ფონდებში, შესაძლებელს ხდის გაირკვეს როგორც ამ აჯანყების მიზეზები და ხასიათი, ისე მისი მასშტაბი.

აჯანყების მიზეზი არსებითად ერთი და იგივე იყო, სახელდობრ, ცარიზმის მძიმე კოლონიური რეჟიმი, ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ გლეხობის უსაზღვრო ექსპლოატაცია.

ისტორიკოს ნ. დუბროვინის აღიარებითაც, «რუს მოხელეთა ბოროტმოქმედება უმაღლეს ხარისხამდე ავიდა. თვითნებობა სათემო პოლიციისა, მოუფიქრებელი და ერის ზნისა და ხასიათის შეუფერებელი განკარგულება იყო მიზეზი, რომ საქართველოს მორჩილი მთის ხალხი და თვით საქართველოც სრულიად აღელდა და ამბოხება მოხდა» [1].

ამ ახალი მოულოდნელი აჯანყების საბაბი, როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძე ამბობს [2], იყო სათემო პოლიციის ის ზნეობრივად აღმაშფოთებელი ბოროტმოქმედებანი, რომლებმაც მოასწრეს ღრმა ფესვების გადგმა საქართველოში და რომელთა აღმოფხვრა არ შეეძლო არც თავად ციციანოვს და არც მის უახლოეს ნაცვლებს. საკმარისია მივუთითოთ მოსახლეობის აბუჩად აგდების იმ სიაზე, რომელიც თავადმა სოლომონ ერისთავმა 1804 წლის 27 მარტს შეადგინა, რომ წარმოვიდგინოთ ხალხის აღშფოთების სურათი. «...და თუ ფიქრობთ, რომ მოხსენება არ არის სამართლიანი,—სწერდა თავადი სოლომონ ერისთავი, — გამოგზავნეთ ერთი საიმედო კაცი, რომელიც შეიტყობს ჭეშმარიტებას და მოგახსენებთ თქვენ»-ო. [3]

ამ ნიადაგზე მოსახლეობაში იმთავითვე დიდი უკმაყოფილება არსებობდა. მაგრამ ეს უკმაყოფილება რაც დრო გადიოდა, მით უფრო იზრდებოდა იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ პოლიცია და მოხელეები უფრო და უფრო მეტ

---

[1] **Н. Дубровин,** Закавказье... стр. 360; **ალ. ფრონელი** მთიულეთი 1804 წ., თბილისი, 1896, გვ. 103, სქოლიო.

[2] საჯარო ბიბლიოთეკა, ხელნაწერების განყოფილება. „მოკლე ისტორიული ნარკვევი საქართველოსა და მის მდგომარეობაზე 1801-დან 1831 წლამდე".

[3] Утверждению русского владычества на Кавказе" т. 1, стр. 61; АКАК, II, № 599; стр. 305

თვითნებობას იჩენდნენ და ხალხს უფრო და უფრო ავიწროებდნენ. ეს იწვევდა მოსახლეობაში მღელვარებას, რის შედეგად 1804 წელს ქართლის მთიანეთში მოხდა აჯანყება, რომელიც 5 თვეზე მეტხანს გაგრძელდა. რამ გამოიყვანა მოთმინებიდან ხალხი და რამ აიძულა იგი აჯანყების დროშა აეღო ხელთ, ამას გვირკვევს ერთი ძვირფასი დოკუმენტი, რომელიც ვოლკონსკიმ თბილისიდან ერევანს გაუგზავნა ციციანოვს 1804 წლის 11 ივნისის თარიღით და რომელსაც იგი უწოდებს «არაგვის მთიელთა პრეტენზიებს», ხოლო მისმა გამომცემელმა საარქეოგრაფიო კომისიამ «მთიულთა აჯანყების მიზეზები» დაარქვა. მთიანეთის აჯანყების მიზეზად თვით აჯანყებულები შემდეგს ასახელებენ:

1) «კაცისაგან თითქმის მოუთმენელ სიცივეში სტეფანწმინდიდან ანანურამდე საშინელი თოვლი გვახვეტინეს და გზა გავწმინდეთ.

2) ჩვენგან გაკეთებულ ამავ გზაზე წვიმისაგან შეიქმნა ტალახი, გვაჰრევინეს ფიჩხი და ტალახში გვაყრევინეს, ამ დაფენილს ფიჩხში ყაზახის ცხენს ფეხი ჩაუვარდა, მოგვდგნენ და მათრახის ცემით ორი კაცი მოკლეს. ერთი გუდამაყრელი ჩოხელი და ერთიც ლაკათხეველი ჯაუნარისძე.

3) მოვიდა თოვლი და ამოივსო ჩვენგან გაკეთებული გზა: ასეთ დროს მოგვიყვანეს საკეთებლად, რომ ზვავი მოდიოდა და სიკვდილს არ დაგვრიდეს; წამოვიდა ზვავი და ცოტას მოვრჩით, რომ ქვეშ არ დაგვიტანა. კიდევ ტიმოთემ ხმლის ცემით მიგვყარა. წამოვიდა ზვავი და შიშით ერთმანეთს რომ ვეცენით, ტიმოთე და სამი ჩვენი იქ გაიჭყლიტა.

4) მოვიდნენ ოთხმოცი სალდათი და თორმეტი ცხენოსანი ყაზახი, ამათ უნდოდა დღეში სალდათს ათი საკლავი და ყაზახთ ორი საკლავი; ქათამს, ყველს და ერბოს ვინ იანგარიშებს.

5) ცხენსა და ხარს ბარგის ზიდვით ტყავი აღარ შერჩათ, და არ მოუციათ ქირა; ერთჯერ მოგვცეს თითო მანეთი, — ესეც მოვითმინეთ.

6) ორი დედაკაცი უღელში შეაბეს, მარხილი მოუბეს და სალდათები უკან დედაკაცებს მათრახითა სცემდნენ.

7) გვიბრძანეს და ოთხი საკირე დავწვით: ერთი ზაქათ-კარს, მეორე ბურდულის კარს, მესამე ნადიბაძის კარს და მეოთხე ამირიძის კარზე.

8) თავადმა ერისთავმა თორნიკემ ჯარს რომ დაუძახა, ჩვენ გამოგვიცხადეს ერთობით ჯარში უნდა წახვიდეთო და იქიდან გავიგონეთ. წინ ჩვენ უნდა წავეყვანეთ, ჩვენთან მოდევნებით ქსნის ჯარი და ჩვენს უკან სალდათი და შეწყვდეულნი ცემით რუსეთს უნდა გადავერეკნეთ. დედაკაცნი და რომელნიც წვრილნი შინ დარჩებიან, ხიდების გასაკეთებლად კირი იმათ უნდა ვაზიდვინოთო, — ესენი იმათგან გავიგონეთ.

9) დაგვიდვეს ფიცი — შვიდი წლის სითარხნე (თავისუფლება), არც ერთი წელი დაგვაცალეს, წელს ცხვრისა, თოხლისა, ერბოსა და სხვისაც, დებულებისა მაგივრად, სულ თეთრი (ფული) გამოგვართვეს ორის წლისა, რომელიც ჩვენგან შესაძლებელი არ იყო და ვერსად ვიშოვეთ და ჩვენის ეკლესიებიდან გამოგვატაინეს თეთრი და წაიღეს. გამოგვართვეს ცხვარზე ხუთი აბაზი, თოხლზე ოთხი აბაზი, ერბოზე ოთხი აბაზი. თივაზე, ხუთ ლიტრა ქერზე და ერთ პურზე გამოგვართვეს ხუთი აბაზი.

10) ვისაც თითო კოდი ჰქონდა და თივა, უფასოდ წაგვართვეს, რომელიც ჩვენს მოხელეთაც არა ჰკითხეს.

11) ბრძანება იყო, რომელიც ყაზახნი ადგილ-ადგილ იდგნენ, ქერი და თივა ფასით უნდა ეყიდნათ; ჩაფარიც თავიანთი ცხენით უნდა მიეყვანათ და მოეყვანათ, ქერსა და თივას უფასოდ გვართმევენ და ცხენსაც უქირაოდ და კურიელიც ჩვენი ცხენით დაჰყავთ» [1].

აღნიშნული საჩივარი მთიულებმა თორ. ერისთავს მიართვეს და განუმარტავდნენ: «ჩვენ ყოვლად მოწყალის ხელმწიფის უძლეველის ჯარის საქართველოში განძლიერებას ღმერთსა ვსთხოვდით, ახლა ამას ვითხოვთ, რომ მსწრაფლის განსაცდელით ერთობით დავინთქნეთ... ჩვენ ერთობით ეს აწ ვირჩიეთ, თუ სხვა არა მოგვევლინა რა განსაცდელი ამ მოუთმენელის მწუხარებისაგან, ჩვენის ხელით ჩვენს სახლს ცეცხლი უნდა

[1] АКАК, т. II, стр. 311.

მოუკიდოთ, ცოლ-შვილი შიგ შევყაროთ, ჩვენც შიგ შევიდეთ და დავიწვნეთ. ამ ტანჯვას და მათრახით სიკვდილს და ჩვენის ცოლებისას უწესოს საქმით დანახვას ეს გვირჩევნია, რომ ასე დავიხოცნეთ, — მარტო მთიულეთში ცემით ოცდასამი კაცი მომკვდარა სხვას გარდა»-ო. [1] ანანურის მაზრის მარშალის თორნიკე ერისთავის სიტყვით, აჯანყებულებს თავიანთი კაცები გაუგზავნიათ სხვა მთიელ ხალხებთან დახმარების თხოვნით და არც ის დაუმალავთ, რომ მოელიან იულონსა და ფარნაოზ ბატონიშვილებს. [2]

«არაგვის მთიელთა პრეტენზიები», როგორც ვთქვით, ფასდაუდებელი დოკუმენტია. იგი თვალნათლივ გვირკვევს, რამდენად მძიმე და აუტანელი შექმნილა მთის ხალხებისათვის ახალი პოლიტიკური რეჟიმი, რუსების მმართველობა. წინათ «ხელმწიფის უძლეველის ჯარის საქართველოში განძლიერებას ღმერთსა ვსთხოვდით, ახლა ამას ვითხოვთ, რომ მსწრაფლის განსაცდელით ერთობით დავინთქნეთო». ასე გაუცრუვდათ საქართველოს მთიელებს შემწე-მფარველად მოწვეული რუსეთის იმპერიის იმედი. აჯანყებულთ იმთავითვე კარგად აქვთ შეგნებული, რომ იმპერიის სამხედრო ძლიერების წინაშე ისინი სრულიად უძლურნი არიან. ამიტომაც სწერენ თავიანთ «პრეტენზიებში»: «ჩვენ ძალს არ ვიქადით, რომ რუსთ ვებრძოდეთ»-ო. მათ მხსნელი და მფარველი არ გააჩნიათ და იმის მონატრულნი-ღა არიან, რომ «ერთობით დაინთქნენ, ყველა ერთად დაიღუპოს, ცოლშვილიანად ცეცხლში დაიწვნენ».

მეორე მხრივ, ეს დოკუმენტი ძვირფასია იმით, რომ მუხლ-მუხლად, კონკრეტულად აღნუსხავს იმ ბოროტებას და თავგასულობას, რასაც სჩადიოდა მთაში მოსახლეობის მიმართ ახალი ხელისუფლება. თავისუფალი მთის ლაღი შვილი, რომლისთვისაც ყოველთვის უცხო იყო ბატონყმობის სუსხი, ახლა «მოუთმენელ მწუხარებაშია» ჩავარდნილი. «პრეტენზიათა» მუხლებში მკაფიოდ არის მოხსენიებული

---

[1] АКАК, т. II, стр. 311.
[2] АКАК, т. II. отр. 313, № 619.

მთიელის ფიზიკური შეურაცხყოფაც და ნივთიერი ჩაგვრაც, ზნეობრივი დამცირებაც და ქონებრივი განიავებაც. თითოეული ფაქტი, «პრეტენზიებში» აღნიშნული, საკმაო საბაბი იყო მთიელის მოთმინებიდან გამოსასვლელად, აჯანყების აფეთქებისათვის. ამიტომ სჭირს კონკრეტულად თქმა: ეს იყო და არა ის უშუალო საბაბი აჯანყების დაწყებისაო. მართალია, ყოველი ფაქტი, «პრეტენზიებში» დასახელებული, მთიელს აღელვებდა და გულს უმღვრევდა საამბოხოდ, მაინც ვფიქრობთ, რომ თუ მთიელს მოთმინების ფიალა აევსო და მან აჯანყების დროშას მოსჭიდა ხელი, ამის უშუალო საბაბი სხვებზე უფრო მეტად იყო ის, რასაც აჯანყებულები თავის «პრეტენზიათა» მერვე მუხლში იხსენიებენ. ესაა — გამოცხადება, «ერთობით ჯარში უნდა წახვიდეთო». ამის ვარაუდ-ფიქრის ნებას გვაძლევს «აქტებში» მოთავსებულ საბუთთა ანალიზი.

1804 წ. 17 ივლისის პატაკში ვოლკონსკი ციციანოვს მოახსენებდა: «მაიორ ყაზბეგის პატაკიდან თქვენი ბრწყინვალება იხილავს მთიულთა ამბოხების საბაბს და იმ გავლენას, რაიც მათზე და თაგაურელებზე იქონიეს ალექსანდრე ბატონიშვილის წერილებმაო» [1]. ამ ფრაზიდან, სამწუხაროდ, არ ჩანს, სახელდობრ რა იყო აჯანყების ის უშუალო საბაბი, რომელიც ციციანოვს უნდა «ეხილა ყაზბეგის პატაკიდან», კონტექსტი კი თითქოს მიგვახვედრებს, რომ აჯანყების საბაბი უნდა ყოფილიყო ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არაა სწორი. ბატონიშვილთა მოწოდებებს ხალხში გამოხმაურება არ ექნებოდა, თუ ნიადაგი აჯანყებისათვის არ იქნებოდა შემზადებული თვითონ ხელისუფლების მიერ ხალხის იმ სისტემატური ჩაგვრა-შევიწროებით, რასაც შემაძრწუნებლად მოგვითხრობენ ზემორე «პრეტენზიები».

აჯანყების მთავარი საბაბი იყო მთიელთა ჯარში გაწვევა. უკვე 8 მაისს მაზრის მარშალი თორნიკე ერისთავი ციციანოვს მოახსენებდა: «თქვენი ბრწყინვალების ბრძანებისამებრ შევკრიბე ანანურის მაზრის ქვეითი და ცხენოსანი ჯარი, ავიყვანე კაიშაურში და წაველ ხევის ჯ ა რ ი ს შ ე ს ა კ რ ე ბ ა დ ა ც, მაგრამ ალმასიანში ჩასვლისას შევიტყვე, რომ თითქოს

---

[1] АКАК, т. II, № 639, стр. 321.

ჯარს [არ] უნდა მოსვლა; ამის გამო მათ კაცი გავუგზავნე, რომელიც კინაღამ არ მოეკლათ, და უ ა რ ი თ ქ ვ ე ს ლ ა შ-ქ რ ა დ წ ა ს ვ ლ ა ზ ე; ამიტომ კიდევ ორი აზნაური, ფარემუზ ჰილაშვილი და ბეჟან კობიაშვილი, გავგზავნე მოხელეებთან ყალთაბანდობის შესატყობად (для узнания шалости); ამაზე იმათ პასუხი შემომითვალეს: ჩვენ და ჩვენთან ერთად ხალხი (купно с мужиками) არ გაგატარებთ, კაიშაურსა და ციხისძირში მყოფი კაზაკები ყველა ამოვხოცეთ და ანანურისკენაც ჯარი გავგზავნეთ მთლად რუსობის ამოსაჟლეტადო».[1] აქედან ცხადია, რომ აჯანყება მთაში დაწყებულა მას შემდეგ, როცა იქ ჯარში გაწვევა განუზრახავთ, ე. ი. ჯარში გაწვევა ყოფილა უშუალო საბაბი აჯანყების დაწყებისა. ადვილმისახვედრი ხდება ისიც, თუ რა პირობებში იწყება აჯანყება: ჯარში გაწვეული ხალხი ერთადაა თავმოყრილი, ყველა იარაღშია ჩამჯდარი, ერთი მეორეს უზიარებს თავის აუტანელ ყოფას, «მოუთმენელ გაჭირვებას», და ცეცხლში ცოლშვილიანად ამობუგვას ამჯობინებს ვაჟკაცურად შეებრძოლოს თავის მტანჯველსა და დამჩაგვრელს, კერძოდ, მთლიანად ამოჟლეტს კაიშაურის საგუშაგოს, 17 კაზაკისაგან შემდგარს.

ყაზბეგში მყოფ მაიორ მელლას 8 ივნისის მოხსენებაზე აღარ ღირს შეჩერება, რადგან იგი დამყარებულია პოდპოლკოვნიკ ერისთავის ნათქვამზე.[2] უფრო ყურადსაღებია და მნიშვნელოვანი ვოლკონსკის პატაკი 16 ივნისის თარიღით, სადაც იგი ციციანოვს მოახსენებს: მთიულთაგან გამოგზავნილ კაცებს შევამჩნიე ჩანერგილი ა ზ რ ი რ ე კ რ უ ტ ი ს მ ო-კ რ ე ბ ი ს ა ო და მეც შევპირდი მათი თხოვნის დაკმაყოფილებასო[3]. ჩანს, ჯარში გაწვევა მეტად აწუხებდა და აფიქრებდა აჯანყებულებს, რაკი მათი წარმომადგენლები საჭიროდ სცნობენ ვოლკონსკის ამაზე განსაკუთრებულად სთხოვონ. აღსანიშნავია ისიც, რომ ვოლკონსკის ამგვარმა რბილმა მოქცევამ,

---

[1] АКАК, т. II, № 600, стр. 306.
[2] АКАК, т. II, № 613, стр. 310.
[3] АКАК, т. II, № 626, стр. 316.

შეპირებამ — გზის გაწმენდაშიც ფულს მოგცემთ და არც ჯარს მოვკრებთ თქვენშიო, ციციანოვს აღუძრა უკმაყოფილება თავისი მოადგილის მიმართ, რაც აშკარად გამოსჭვივის მის უქვეშევრდომილეს მოხსენებებში 4 ივლისისა [1] და 15 აგვისტოს თარიღით [2].

ამგვარად: თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჯარში წასაყვანად თავმოყრილი მთიელობა პირველ რიგში თავს დაესხმის კაიშაურის საგუშაგოს და მას მთლად ამოჟლეტს, ისიც უნდა დავასკვნათ, რომ ეს ფაქტი — ჯარში გაწვევა — იყო ის უკანასკნელი წვეთი, რომელმაც მოთმინების ფიალა აღუვსო «მოუთმენელ გაჭირვებაში» მყოფ მთიელებს და იარაღი აღებინა მხსნელ-შემწედ მოსული ძალის წინააღმდეგ.

საერთოდ კი ცარიზმის მოხელეების მიერ ეკონომიური ძალმომრეობა, მოტყუება, აბუჩად აგდება და ფიზიკური შეურაცხყოფა იყო, მთიელთა «პრეტენზიების» მიხედვით, აჯანყების მიზეზები.

კაპიტან-ისპრავნიკების არაადამიანური მოქმედების შესახებ მასალათა შორის არ შეიძლება კაცი არ შეჩერდეს კერძოდ შემდეგზე: ანანურის მაზრის კაპიტან-ისპრავნიკი ჟამურის ხეობაში მოვიდა, «...შეიპყრო ოსები, გობში, საიდანაც ძაღლებს აჭმევდნენ, ჩაასხა ყველის გამოხდის შემდეგ დარჩენილი შრატი, ჩაყარა შიგ დახოცილი კატები, ადამიანის განავალი და ეს აჭამა. ამავე ოსების 8 სახლს წაუკიდა ცეცხლი, სადაც 3000 კოდი ქერი დაიღუპა» [3].

როგორც მთიულთა საჩივრის ერთ-ერთი მუხლიდან (მუხ. 5) ჩანს, კაპიტან-ისპრავნიკები ხშირად გასამრჯელოს არ აძლევდნენ და პროდუქტებს მუქთად ართმევდნენ.

მთიულების საჩივარი რომ სიმართლეს შეიცავდა და გადამეტებული არაფერი იყო, მტკიცდება სხვა საბუთებითაც. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ არქივში დაცულია მთიულთა საჩივარი, სადაც ვკითხულობთ: «იოანეს ნაზღაიძის სახლიდან, რაც უფალს ტიტულარნი

---

1 АКАК, т. II, № 635, стр. 319.

2 АКАК, т. II, № 650, стр. 327—328.

3 АКАК, т. II, № 599, стр. 305.

სოვეტნიკის ლაცუკზე (sic) აცხადებენ საჩივარსა, რომელიც ამის შედეგად იწერება სიათი:

ა/ ქ. კაიშაურიდან ანანურამდის თორმეტი ულის ხარისა და ცხრა ცხენის ქირა არ მოგვცემია.

ბ/ ქ. ბენიაძის საქვრივო აიღო.
არ მოგვცემია ფარემუზას ხელითა იმავ კაპიტანის დროში.

დ/ ქ. ორმოცი კოდი ქერი, ამის ფასი არ მოგვცემია ფა-(რ)ემუზას ხელითა ამავ კაპიტანის დროში.

წ/ ქ. ოთხი საკლავი გამოგვრთმევია, ამისი ფასი არ მოგვცემია ფარემუზის ხელითა ამავე კაპიტნის დროში.

წ/ უ. ქ. ორი ლიტრა ერბო და თორმეტი ქათამი, ამის ფასი არ მოგვცემია ფარემუზის ხელითა ამავე კაპიტნის დროში». [1]

ეს საჩივარი საკმაოდ დიდია; მსგავსი მაგალითებია დასახელებული სხვა მუხლებიდანაც.

დუბროვინის აღიარებით, «საერთოდ პოლიციის თვითნებობა, მოუფიქრებელი და ხალხის ხასიათისა და ჩვეულებისათვის შეუფერებელი განკარგულებანი იყო მიზეზი მთელი ტომების აჯანყებისა და მთელ საქართველოში მღელვარებისა». [2]

სანამ უშუალოდ აჯანყების მსვლელობას განვიხილავდეთ, საჭიროა მოკლედ შევეხოთ ამასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს.

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე არსებობს ალ. ფრონელის გამოკვლევა «მთიულეთი 1804 წელსა»; თავის შრომაში «გლეხთა მოძრაობის ისტორია საქართველოში XIX საუკუნეში» აკად. გ. ხაჭაპურიძეც შეეხო მთიანეთის აჯანყებას. ამ საკითხს ადრევე დაჰკვირვებიან აგრეთვე ალ. ჭავჭავაძე — «საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801 წლიდან 1831 წლამდე» და ნ. დუბროვინი — «ამიერკავკასია 1803-დან 1806 წლამდე».

---

[1] ფ. 16/152, საქმე 678, ფურც. 16.

[2] Н. Дубровин, Закавказье... стр. 360.

ჩვეულებრივ 1804 წლის მთიანეთის აჯანყებას «მთიულეთის აჯანყებას» უწოდებენ, რაც, რა თქმა უნდა, ზუსტი არ არის. საქმე ისაა, რომ «მთიულეთი», როგორც ტერიტორიულ-გეოგრაფიული ცნება, ეწოდება იმ ადგილს არაგვის ხეობაში, რომელიც მდებარეობს ფასანაურსა და მლეთს შორის. თუნდაც ამიტომ უმართებულო იქნებოდა 1804 წლის «ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყებისათვის» «მთიულეთის აჯანყება» გვეწოდებინა. მთიულეთი ერთ-ერთი ხეობაა აჯანყების მონაწილე რაიონთა შორის. მთიულეთს გარდა, როგორც ცნობილია, აჯანყებაში მონაწილეობას ღებულობდნენ სხვა ხეობებიც: ხანდო, ჰართალი, გუდამაყარი, ხადა, ცხაოტი, ქსანი, ხევი, თრუსო, ქარჩოხი, ჟამური და სხვა, ე. ი. ქართლის თითქმის მთელი მთიანეთი. ყველა ამის გამო უფრო მართებულად მიგვაჩნია 1804 წლის აჯანყებას «ქ ა რ თ ლ ი ს მ თ ი ა ნ ე თ ი ს გ ლ ე ხ თ ა ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა» ვუწოდოთ.

დასახელებული ხეობები საქართველოს სამხედრო გზას სხვადასხვა გზა-ბილიკებით უერთდებიან ან უშუალოდ საქართველოს სამხედრო გზის პირას მდებარეობენ, როგორც, მაგალითად, ჰართალი, ხანდო, მთიულეთი, ხევი.

საქართველოს სამხედრო გზა, როგორც ცნობილია, ძველთაგანვე ერთ-ერთ მთავარ გზად ითვლებოდა ამიერკავკასიაში მდებარე სახელმწიფოებთან და შემდეგ რუსებთან ურთიერთობის დამყარებისათვის. XVIII საუკუნეში, როდესაც რუსეთთან მიმოსვლა უფრო გაცხოველდა, ამ გზის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. «ამიერიდან საქართველო იმიერკავკასიას და რუსეთს უმოკლესი საქარავნო გზით დაუკავშირდა და თბილისი თანდათან ამ გზით მოსული საქონლის მთავარ პუნქტად იქცა. საქარავნო ვაჭრობის გახსნასთან დაკავშირებით «ოსეთის გზის» მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა, არაგვის ხეობაც გამოცოცხლდა. დიდი ხნის წინ დაყრუებული ჟინვანის მაგივრად ანანური წარმოიქმნა. «ოსეთის გზას» ჩქარა სახელი შეეცვალა და მისი ახალი შინაარსის შესაფერისი «რუსეთის გზა» ეწოდა... XVIII საუკუნის 70-იან წლებში რუსეთის ლაშქარი პირველად ამ გზით შემოვიდა სა-

ქართველოში. ამიერიდან «რუსეთის გზა» საქართველოსათვის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის შეიქმნა» [1].

საქართველოს სამხედრო გზა ქართლის მთიანეთში მრავლად განშტოვდებოდა. ხევში ამ გზის ერთი განშტოება სოფელ კობიდან თრუსოს ხეობაზე მიიმართებოდა და დიდი ლიახვის ხეობაში გადადიოდა.

ერთი გზა ხევიდან გუდამაყარზე გავლით ბურსაჭირის გადმოსასვლელ სოფელ ფასანაურში უერთდებოდა მთავარ გზას.

საქართველოში მეფის რუსეთის ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ბუნებრივია, მიმოსვლა რუსეთ-საქართველოს შორის კიდევ უფრო გაცხოველდა. საქართველოს სამხედრო გზის გაფართოება და შეკეთება-მოვლა ყოველდღიური საზრუნავი გახდა, საფოსტო სადგურები და სამხედრო საგუშაგოები გამრავლდა. ყოველივე ეს მძიმე ტვირთად დააწვა მთის მოსახლეობას. მდგომარეობა აუტანელი შეიქნა.

«იმ ხანში საქართველოს სამხედრო გზას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ერთადერთი გზა იყო, რომელიც აკავშირებდა მეტროპოლიას ახლად დაპყრობილ ქვეყანასთან. ამ გზით მიდიოდა ფოსტა, გადაჰქონდათ საქონელი, მიდიოდა ჯარი და სამხედრო იარაღი ახალი ტერიტორიების დასაპყრობად. გზას დიდი შეკეთება სჭირდებოდა. ხიდების აშენება, ზვავებისაგან გაწმენდა, საგზაო ბეგარა, სურსათის და საქონლის საკვების რეკვიზიცია, მოხელეთა საყოველთაო ბოროტმოქმედება აწუხებდა ხალხს, ანადგურებდა მათ მეურნეობას, რამაც გლეხობას თავგანწირული ნაბიჯი გადაადგმევინა» [2].

აჯანყებისათვის მთის მცხოვრებლებმა შესაფერისი დრო შეარჩიეს. გენერალი ციციანოვი ერევანს ლაშქრობდა, ხელმწიფის ჯარის დიდი ნაწილი, საქართველოში რომ იყო, ციციანოვს ახლდა, ერევნის ექსპედიციაში იღებდა მონაწილეობას.

---

1 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, მაკეტი. 1940 წ. გვ. 386—387.

2 გ. ხაჭაპურიძე, გლეხთა მოძრაობანი საქართველოში XIX საუკუნეში, თბილისი, 1932 წ, გვ. 34.

ასე რომ მეციხოვნეთა მცირე რაზმებს აჯანყებულები ადვილად დაძლევდნენ. აჯანყებისათვის მომენტი შესაფერისი ჩანდა.

## II
## აჯანყების ხელმძღვანელები

მთიანეთის აჯანყება მასობრივი ხასიათისა იყო. ამას ადასტურებს არა მარტო ის, რომ აჯანყებაში მონაწილეობას იღებდა ათასობით თვით მთის ხალხი, არამედ ისიც, რომ მისი ხელმძღვანელები, სანამ ფარნაოზ ბატონიშვილი ჩაუდგებოდა სათავეში, იყვნენ უშუალოდ მთის მკვიდრი შვილნი, როგორც მოხელენი ანუ თანამდებობის პირნი, ისე რიგითნი. ამის მითითება არა ერთ საბუთში მოიპოვება. მაგალითად, ელიზბარ ერისთავი პირდაპირ მოახსენებს ციციანოვს: «ამ საქმეში (აჯანყებაში) აშკარად მეცადინეობენ და ირჯებიან ლევან ნაზღაიძე, სამუკა და სხვა მოხელენი, მუჟიკებიც კი»-ო [1]. მთავარმართებელ ციციანოვსაც უმთავრეს მოთავეებად მიაჩნია ხსენებული ლევან ნაზღაიძე და «დეკანოზი» შიო ბურდული. აჯანყების ლიკვიდაციის ხანებში ციციანოვი უბრძანებდა მიხეილ ერისთავს: «ქამურში რომ საკუთარი სოფელი გაქვთ, იქ იმალებიან აჯანყების მოთავეები, მეტადრე კი უმთავრესნი მათგანი ლევან ნაზღაიძე და დეკანოზი შიო ბურდული, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი წერილები, და ისინი შეიპყარი»-ო [2]. ამ ორი საბუთიდან შესაძლებელი ხდება სამი მეთაურის ვინაობის დადგენა. ერთია ლევან ნაზღაიძე, რომელიც ორივე საბუთში იხსენიება; მეორეა დეკანოზად ხმობილი შიო ბურდული, რომელიც მერე ღუდში გადაიხიზნა [3], ხოლო მესამეა სამუკა. ეს უკანასკნელი გვხვდება პატიმართა დიდ სიაშიც 152 №-ით, როგორც მთიულეთის მამასახლისი სამუკა ამერაძე [4]. მისი ნამდვილი გვარი კი უნდა იყოს ამირიძე, რად-

1 АКАК, т. II, № 602, стр. 307.
2 АКАК, т. II, № 671, стр. 335.
3 АКАК, т. II, № 673, стр. 335.
4 დანართი მეორე, გვ. 167.

გან ცნობილია ამ გვარის სამოსახლო პუნქტი «ამირიძისკარის» სახელით [1].

ამ სამს გარდა ვიცნობთ კიდევ აჯანყების ხუთ მეთაურს, რომელთაც ასახელებს თავის მოხსენებაში პოლკოვნიკი დრენიაკინი. ესენი არიან მამასახლისები: ხევისა — თათარა ჩქარეული, გუდამაყრისა — პაპუნა ჩებოლაური, მთიულეთისა — ნინია და ემანა (ომანა?) ბედოიძენი და ნინია ბენიანიძე [2].

ამრიგად, ჩვენთვის ცნობილია აჯანყების რვა მეთაური, რვავე დაბალი წრის შვილნი. მართალია, ამათგან ექვსი მამასახლისად იხსენიება და ერთი დეკანოზად არის ხმობილი, მაგრამ ყველა ისინი მაინც დაბალი წრის წარმომადგენლებია და თავის მოძმეთაგან მარტო პატივითა და გავლენით განირჩევიან.

მაგრამ ვთქვათ, რომ ესენი დაბალი წრისანი არ არიან. მაინც ჩვენ გვაქვს ელიზბარ ერისთავის მოწმობა, რომ აჯანყებაში აშკარად ირჯებოდნენ მოხელეთა გვერდით მ უ ჟ ი კ ე ბ ი ც, ე. ი. რიგითი მთიელები. ეს კი წმინდა ხალხურ ხასიათს აძლევს მთიანეთის აჯანყებას თუნდაც მარტო იმ დრომდე, სანამ მას სათავეში ჩაუდგებოდა ფარნაოზ ბატონიშვილი.

აჯანყების იდეური ხელმძღვანელები კი იყვნენ ბატონიშვილები: ფარნაოზი, იულონი და ალექსანდრე.

იულონი ჯერ კიდევ 1802 წლის აგვისტოში პატარა ლიახვის ხეობაში, სოფელ ბელოთში, იმყოფებოდა და, როგორც მიხეილ ერისთავის მიერ გენერალ-მაიორ ტუჩკოვისათვის მიცემული ცნობიდან ჩანს, უკავშირდებოდა ქართლ-კახეთის თავადებს და მათ აჯანყებისაკენ მოუწოდებდა. «...კახეთის ამბავსაც შეიტყობდი, როგორც შეერთებულან და შენც ჩვენზედ ერთგულად იქმენ. სხვას ჩვენს სრულს ამბავს ამ წიგნის მომტანი გიამბობს და, როგორც შემოგვეთვალოს, ისე დაიჭირე საქმე», — სწერდა იულონი მიხეილ ერისთავს [3].

ბევრმა თავადმა მიიღო ბატონიშვილებისაგან წერილები, რომლებითაც მათ იწვევდნენ «გაეხსენებიათ ძველი დრო და

---

[1] АКАК, т. II, № 616, стр. 311, მუხლი მე-7.

[2] АКАК, т. II, № 640, стр. 322.

[3] АКАК, т. I, стр. 247.

მხარი დაეჭირათ ბაგრატიონებისათვის»... «დღესაც თავს ნუ დაზოგავთ ჩვენთვის. თქვენს მამა-პაპათ არა ერთხელ დაუღვრიათ სისხლი, სიცოცხლე შეუწირავთ ჩვენი გვარისათვის, ახლა კი მოვიდა თქვენი ჯერი. დადგა დრო გვიჩვენოთ ღვთის სიყვარული, ერთგულება ჩვენდამი და ვარგისიანობა» [1].

მაგრამ ქართლის თავადთაგან არავინ ამ მოწოდებას არ გამოეხმაურა. ყველა ეს წერილები წარუდგინეს ვოლკონსკის, ხოლო გორელმა თავადებმა გიორგი ამილახვარმა და ელიზბარ ერისთავმა იკისრეს ბატონიშვილების შეპყრობაც კი, თუ ისინი ლიახვზე გამოჩნდებოდნენ, რადგან მათი დაბრუნებისაგან არაფერს კარგს არ მოელოდნენ, გარდა ახალი არეულობისა საქართველოში [2].

ასეთი წერილები იულონს, როგორც აღვნიშნეთ, ქართლის სხვა თავადებისთვისაც მიუწერია: «შევიტყვე, — სწერდა გენერალ-მაიორი ლაზარევი პოდპოლკოვნიკ სიმონოვიჩს 1802 წლის 12 აგვისტოს, — რომ ქართლში არის აღმაშფოთებელი წერილები, რომლებიც იულონ ბატონიშვილს უწერია ქართლის თავადებისათვის» [3].

როდესაც აჯანყება დაიწყო, იულონი და ფარნაოზი იმერეთში იმყოფებოდნენ. 1804 წლის 3 ივლისის თარიღით ციციანოვისადმი ელიზბარ ერისთავის მიერ გაგზავნილ მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, რომ აჯანყებულები «არ მალავენ, რომ გაგზავნეს კაცი ბატონიშვილთან იმერეთში» [4].

დუბროვინის აზრით, «ალექსანდრე, იულონი და ფარნაოზ ბატონიშვილები ცხოველ მონაწილეობას ღებულობდნენ ამ აჯანყებისათვის ხელის შეწყობაში» [5].

მაისის შუა რიცხვებში იულონთან მოვიდა შაჰისა და ალექსანდრეს მიერ გამოგზავნილი სოლომონ შანშიაშვილი [6],

---

1 АКАК, т. II, № 626, стр. 316, второе приложение.

2 АКАК, т. II, № 626.

3 АКАК, т. I, стр. 247.

4 АКАК, т. II, стр. 307, № 602.

5 Н. Дубровин, Закавказье..., стр. 361.

6 ესაა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სოლომონ შანშეს-ძე ბაგრატიონდავითაშვილი.

აცნობა შაჰის სამზადისი და მისივე დავალება გადასცა, რომ იულონიც თავის მხრივ მზად ყოფილიყო.

იგივე ერისთავი 4 ივნისს ციციანოვს ატყობინებდა: «ვბედავ მოვახსენო თქვენს ბრწყინვალებას, ეს უბრალო საქმე არ არის (ლაპარაკია აჯანყებულებზე. — ვ. ტ.), მათ ჰყავთ მასწავლებლები, იმერეთში ბატონიშვილებთან გაიგზავნა კაცი... და წმინდა გიორგის ხატზე ფიცი დასდეს, რომ რუსეთის ქვეშევრდომი არ გავხდებითო» [1].

ივნისის შუა რიცხვებში ბატონიშვილები ქართლში გადმოვიდნენ და მიწერ-მოწერას აწარმოებდნენ ქართლის თავადებთან. 1804 წლის 18 ივნისს იულონი და ფარნაოზი სწერდნენ გიორგი ამილახორს: «აგვიწერე დაწვრილებით მანდ მომხდარი ამბები: რას აკეთებენ ქართველები და როგორ არიან ისინი განწყობილნი ჩვენს მიმართ, ვისგან მოხდა არაგველების აჯანყება, ვინა ჰყავთ მოთავე? ხევსურები და ფშავლები თუ უწევენ მათ დახმარებას? განაგრძობენ ბრძოლას თუ დაიშალნენ? სად არიან შაჰი ან ჩვენი ძმა ალექსანდრე ჯარებით? სად არის ციციანოვი? რა ადგილებში არიან განლაგებულნი რუსთა ჯარები? ქართლი და კახეთი რას ჩადიან?.. სად არიან რუსები მცხეთის ზემოთ და რამდენნი არიან ისინი?» [2].

ბატონიშვილები ამაოდ ამყარებდნენ იმედს გიორგი ამილახორზე. გიორგი ამილახორი ბატონიშვილების შემწე აღარ აღმოჩნდა, პირიქით, იგი შეეცადა ამ მომენტით ესარგებლა და ცარიზმის წარმომადგენლებთან თავი გამოეჩინა. მან ბატონიშვილების წერილი 1804 წლის 21 ივნისს ვოლკონსკის გაუგზავნა და თან შეატყობინა: «ამ წერილს, მათ მიერ გამოგზავნილს, გიგზავნით ამასთან ერთად, მათ კი ვუპასუხე, რომ იმერეთის საზღვრებიდან წამოვიდნენ ყორნისზე და ხურვალეთის ხეობაზე, სადაც მე თავადი ელიზბარ ერისთავიც გავაფრთხილე და იქ ადვილად შევძლებთ მათ შეპყრო-

---

1 АКАК, т. II, стр. 308, № 603.

2 АКАК, т. II, стр. 316, № 626, второе приложение.

ბას... ისინი კი ჩემზე იმედს ამყარებდნენ, რადგან მე დავრჩი დაუჯილდოვებელი, — ჰგონიათ მათ შევუწყობ ხელს»[1].

უკეთესი პასუხი ბატონიშვილებმა არც მიხეილ ერისთავისაგან მიიღეს: «არ მოვერიდები მოგახსენოთ: თავადი ციციანოვი დიდად გამარჯვებული დაბრუნდა, შაჰი გაიქცა, გაიქცა აგრეთვე თქვენი ძმა ალექსანდრე... მომთაბარე ტომები ყველა მოეწყო, ქალაქში ჩაიყვანეს ამანათები და თავიანთ საზამთრო ბინებში ჩავიდნენ. მერწმუნეთ, რომ ჩემს მიერ მოხსენებული სრული ჭეშმარიტებაა»[2].

ასე გაუცრუა იმედი ბატონიშვილებს ქართლის ფეოდალთა ორმა წამყვანმა გვარმა.

იმერეთიდან გადმოსული ბატონიშვილები ბორჯომის ხეობაში იყვნენ, აქედან ცდილობდნენ მდინარე მტკვარზე გასვლას და დიდი ლიახვის ხეობის გზით აჯანყებულ არაგვზე ასვლას. ბატონიშვილების მოძრაობას ცარიზმის მოხელეები თვალყურს ადევნებდნენ და ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ ისინი.

15 ივნისს ელიზბარ ერისთავი მოახსენებდა ციციანოვს, რომ მან შეიტყო თავის აზნაურ კაცია ფავლენიშვილისაგან— იულონი და ფარნაოზი უკვე დიდი ლიახვის ხეობაში არიანო[3].

24 ივნისს შტაბს-კაპიტანი ნოვიცკი და ესაული კონდრაშოვი სოფელ აბისში მოვიდნენ, აქედან იმერეთის საზღვარზე გავიდნენ და 5 კაზაკი მზვერავად გაგზავნეს. მზვერავებმა შეიპყრეს ბატონიშვილების მეთვალთვალე, რომელიც მათ წინ გაუძღვა და ბატონიშვილების განლაგების ადგილას — საწურბლეს მიიყვანა. ორი მხრიდან, მოულოდნელად, მიიტანეს იერიში, 20 კაცამდე მოუკლეს და იულონი ხელთ იგდეს, ფარნაოზმა კი თავს უშველა გაქცევით[4].

ამრიგად, იულონი ამიერიდან ჩამოშორდა პოლიტიკურ ცხოვრებას, ფარნაოზიც ფაქტიურად აჯანყებულ მთიელებს

---

1 АКАК, т. II, № 626, стр. 317, 8-е приложение.

2 АКАК, т. II, стр. 139, № 235, приложение.

3 АКАК, т. II, стр. 129, № 216.

4 Там же, стр. 133, № 218; № 219, приложение.

ვერაფერში გამოადგა: იგი არაგვზე მივიდა მაშინ, როცა აჯანყება განწირული იყო, ხოლო დემურჩასალოსთან ფარნაოზიც დაიჭირეს [1].

აჯანყების მეთაურები ერთგულ და გავლენიან პირებს გზავნიდნენ მთიანეთის თემებში. ხალხს აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ, აჯანყების მომხრე მღვდლები და «დეკანოზები» აჯანყების მონაწილეებს აფიცებდნენ წმინდა გიორგის ხატზე; დაფიცებულნი სახალხოდ აღიარებდნენ, რომ ისინი ბოლომდის ერთგულნი დარჩებოდნენ აჯანყებულთა საქმისა [2].

აჯანყებულთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. ამის შესახებ ჯერ კიდევ 1804 წლის 15 ივნისს გენერალ-მაიორი ტალიზინი ვოლკონსკის მოახსენებდა: აჯანყებულებს «დამორჩილება არ სურთ და საქმეს აჭიანურებენ მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ მოიგონ დრო, რადგან ელოდებიან დახმარებას და მათი გროვა ყოველი საათით მრავლდება» [3].

1804 წლის 6 ივლისისათვის «აჯანყებულთა რიცხვი 3.000 კაცს აღემატება»-ო, სწერდა ვოლკონსკი ციციანოვს [4].

## III

## აჯანყების მსვლელობა, აჯანყებულთა სათავდაცვო სიმაგრეები

აჯანყებულნი შეეცადნენ ხელთ ეგდოთ არაგვის ხეობაში არსებული სამხედრო საგუშაგოები და აეღოთ ანანური, სადაც სამაზრო ხელისუფლება იმყოფებოდა. ამიტომ მათ მიზნად დაისახეს საქართველოში მყოფ რუსი ჯარებისათვის მოეშალათ კავშირის საშუალება კავკასიის ხაზთან და ცენტრთან. მათ კარგად იცოდნენ, რომ საქართველოს სამხედრო გზას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა და, უპირველეს ყოვლისა,

---

[1] АКАК, т. II, стр. 143, № 248; Н. Дубровин, Закавказье... стр. 371.

[2] АКАК, т. II, стр. 308, № 603.

[3] АКАК, т. II, стр. 316, № 626, 1-ое приложение.

[4] Там же, стр. 319, № 636.

საჭირო იყო ამ გზის სრული კონტროლი. შემთხვევითი არ არის, რომ აჯანყებულებს მთავარი იერიში სწორედ სამხედრო გზაზე მიჰქონდათ, მათ ანანურიდან კაიშაურამდე საგზაო მიმოსვლა ფაქტიურად მოშალეს, გზები გააფუჭეს, ხოლო შემდეგ იერიშები მიიტანეს სამხედრო საგუშაგოებზე.

პირველი დარტყმა აჯანყებულებმა კაიშაურის სამხედრო საგუშაგოზე მოახდინეს, რომელიც 17 კაცისაგან შედგებოდა.

აჯანყებულები ღამით დაესხნენ თავს საგუშაგოს, დაიტაცეს მისი ქონება და 15 კაცი მოკლეს; თავს უშველა მხოლოდ ორმა, ვლასა ბორისოვმა და საბა ნეხლებაევმა. ისინი — ერთი, პერანგის ამარა, და მეორე, მთლად ტიტველი, — გაიქცნენ და რამდენიმე დღის შემდეგ ჩავიდნენ ანანურს.[1] ეს ამბავი 1804 წლის მაისის დამდეგს მოხდა. ამავე მაისის 8-ს თორნიკე ერისთავი, ანანურის მაზრის მარშალი, ატყობინებდა ციციანოვს, რომ მთიულებმა «კაიშაურში და ციხისძირში მყოფი ყველა კაზაკი მოკლეს და გაგზავნეს ჯარი ანანურისაკენ რუსების ამოსახოცად»-ო.[2]

რასაკვირველია, ცარიზმის მოხელეებისათვის თავიდანვე ნათელი იყო, რომ მთაში სერიოზული ამბები იწყებოდა. საჭირო იყო საგანგებო ზომების მიღება. მარტო სამხედრო ნაწილებით, ისიც იმ დროს, როცა ჯარის და კაზაკთა პოლკების ძირითადი შემადგენლობა ერევნის ექსპედიციაში მონაწილეობდა, მთის დამშვიდება არ შეიძლებოდა. ასეთ პირობებში რუსი ხელისუფლების საიმედო დასაყრდენად ჩანდნენ ქსნის ერისთავები. ამიტომაც იყო, რომ ციციანოვმა ქსნის ერისთავებს პასუხსაგები უბნები ჩააბარა: შანშეს, გორის მაზრის აზნაურთა მარშალს, — დიდი ლიახვის ხეობა, მის ძმას თორნიკეს, როგორც ითქვა, ანანურის მარშალს, არაგვის ხეობა ეკითხებოდა, მიხეილს — ქსანი, ელიზბარს კი — პატარა ლიახვი[3]. ამასთან ერთად, 1804 წ. 31 მაისს, ციციანოვი ავალებდა შანშე ერისთავს იმერეთიდან გადმოსულ ბატონი-

---

[1] АКАК, т. II, стр. 309, № 609.
[2] АКАК. т. II, стр. 306, № 600.
[3] АКАК, т. II, стр. 101, 129, №№ 162, 215.

შვილთა შესაპყრობად «საჭირო შემთხვევაში ერთმანეთისათვის დახმარება გაეწიათ» [1].

ქსნის ერისთავების ერთგულებაში ციციანოვს ეჭვი არ ეპარებოდა. იმპერატორ ალექსანდრე I-ს თავის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში ციციანოვი უმტკიცებდა, რომ ქსნის ერისთავები «იმდენად ერთგულნი არიან, რამდენადაც მე შემიძლია ვიამაყო თქვენდამი ჩემი ერთგულებით, და ბუნებრივი იქნებოდა განა, რომ მას შემდეგ, რაც დაუბრუნდათ თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის წყალობით 4000 კომლი, მეფეთაგან ჩამორთმეული, უმადურნი დარჩენილიყვნენ? პირიქით, მხოლოდ და მხოლოდ ისინი არიან, ვისაც მე ვენდობი ისევე, როგორც ვენდობი რუსებს» [2].

ციციანოვმა, დუბროვინის სიტყვით, ერისთავებს უბრძანა აეკუწათ, აეკაფათ მახვილით, დაემსხვრიათ, დაეწვათ აჯანყებულების სოფლები; ერთი სიტყვით, მათ ბინებში შესვლისას ან მათთან საქმეში ჩაბმისას უკუეგდოთ ყოველგვარი შებრალება, მოქცეოდნენ ისე, როგორც ბოროტ ბარბაროსებს.

ერისთავები ციციანოვის დავალების შესრულებას შეუდგნენ. უკვე 1804 წლის 22 მაისს თორნიკე ერისთავი არაგვის ხეობისაკენ გაემართა ჯარის შესაკრებად, და იმავე დღეს ქსნიდან მიიხმო მიხეილი და შანშე. მაგრამ ციციანოვის საგანგებო დავალების გამო, მიხეილი თავის საგანგებლოში წავიდა თავისი კაცებითურთ [3].

ეს აჯანყება «უცბად ისე შემოტრიალდა და ისე გაიზარდა, რომ დიდი ხნით შესწყვიტა კავშირი საქართველოს სამხედრო გზით და გავლენა იქონია თვით ერევნის ექსპედიციის მსვლელობაზედაც კი» [4].

ივნისის პირველ რიცხვებში მაიორი მელლა ერთი ასეულით და ქვემეხით ყაზბეგში მივიდა, ელიზბარ ერისთავი კობს იდგა და ჯარს უცდიდა. მალე კობში მივიდა შანშე 612 ქსნელით. აქვე გამოცხადდა თორნიკე ერისთავიც.

1 Там же, стр. 129, № 215.
2 Там же, стр. 178, № 377.
3 АКАК. т. II, стр. 307, № 602.
4 Утверждение русского владычества на Кавказе, т. 1, стр. 159.

ერისთავებმა აჯანყებულებს მოციქულებად მიუგზავნეს არაგველი აზნაურები ფარემუზ ჰილაშვილი და ბექან კობიაშვილი იმის გამოსარკვევად, «ისინი თავისით მოქმედებენ. თუ ვისიმე წაქეზებით» [1].

ერისთავები ემუქრებოდნენ, რომ თუ არ დამშვიდდით, იქნებით «ოჯახებიანად აოხრებულნი»-ო [2].

IV

## ხევის დაჯგუფება

აჯანყების მსვლელობაში აჯანყებულთა სამი ძირითადი საბრძოლო კვანძი შეიქმნა: ხევი (ყაზბეგი), ლომისი და ციხისძირი. უნდა ვიფიქროთ, რომ სამივე ეს დაჯგუფება ერთი სტრატეგიული გეგმით მოქმედებდა, ხოლო ტაქტიკური ამოცანები თითოეულ მათგანს ცალკე ჰქონდა განსაზღვრული.

აჯანყებულთა ხევის დაჯგუფებას დავალებული ჰქონდა ხელთ ეგდო ხევში არსებული სამხედრო საგუშაგოები, შეეკრა დარიალის კარი და ამით საქართველოში მყოფ ჯარებისათვის დამხმარე ძალების მიღების საშუალება მოესპო.

ცარიზმის მოხელეები აჯანყებულთა ამ განზრახვას, რა თქმა უნდა, კარგად ხედავდნენ. ამით აიხსნება, რომ საგანგებო ზომების მიღება აჯანყებულთა წინააღმდეგ მათ სწორედ ხევიდან დაიწყეს.

აჯანყებულები არ მალავდნენ, რომ «მათ გაგზავნეს ბატონიშვილებთან იმერეთში კაცი, აგრეთვე ოსებთან, ხოლო მათთან მყოფი ხევსურები, ფშავლები და თუშები წავიდნენ ანანურისაკენ და ამოხოცეს კაიშაურში მყოფი ყველა კაზაკი» [3].

ყურადღებას იპყრობს პოდპოლკოვნიკ ერისთავის 1804 წლის 4 ივნისის წერილი ციციანოვის სახელზე. ერისთავი

---

1 АКАК, т. II, стр. 307, № 602.

2 Там же.

3 Там же.

უჩივის ბედს, რომ მან ციციანოვს ხუთჯერ გაუგზავნა მოხსენებითი ბარათი, მაგრამ არც ერთის პასუხი არ მიუღია. თურმე ორი ბარათი აჯანყებულმა მთიულებმა დაიჭირეს, ხოლო სამი ქსანზე გაგზავნა [1]. უკანასკნელი წერილით ერისთავი ატყობინებს ციციანოვს, რომ «მთიულეთის ხალხი შეგროვდა და კობში ათასამდე კაცი მივიდა, მათ ასამდე ოსი შეუერთდა თრუსოდან, მათ აგრეთვე ხევის ხალხთან შეერთება უნდოდათ» [2].

თუმცა აჯანყებულებს, — განაგრძობს ერისთავი, — მაიორ ყაზბეგის საგანგებლოში მყოფნი არ შეუერთდნენ, მაგრამ კობიდან წამოიღეს სახაზინო სურსათი, რკინა და ტყვია, რის შემდეგაც გაიყო მთიულეთის და თრუსოს ხალხი» [3].

არაგველებსა და თრუსოელებთან ერთად აჯანყებული არიან თაგაურებიც, მაგრამ, ერისთავის გაგებით, ჯერ საჭიროა არაგვისა და თრუსოს დამშვიდება, ხოლო შემდეგ თაგაურებისაო [4].

თაგაურებს, როგორც ლარსის საგუშაგოს უფროსის შჩიგოლევის მიერ მაიორ ყაზბეგის სახელზე 1804 წლის 9 ივნისის თარიღით გაგზავნილ წერილიდან ჩანს, იერიში მიჰქონდათ ლარსის საგუშაგოზე: ამ საგუშაგოს ისე გაუჭირდა, რომ გუშაგები ბალახით იკვებებოდნენ მთელი კვირა, რასაც მოჰყვა ავადმყოფობა. «შეიტყეს რა ეს, თაგაურებმა, ჩემამდე მოსული ცნობების თანახმად, გადასწყვიტეს თავს დამესხან მაშინ, როცა ავადმყოფთა რიცხვი იმატებს»-ო, აცნობებდა შჩიგოლევი გაბრიელ ყაზბეგს [5].

კობის სანახებში დაბანაკებული აჯანყებულები ხევსურებსა და ფშავლებს ელოდებოდნენ. ერისთავებმა კონტრზომები მიიღეს, ცდილობდნენ გაეფანტათ აჯანყებულები, სანამ მათ ფშავ-ხევსურები მიეშველებოდნენ. 10 ივნისს კაიშაურის მახლობლად, ჯვარივაკეში, მოხდა პირველი შეტაკება აჯანყებულებსა და ერისთავებს შორის. ერისთავებმა აჯანყებულებს

1 АКАК, т. II, стр. 307, № 603.
2 Там же, стр. 307—308.
3 Там же, стр. 308.
4 АКАК, т. II, стр. 308.
5 Там же, стр. 310, № 614.

მოციქულები მიუგზავნეს და წინადადება მისცეს «დაეხიათ უკან» [1], წინააღმდეგ შემთხვევაში ძალით ავიღებთ თქვენს სიმაგრეებსო. აჯანყებულებმა უარით უპასუხეს. მაშინ, — მოახსენებს ერისთავი 11 ივნისს ციციანოვს, — ჩავაყენე ყველა მწყობრში, აგრეთვე პოდპოლკოვნიკი შანშე და მაიორი თორნიკე ერისთავები და კიდევ გავუგზავნე მათ კაცი. მაგრამ მათ არ დაუჯერეს ამას, არ ესმოდათ, თუ რატომ ნახევარი მწყობრში ჩავაყენე, ნახევარი კი ზარბაზანთან წავიყვანე. მე და მაიორმა მელლამ მოხალისეებით შევუტიეთ მათ, გადავანგრიეთ კედელი და შევძახეთ «ვაშა». ისინი გაიქცნენ ხევისაკენ; თუმცა ბევრს გვესროდნენ, მაგრამ ვერც ერთი ჯარისკაცი ვერ დაგვიჭრეს. შემდეგ მეორე ბრძოლაში წავიდნენ შანშე და თორნიკე ერისთავები და გაბრიელ ყაზბეგი ქსნის ჯარებითურთ. მათ დაიხიეს უკან, დასჭრეს ორი ქსნელი და ის ღამე სანგრებში გავათენეთო» [2].

მთიულთა შეუპოვარი წინააღმდეგობის მიზეზის ასახსნელად და იმისათვის, რომ ამ ბრძოლის მნიშვნელობა სათანადოდ გავითვალისწინოთ, საჭიროდ მიგვაჩნია აქვე მოვიტანოთ ერთი ადგილი ვოლკონსკის მოხსენებითი ბარათიდან. 1804 წლის 9 ივნისს ვოლკონსკი მოახსენებდა ციციანოვს: «თავად ელიზბარ და შანშე ერისთავებისაგან პატაკი არ მიმიღია, ხმები კი მესმის, რომ ისინი ასეულით ყაზბეგში არიან თაგაურების მიერ გარშემორტყმულნი; პოდპოლკოვნიკ თავად მიხეილ ერისთავის საშუალებით მივწერე მათ, რომ უკიდურეს შემთხვევაში გამოვიდნენ მთებიდან ლომისაზე ღუდისაკენ, ჩემს მიერ მათ შესახვედრად ქსანზე გაგზავნილი რაზმი დახმარებას გაუწევს» [3].

მართლაც, ერისთავები ხევში თითქმის ალყაშემორტყმულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, მათ იქ ძლიერ გაუჭირდათ. ჯერ კიდევ 4 ივნისს ერისთავი ატყობინებდა ციციანოვს ყაზბეგიდან, რომ მათ ორი კვირის სამყოფი სანოვაგე ჰქონდათ,

---

1 AKAK, т. II, стр. 312, № 617.
2 AKAK, т. II, стр. 312, № 617.
3 AKAK, т. II, стр. 310, № 615.

უკვე მეათე დღეა, რაც სახლიდან გავედითო. ერისთავს ჰქონდა «განზრახული თაგაურებში წასვლა თრუსოზე გავლით, ჯარი კი ცოტა ჰყავდა»[1]. არაგველები «მისთვის უვარგისნი არიან, აგრეთვე საეჭვოა თრუსოს ხალხი»[2].

ასეთ პირობებში უკან დასახევი გზა მხოლოდ ღუდის ძნელად სავალ მთა-ხევებით ჰქონდათ, ლომისის მთაზე გადავლით შეეძლოთ ქსნის ხეობაში ჩასვლა. ღუდის გზა-ბილიკები იწყებოდა ჯვრის გადასასვლელის მახლობლად და მთიულებმა სწორედ ეს ვიწრობები აირჩიეს თავდაცვისათვის.

როგორც ერისთავის ზემომოტანილი მოხსენებითი ბარათიდან დავინახეთ, აჯანყებულები მედგრად იცავდნენ თავდაცვით სიმაგრეებს. ერისთავი არ მალავს, რომ მთიულები «ბევრს გვესროდნენ ჩვენ», მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღების მხრივ დიდი უპირატესობა გვქონდა, ზარბაზანიც კი გვქონდაო. მაშინ როდესაც აჯანყებულები ხელთოფებით იყვნენ შეიარაღებულნი და, უნდა ვიფიქროთ, რომ ბევრ მათგანს ალბათ არც ის გააჩნდა, მაინც მთიულებმა პირველი იერიში მოიგერიეს და მხნედ იცავდნენ თავს. მხოლოდ მეორე იერიშის დროს, როცა ერისთავებმა ზარბაზნის დახმარებით დაანგრიეს აჯანყებულთა ციხე-კედლები, მთიულები იძულებულნი გახდნენ მიეტოვებინათ დაკავებული ადგილები და მთაში შეხიზნულიყვნენ.

ასეთი იყო მოწინააღმდეგეთა შეტაკების პირველი შედეგები, პირველმა დამარცხებამ მთიულები წელში ვერ გატეხა, ხევი არ დამშვიდდა.

ერისთავებმა ბრძოლით გზა გაიკაფეს და ლომისის მთაზე დაბანაკდნენ. რაზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

მაიორი გაბრიელ ყაზბეგი თავისი კაცებით შეუპოვრად იბრძოდა ცარიზმის მხარეზე, მისი ადგილსამყოფელი სტეფანწმინდაში იყო. ეს სოფელი იქ მდებარეობს, სადაც დარიალის ვიწროები იწყება, აქვე საქართველოს სამხედრო გზისგან განშტოვდება გუდამაყარ-ხევსურეთისაკენ მიმავალი გზა-

---

[1] АКАК, т. II, стр. 308, № 603.

[2] Там же, стр. 308, № 603.

ამიტომ აჯანყებულები ყოველივე ამას დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ და ცდილობდნენ ყაზბეგი (სტეფანწმინდა) ხელთ ეგდოთ.

1804 წლის 14 ივლისს შანშე ერისთავი ვოლკონსკის მოახსენებდა, რომ მთიულები ორად გაიყვნენ, — ქვეითნი ჩვენს პირდაპირ დაბანაკდნენ, ხოლო ცხენოსნები ხევსურებთან მოსალაპარაკებლად წავიდნენ, ცდილობენ ყაზბეგს დაეცნენ და აიკლონო [1]. ჩვენ, განაგრძობს ერისთავი, ზომები მივიღეთ. მცირე ჯარით წავედით მთიულთა სოფლებისაკენ, ქვემეხი გავისროლეთ იმ აზრით, რომ ისინი, ვინც ყაზბეგზე წავიდა, ხმას გაიგონებდნენ და გაბრუნდებოდნენო. [2] ოღონდ შანშე ერისთავი არ ასახელებს, რომელი სოფლები დაარბიეს, ამბობს მხოლოდ, რომ «ჩვენ რამდენიმეჯერ გავისროლეთ ქვემეხი, რითაც დავანგრიეთ რამდენიმე სახლი და დავჭერით ხალხი»-ო [3].

ჩანს, აჯანყებულებმა სხვადასხვა ადგილას დაბინავებული სამხედრო ნაწილების ურთიერთობა ისე მოშალეს, რომ ფაქტიურად შეწყდა მათ შორის კავშირი. ერისთავები თუ სხვა მეთაურები ციციანოვს ერთთავად სწერდნენ, ამდენი და ამდენი მოხსენებითი ბარათი გამოვგზავნეთ, თქვენგან კი პასუხი არ არისო [4].

ივლისის 20-დან აჯანყებულები ხევში გაბატონებულ მდგომარეობას აღწევენ. ამის შესახებ საყურადღებო ცნობებს შეიცავს პოლკოვნიკ დრენიაკინის წერილი ციციანოვისადმი, 1804 წლის ივლისით დათარიღებული.

ამ წერილში პოლკოვნიკი დრენიაკინი დაწვრილებით აღწერს ხევში მომხდარ ამბებს და მოუთხრობს თავიანთ გაჭირვებას: «ჩვენ გაუგებრობაში ვიმყოფებოდით, თუ რა მოგვეხერხებინა აჯანყებულთათვის, რადგან პოდპოლკოვნიკი თავადი ერისთავი გვატყობინებდა, რომ იგი ანადგურებს მოწინააღმდეგეს და არავითარი საშიშროება არ არისო, ჩვენ კი, მიუხე-

---

1 АКАК, II, стр. 321, № 639, 1-ое приложение.
2 Там, же.
3 Там же.
4 Там же, № 640.

დავად ამისა, ვერ გავექეცით უბედურებას. დრო და დრო დიდ გაჭირვებაში გვაგდებს მტერი, ასე რომ მაიორ ყაზბეგის ყველა ცდას და ჩვენს ორივე მხარეს გაგზავნილ მოხსენებებს არ მოჰყვა სათანადო შედეგი ჩვენი განთავისუფლებისათვის იმ უბედურებისაგან, რომელიც შემდეგნაირად ვითარდებოდა: რათა გაემრავლებინათ თავიანთი რიგები, აჯანყებულები ავრცელებდნენ ხმებს, ვითომ საქართველოში მყოფი ყველა რუსი ამოწყვიტეს; ამით მათ შესძლეს თავიანთ მხარეზე ბევრის გადაბირება. დუდარუკომ ხელი შეუწყო მათ იმით, რომ არ გაატარა ჩვენი ჯარები ულელტეხილზე. მთიულებმა სხვა ხალხებს სთხოვეს დახმარება, მათ შორის ხევსურებსაც, რომლებიც უკვე მზად იყვნენ ბრძოლისათვის»[1].

ამრიგად, მოტანილი ადგილიდან ნათლად ჩანს, რომ ხევში დაბანაკებულ სამხედრო ნაწილებს და ყაზბეგს აჯანყებულები ავიწროებენ, რომ აჯანყება ახალ ფაზაში შედის და აჯანყებულთა რიცხვი დღითი დღე იზრდება.

ამავე წერილში მოცემულია თვით პროცესის მსვლელობაც. 13 ივლისს, ნაშუადღევს, აჯანყებულები, რომელთა რიცხვი 500 კაცამდე იყო, სტეფანწმინდიდან 3 ვერსის დაშორებით, მდინარე სნოს ვიწროებში დაბანაკდნენ. მათი მიზანი იყო თავს დასხმოდნენ სტეფანწმინდის სამხედრო ბანაკს და აეფორიაქებინათ იგი.[2] ეს სამხედრო ნაწილი გარკვეული დავალებით იყო აქ ჩამომდგარი: მას დაკისრებული ჰქონდა, ერთი მხრივ, საქართველოს სამხედრო გზის ამ უბნის შეკეთების ხელმძღვანელობა და, მეორე მხრივ, თვით ამ გზის დაცვა.

ერთი დღის შემდეგ, 14 ივლისს, აქვე, მდინარე სნოს მარცხენა ნაპირზე, თავი მოიყარა 700 ხევსურმა. ამავე დროს აჯანყებულებს შეუერთდნენ ხევის, ღუდუშაურის და გუდამაყრის ხეობათა მცხოვრებნი. აქვე მოვიდნენ თრუსოელნიც, ასე რომ იარაღასხმულთა რიცხვი, პოლკოვნიკ დრენიაკინის მოწმობით, 1.300 კაცამდე ავიდა[3].

---

[1] АКАК, т. II, стр. 321—322, № 640.

[2] АКАК, т. II, стр. 322, № 640.

[3] Там же.

ხევიდან აჯანყებულთა მხარეზე არ გადავიდნენ მხოლოდ შემდეგი სოფლები: სტეფანწმინდა, გერგეთი, კობი, ყანობი, ქურტიზი, აჩხოთი და არში.[1] მხოლოდ დასახელებული სოფლები შეადგენდნენ გაბრიელ ყაზბეგის დასაყრდენს.

აჯანყებულთა ხევის დაჯგუფებას თავკაცები ჰყავდა. მათ მოლაპარაკების მიზნით ყაზბეგთან გაგზავნეს: ხევის ხეობიდან თათარა ჩქარეული, გუდამაყრელთაგან — პაპუნა ჩობოლაური, მთიულთაგან — ნინია და ომან ბედოიძეები და ნინია ბენიანიძე. ამ მოციქულთა პირით აჯანყებულები უთვლიდნენ ყაზბეგს: ჩვენს მხარეზე გადმოდი, უფროსობა იკისრე და რუსები ხაზინითურთ ჩაგვაბარეო; წინააღმდეგ შემთხვევაში, იმუქრებოდნენ ისინი, ყოველივეს ძალით შევასრულებთო.[2]

ყაზბეგმა განუცხადა, რომ მან დაიფიცა რუს ხელმწიფის ერთგულებაზე, არც ხაზინა მაქვს, აჯანყებულთა მხარეზე გადასვლას კი სიკვდილი მირჩევნიანო[3]. აჯანყებულთათვის უკვე ნათელი შეიქნა, რომ ყაზბეგთან არავითარი მოლაპარაკება აღარ შეიძლებოდა და საჭირო იყო ძალის გამოყენება.

დილით, 15 ივლისს, მთიულები ორ ნაწილად გაიყვნენ. ერთი ნაწილის ამოცანას შეადგენდა დაეკავებინა სოფელი გერგეთი, ხელთ ეგდო მდინარე თერგზე ხიდი და გამაგრებულიყო თერგის მარცხენა ნაპირზე. მეორე ნაწილი უნდა გასულიყო სოფელ აჩხოთთან ხიდზე, რათა ალყა შემოერტყა ციხისთვის.

ამ სიმაგრეში რუსთა რიცხვი მცირე იყო: 20 შეიარაღებული, 14 უიარაღო და 5 მამასახლისი. აქვე იყვნენ ოსთა წარმომადგენლები: თაუსულთან-დუდარუკოს ნათესავი, ჯანხოტ ლარსელი, ადილ-გირეი, ქოფან ჯანთიევი და ბათე, ლარსის მცხოვრები, თავისი 7 კაცით. 60 კაცი ყაზბეგის ხელქვეითთაგანი იყო.

ყველა ესენი ფაქტიურად საალყო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ღამის 10 საათზე ორივე მხრიდან დაიწყეს სროლა.

---

1 АКАК, т. II, стр. 322, № 640.

2 Там же.

3 Там же.

აჯანყებულთა ერთმა ჯგუფმა იერიში მიიტანა სტეფანწმინდაზე და აიძულა ამ სოფლის მცხოვრებნი აჯანყებულთა მხარეზე გადასულიყვნენ. ამ სოფლის მხოლოდ სამი კომლიდა, ისიც ყაზბეგის გვარისანი, ერთგულებდა ყაზბეგს [1].

სროლა, როგორც პოლკოვნიკი დრენიაკინი გადმოგვცემს, ღამის 3 საათსა და 30 წუთამდე გაგრძელდა. ალყაში მყოფთაგან მსუბუქად დაიჭრა ერთი რიგითი ჯარისკაცი, ორი ქართველი მძიმედ, ხოლო 8 — მსუბუქად. აჯანყებულთაგან დაიჭრა 12 კაცი, მოკლეს 1 ცხენი [2].

მდგომარეობა საგანგაშო შეიქნა. დრენიაკინმა და ყაზბეგმა ზავზე მოლაპარაკება ითხოვეს. აჯანყებულებმა პირველი მოთხოვნა გაუმეორეს და დრო დილამდე დაუნიშნეს. ორივე მხარე თანახმა გახდა პირობის დადებამდე მოქმედება შეეწყვიტათ [3].

მიუხედავად ამისა, ალყაშემორტყმულნი მთელი ღამის განმავლობაში დაუსვენებლად მუშაობდნენ, სროლის დროს დანგრეულ სიმაგრეებს აკეთებდნენ და, რადგან ქვები აღარ ჰყოფნიდათ, ჩემოდნებიც კი საშენ მასალად გამოიყენეს [4].

16 ივლისს, უთენია, აჯანყებულთა მოსაშველებლად მოვიდა დუდარუკო 300 ოს-ქისტით. აჯანყებულთა საერთო რიცხვი ამ დროისათვის უკვე 3.000 კაცამდე ავიდა. აჯანყებულებმა სტეფანწმინდას მთლიანად ალყა შემოარტყეს. საქმემ კიდევ უფრო სერიოზული ხასიათი მიიღო. [5]

16 ივლისს, დილიდან შუადღემდე, მთიულები და თაგაურები დროშებქვეშ ურთიერთს ეფიცებოდნენ, რომ რუსებს ბოლომდე წინააღმდეგობას გაუწევდნენ [6].

ამავე წერილიდან ჩანს, რომ გაბრიელ ყაზბეგმა ამჯერადაც, უკვე მესამედ, უარი უთხრა აჯანყებულთა წინადადების შესრულებაზე, და იგი, ყაზბეგი, უშუალოდ დაუკავ-

---

1 АКАК, II, стр. 322, № 640.

2 Там же.

3 Там же.

4 Там же.

5 Там же.

6 АКАК, II, стр. 322—323, № 64.

შირდა ხევსურებს, ცდილობდა მათ გადაბირებას და ამით გამოსავლის გამონახვას. მაგრამ, ჩანს, ამ ღონიძიებამაც სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და, როგორც პოლკოვნიკი დრენიაკინი წერს, «მრავალი დაჟინებითი მოთხოვნის შემდეგ, გადაწყვიტეს, წაერთმიათ ჩვენთვის მთელი ქონება უკანასკნელ პერანგამდე, რაც შეასრულეს კიდევაც»-ო [1].

17 ივლისს, ნაშუადღევს შემდეგ, აჯანყებულთა წარმომადგენლები შევიდნენ ციხე-სიმაგრეში და ალყაში მყოფთა კუთვნილი მთელი ქონება გამოიტანეს. ნადავლი განაწილებულ იქნა ოთხად: თაგაურებს, ხევსურებს, მთიულებსა და გუდამაყრელებს შორის. «ასეთ ბედს ვერ ასცდნენ ვერც კაზაკები და ვერც ჯარისკაცებიო, — მოახსენებდა დრენიაკინი; — ასე რომ ახლა მთელ ჩვენს ქონებას ის-ღა შეადგენს, რაც ჩვენს სიშიშვლეს ფარავს»-ო [2].

ამის შემდეგ, 18 ივლისს, აჯანყებულებმა კატეგორიულად მოითხოვეს, რომ რუსები წასულიყვნენ მათ მიერ დაკავებულ ადგილებიდან. აქ წინააღმდეგობამ იჩინა თავი. თაგაურები მოითხოვდნენ, რომ ხევში მყოფი რუსები ვლადიკავკავს გაეგზავნათ, მთიულები კი საქართველოში გაგზავნის მომხრენი იყვნენ [3].

ყაზბეგმა ურჩია სამხედრო ნაწილების მეთაურებს, საქართველოში წასვლა აერჩიათ, რადგან, ყაზბეგის მტკიცებით, თაგაურები ბოროტნი არიან და შესაძლებელია რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევა მოხდესო [4].

მას შემდეგ, რაც ხევში მყოფი სამხედრო ნაწილების საქართველოში გაგზავნის საკითხი გადაწყდა, მიაღწიეს შეთანხმებას, რომ მათ საქართველოში რუსთა სამხედრო ნაწილების პირველ საგუშაგომდე მიაცილებდნენ ხევსურები.

ამ შეთანხმების საფუძველზე 18 ივლისს, ინჟინერ-პორუჩიკ ლაშქარევის და პოდპორუჩიკ ლესინკოვის თანხლებით

---

1 АКАК, II, стр. 323, № 640.

2 Там же.

3 Там же.

4 Там же.

29 ჯარისკაცი და კაზაკი გაამგზავრეს საქართველოში ხევსურების დაცვით [1].

ასეთია მთიანეთის აჯანყების ხევის ჯგუფის ბრძოლის შედეგები.

აჯანყებულთა ხევის ჯგუფის მოქმედება, როგორც აღნიშნული გვქონდა, ნაწილი იყო მთიანეთის აჯანყებისა.

## V

## ციხისძირის დაჯგუფება

როგორც აღნიშნული იყო, აჯანყებულთა ციხისძირის ჯგუფი ძალებს იკრებდა და ანანურზე იერიშისათვის ემზადებოდა.

აქ აჯანყებულებს თავდაცვითი ზღუდეები გაეკეთებიათ და შესაფერ მომენტს უცდიდნენ. გასაგებია, რომ ამ ჯგუფის მოქმედება ლომისისა და ხევის ჯგუფის წარმატებებზე იყო დამოკიდებული. და საზოგადოდ სამივე ჯგუფის ურთიერთმოქმედება წარმოადგენდა გადამწყვეტ პირობას საერთო გამარჯვებისათვის. ასე ესმოდათ ეს აჯანყებულებს, ასევე ესმოდათ მათ მოწინააღმდეგეებსაც.

რა თქმა უნდა, თავისი მოცულობით აჯანყების ციხისძირის უბანი ვერ შეედრებოდა ლომისის უბანს. მაგრამ რამდენადაც ეს ჯგუფი ანანურის გარნიზონს უშუალო საფრთხეში აგდებდა და, გარდა ამისა, ლომისის უბანზე იერიშის მიტანა და აქ წარმატება ბევრად იყო დამოკიდებული ციხისძირის დაჯგუფების ლიკვიდაციაზე, ცარიზმის ხელისუფლების წინაშე ამ ჯგუფის ლიკვიდაცია ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ჩანდა.

როდის დაიწყო თავისი ოპერაციები ციხისძირის დაჯგუფებამ, ამის დაზუსტება ძნელია. მაგრამ ვიცით, რომ უკვე ივნისის 3-ს ანანურის სამაზრო პოლიციამ მთავრობის აღმასრულებელ ექსპედიციას მეტად საგანგაშო ცნობები მიაწოდა. იგი სწერდა: «ქართლის, გუდამაყრის, ხანდოს და მთიულეთის

---

[1] АКАК. II, стр. 323, № 640.

ხეობათა მოსახლეობამ თავი მოიყარა იმ აზრით, რომ თავს დაესხას სამაზრო ცენტრს — ქალ. ანანურს და სხვა სოფლებს, ვინც კი აჯანყების თანახმა არ შეიქნებაო» [1]. ანანურის კაპიტან-ისპრავნიკ პეტრიკოვის ცნობით, ამ აჯანყებულთა რიცხვი 4000-ს აღწევდა. [2] აჯანყებულებს, იმავე პოლიციის მოხსენებით, მთელი გზა, ანანურიდან მოკიდებული კაიშაურამდე, ჩაუხერგავთ უშველებელი ხეებით, მიმავალ-მომავალს გზაზე არ უშვებენ და ხოცავენო, — ატყობინებდა პოლიცია. თვით ციხისძირის საგუშაგოდან აჯანყებულებს გუშაგები ჩამოურეკნიათ და მათგან რამდენიმე კაზაკი მოუკლავთ კიდეც. [3]

აჯანყების ციხისძირის დაჯგუფების ლიკვიდაცია ვოლკონსკიმ გენერალ-მაიორ ტალიზინს უბრძანა.

11 ივნისს ტალიზინი ბრძანების შესრულებას შეუდგა. ჩანს, ტალიზინმა მოციქულები მიუგზავნა აჯანყებულებს და შერიგება სთხოვა. მაგრამ მალე ნათელი გახდა, რომ აჯანყებულები «არ არიან დამორჩილების მომხრენი და საქმეს აჭიანურებენ მხოლოდ და მხოლოდ დროის მოსაგებად, რადგან ელოდებიან დახმარებას და რომ მათი რიცხვი ყოველ საათობით მატულობს, — შეიტყეს აგრეთვე, რომ ისინი იმდენად გათავხედდნენ, რომ გამოიყვანეს თავისი გუშაგები ჯგუფებად თვით სოფელ ციხისძირთან» [4].

ტალიზინის განკარგულებაში იყო დონის სამხედრო მამასახლისი ტარასოვი 46 კაზაკით, გრენადერთა პოლკი 90 გრენადერით, 50 მუშკეტერი, 60 შეიარაღებული ქართველი და 2 საველე ქვემეხი [5].

11 ივნისს ტალიზინი, დღის 2 საათზე, ანანურიდან ციხისძირს გაემგზავრა და აქ შექმნა თავდაცვის ხაზი. აჯანყებულები მას გზაში ხვდებოდნენ და დიდ ზიანს აყენებდნენ. აჯანყებულები, — სწერს ტალიზინი, — «ყოველ ნახევარ ვერსზე

---

1 АКАК, т. II, стр. 308, № 604.
2 АКАК. т. II. стр. 308, № 606.
3 АКАК, т. II, стр. 308, № 604.
4 АКАК, т. II, стр. 316, № 626, 1-ое приложение.
5 АКАК, т. II, стр. 316, № 626, 1-ое приложение.

ჯგუფებად იკრიბებოდნენ და გვიშენდნენ ძლიერ ცეცხლსო»[1].

აჯანყებულები უკან იხევდნენ და გამაგრდნენ გოდორეთის მთაზე. აქ თავი მოიყარა ათასზე მეტმა აჯანყებულმა და ისინი ტალიზინის ჯარებს მედგარი ბრძოლით ეკვეთნენ. «ავიდნენ დაბურული ტყით დაფარულ მთაზე, შეუერთდნენ დანარჩენ აჯანყებულთ, ამოეფარნენ მათ მიერ გაკეთებულ ქვის სიმაგრეებს არაგვის გზის გასწვრივ, აგვიტეხეს სროლა და თავგამეტებით იბრძოდნენ, ცდილობდნენ ჩვენს განდევნას, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიეს. დავატოვებინეთ ყველა სიმაგრე, ორ ვერსზე მეტ მანძილზე ვდიეთ, რის შემდეგ ისინი გაიფანტნენ»-ო[2]. ბრძოლა საღამოს 9 საათამდე გაგრძელდა[3].

12 ივნისს მნიშვნელოვანი რამ არ მომხდარა. 13 ივნისს ტალიზინი შეტევაზე გადავიდა და აჯანყებულთა ნაწილები შეავიწროვა. აჯანყებულებმა ჭართლის ხეობისაკენ დაიხიეს. აქ მათ გზა გადაუღობა შტაბს-კაპიტანმა კიტკევიჩმა. აჯანყებულები მარწუხში მოემწყვდნენ, მაგრამ გამოსავალი მაინც ნახეს. ტალიზინი წერს, სამი უზარმაზარი ჯგუფი მოუახლოვდა ჩემს საგუშაგოებს. ისინი სასტიკად ეძგერნენ ჩემს პირველ რაზმს და, მიუხედავად დიდი ზარალისა, ბარში ჩასულები განაგრძობდნენ სროლას; ორივე მხარემ სამაგალითო შეუპოვრობა გამოიჩინაო.

თუმცა აჯანყებულნი რუსებზე ბევრად მეტი იყვნენ, მაგრამ ტალიზინის ჯარების შეიარაღების უპირატესობამ თავისი გაიტანა; მათ ბრძოლით გზა გაიკაფეს და ტყეებში შეიხიზნენ.

ამ ბრძოლაში ტალიზინმა თავისი ჯარიდან, თუ ტალიზინს დავუჯერებთ, მოკლულთა და დაჭრილთა სახით დაკარგა 21 კაცი; დიდი იყო აჯანყებულთა ზარალიც[4].

4 ივლისს გოდორეთის მთაზე აჯანყებულებმა სასტიკად დაამარცხეს მაიორი ლუკიანოვიჩი და აიძულეს იგი ანანურსვე

---

[1] **АКАК, т. II, стр. 316, № 626, 1-ое приложение.**

[2] **Там же.**

[3] **Там же.**

[4] **Там же.**

დაბრუნებულიყო. ბრძოლაში მან მოკლულთა და დაჭრილთა სახით დაკარგა 26 კაცი სხვადასხვა რანგისა [1].

აჯანყებულთა ციხისძირის დაჯგუფების დამარცხების შემდეგ გენერალ-მაიორი ტალიზინი ლომისაში ავიდა და ლომისის ოპერაციებს ხელმძღვანელობდა. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ციხისძირსა და მიმდგომ სანახებში აჯანყებულები აღარ ბუდობდნენ; პირიქით, მაიორ მელლას მოხსენებითი ბარათებიდან კარგად ირკვევა, რომ ანანურის მიმდგომი მხარეები სავსე იყო აჯანყებულებით და ჰართლის, ხანდოსა და ციხისძირის ხეობები სამგზავროდ საშიშ ადგილებს წარმოადგენდნენ [2].

## VI

## ლომისის დაჯგუფება

თავისი ხანგრძლიობითა და მასშტაბით ლომისის ბრძოლა აღემატებოდა ხევისა და ციხისძირის ოპერაციებს.

ლომისის მთას გარკვეული სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ მთაზე გადადიოდა გზა-ბილიკები, რომლებიც აერთებდა არა მარტო არაგვსა და ქსანს, არამედ მთელი ქართლის მთიანეთსაც. საკმარისია ვიცოდეთ, რომ ლომისის მთაზე გადადიოდა გზა, რომელიც ქარჩოხის ხეობაში სხვადასხვა მიმართულებით განშტოვდებოდა. ერთი განშტოება სამხრეთით მიიმართებოდა და ქსნის ხეობაში ჩადიოდა. მეორე განშტოება პირველის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენდა ჩრდილოეთით და ჟამურის ხეობაზე გავლით უკავშირდებოდა მაღრან-დვალეთს, პატარა ლიახვის ხეობას და დიდი ლიახვის ხეობას. მესამე განშტოება ქარჩოხის ციხიდან დასავლეთით მიიმართებოდა, სოფელ პავლიანთკარზე, ძაბოეთზე, ხოზოეთზე გავლით ქურთის ხეობას ჰკვეთდა, რეხულისა და ისროლის ხეობას გაივლიდა და ქართლში ჩადიოდა.

ყოველივე ამის გამო ნათელი ხდებოდა, რომ ვის ხელშიც ლომისის მთა იყო, მას ეკუთვნოდა დასახელებულ გზათა კონ-

---

[1] АКАК, т. II, стр. 319—320, № 636, приложение.

[2] Там же, стр. 327, № 648.

ტროლიც. ლომისის მთის ასეთი მნიშვნელობით აიხსნება ლომისის ოპერაციის ხანგრძლიობაც და მასშტაბის სიდიდეც. ჩანს, ორივე მხარე ცდილობდა ლომისის მთის დაკავებას.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ქსნის ერისთავები ყველაზე უფრო შეუპოვრად იბრძოდნენ მთიულეთის აჯანყების ჩასაქრობად. მაგრამ აჯანყებულთათვის მათ დარტყმა ლომისის გზით შეეძლოთ. ქსნიდან არაგვის ხეობაში მიმავალი გზა სოფელ მლეთთან უერთდებოდა საქართველოს სამხედრო გზას. ამ გზით მივიდნენ ერისთავები ქსნელებით კაიშაურსა და ხევში. ჯვართვაკეში წარმოებული ოპერაციების შემდეგ, როგორც აღნიშნული იყო, ვოლკონსკის განკარგულებით ერისთავებს უნდა დაეხიათ უკან და დაეკავებინათ ლომისის მთა, რადგან, ვოლკონსკის განმარტებით, იყო იმის საფრთხე, რომ მთიულეთის აჯანყება ქსანსაც მოედებოდა. და აი, როდესაც ერისთავები ბრძანებას ასრულებდნენ, 10 ივნისს, ლომისის მთის ძირში, სოფელ მლეთთან ისინი წააწყდნენ აჯანყებულთა წინააღმდეგობას.

აჯანყებულებმა უკვე მოასწრეს და «გააფუჭეს» ქსნის გზა, გადასჭრეს იგი; ისინი «დაბანაკდნენ მაღალსა და ვიწრო ადგილზე და არ უნდოდათ... მიეცათ გზა» [1].

აჯანყებულთა წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა და ერისთავებმა ლომისის მთის ძირს 11 ივნისს შექმნეს თავდაცვითი ხაზი, აქ მოვიდა მიხეილ ერისთავი ქსნელებით, ხოლო მალე ვოლკონსკიმ ლომისაში დაბანაკებულ ერისთავებს მიაშველა ერთი ასეული ერთი ქვემეხით.

მაიორი მელლა, რომელიც აღნიშნული ოპერაციების დროს ერისთავებთან იმყოფებოდა, 1804 წლის 12 ივნისს სწერდა: «აქედან ცხადია [2], რომ მათ არ სწადიათ ამ საქმეზე ხელის აღება და ის ადგილები, რომლებიც დავიკავეთ და გავწმინდეთ მათგან, ხელმეორედ დაკავებულია მათ მიერ, და ხმებისა და თვით ჩვენი დაკვირვების თანახმად, ყველა აქაური მცხოვრები (მათი რიცხვი კი ძალიან დიდია) აჯანყებულთ

---

[1] AKAK, т. II, стр. 312, № 618.

[2] ლაპარაკია მთიულთა იმ წინააღმდეგობაზე, რომლის შესახებ ელიზბარ ერისთავი სწერდა. იხ. ზემოთ.

ეკუთვნისა»-ო [1]. აქაურმა მცხოვრებლებმა მთლიანად იარაღს მოჰკიდეს ხელი, გზები გააფუჭეს და დიდ წინააღმდეგობას გვიწევენო.

13 ივნისს ვოლკონსკის ბრძანებით ლომისის განლაგების უფროსად, რომლის განკარგულებაში ქვემეხიც რჩებოდა, ინიშნებოდა მიხეილ ერისთავი, ხოლო ელიზბარ ერისთავი ყაზბეგს უნდა მიშველებოდა სტეფანწმინდაში [2].

ვოლკონსკისავე განკარგულებით მიხეილ ერისთავს უნდა უზრუნველეყო ლომისის მთის დაცვაც და ჰართლის ხეობის კონტროლიც [3]. ამ ბრძანების შესასრულებლად 12 ივნისს მიხეილ ერისთავი ჰართლის ხეობაში მიდის მასთან მყოფ ქსნელთა ნახევრით, ხოლო ელიზბარ ერისთავი შანშე ერისთავს ავალებს ქსნის საერისთაოში დამატებითი ჯარის შესაფრების [4]. მაგრამ სანამ შანშე საერისთაოში წავიდოდა, 14 ივნისს აჯანყებულებმა იერიში მიიტანეს ერისთავებზე. ბრძოლამ 6 საათს გასტანა. პირდაპირი იერიშით აჯანყებულებმა ვერ აიღეს ერისთავების თავდაცვითი ხაზი; მაშინ მათ გადასწყვიტეს შემოვლითი ოპერაციით ალყა შემოერტყათ [5].

ერისთავებმა კონტრზომები მიიღეს, თორნიკე ერისთავმა მწვერვალი დაიკავა და მარჯვენა ფლანგი გაამაგრა; შანშე ერისთავი, ჩანს, დროის მოგების მიზნით, აქტიურ ბრძოლას აწარმოებდა და თან მარცხენა ფლანგს ამაგრებდა [6].

აჯანყებულებმა გაითვალისწინეს ერისთავების ეს კონტრზომები, შეცვალეს პირვანდელი განზრახვა და გადაწყვიტეს დაეკავებინათ მთავარი სიმაღლე, რათა გადაეჭრათ უკან დასახევი გზები [7].

აჯანყებულებს ერისთავებმა დაასწრეს. ელიზბარ ერისთავმა რუსთა და ქართველთა შეერთებული ჯგუფი გაგზავნა

---

1 АКАК, т. II, стр. 314, № 620.

2 АКАК, т. II, стр. 314, № 623.

3 Там же.

4 Там же.

5 Там же.

6 Там же.

7 Там же.

და დაიკავა ყველა მთავარი სიმაგრე, რომელთა დაკავებაც აჯანყებულებს უნდოდათ. ყოველივე ამის გამო აჯანყებულები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ [1].

ამ ბრძოლის დროს, თუ ელიზბარ ერისთავის 14 ივნისს გაგზავნილ წერილში დაცულ ცნობებს დავუჯერებთ, ერისთავებმა დაკარგეს: მოკლულთა სახით 3 ჯარისკაცი, დაიჭრა 7 ჯარისკაცი; ქართველთაგან დაიჭრა 2 აზნაური და 1 გლეხი, აჯანყებულთაგან — 40 კაცამდე [2]. აჯანყებულთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა, ლომისის დაჯგუფებას ხალხი ემატებოდა. 15 ივნისს ციციანოვი უქვეშევრდომილეს მოხსენებაში აუწყებდა იმპერატორს, რომ «არაგვის ხეობის, ჭართლის, გუდამაყრის, ხანდოს და მთიულეთის მცხოვრებნი შეუერთდნენ ხევსურებს და ფშავლებს, ჩახერგეს გზა კაიშაურიდან ანანურამდე, ხოცავდნენ გამვლელებს, ამოჟლიტეს ყაზახთა საგუშაგო კაიშაურში, გადარჩა მხოლოდ 2 კაცი. განზრახული აქვთ თავს დაესხან ანანურს 4.000 კაცით. აღნიშნული არეულობა გამოწვეულია ფარნაოზ ბატონიშვილის მიერ, რომელმაც ფარულად გაიარა ამ სოფლებზე; აჯანყებულთა რიცხვი მატულობს, რის გამოც ანანურს გაემგზავრა გენერალი თავადი ვოლკონსკი და გენერალ ტალიზინს ებრძანა წასულიყო თბილისის ბანაკიდან გრენადერთა ბატალიონითურთ» [3].

მივიდა თუ არა ვოლკონსკი ანანურს, აჯანყებულმა მთიულებმა მიუგზავნეს რწმუნებულები: რევაზ ერისთავი, გიორგი ამილახვარი, თეიმურაზ ბაგრატიონ-მუხრანსკი და კავთისხევის მონასტრის არხიმანდრიტი დოსითეოს ფიცხელაური [4]. ხალხმა მათი პირით იგივე განუცხადა, რაც 11 ივნისით დათარიღებულ მიზეზებში იყო ჩამოთვლილი [5].

ვოლკონსკიმ აღუთქვა, რომ შეძლებისდაგვარად დააკმაყოფილებდა აჯანყებულთა მოთხოვნას, მხოლოდ აჯანყებულნიც

---

1 АКАК, т. II, стр. 314, № 623.

2 Там же.

3 АКАК, т. II, стр. 315, № 624.

4 Там же, стр. 315, № 626.

5 Там же, стр 316, № 626.

დაუყოვნებლივ უნდა წასულიყვნენ სახლებში, გზები შეეკეთებინათ და თაგაურთა დასჯაში დახმარებოდნენ [1].

მაგრამ ამ მოლაპარაკებას, როგორც ცნობილია, არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ხელისუფლება დანაპირებს არ ასრულებდა, ხოლო აჯანყებულები ამის გამო იარაღს არ ჰყრიდნენ. ამის შემდეგ გენერალ-მაიორ ტალიზინს ებრძანა დაესაჯა აჯანყებული მთიულები, თუ ისინი არ დაეთანხმებიან ყველა წაყენებულ პირობას [2].

ტალიზინი დავალების შესრულებას შეუდგა. მალე მისთვის ნათელი გახდა, რომ აჯანყებულები «დამორჩილებას არ აპირებდნენ და საქმეს აჭიანურებდნენ მხოლოდ და მხოლოდ დროის მოგების მიზნით, რადგან დახმარებას ელიან; მათი რიცხვი დღითი დღე მატულობს» [3].

20 ივნისს აჯანყებულთა ლომისის ჯგუფმა მღვდელი ბურდული და ორი გლეხი მიუგზავნა ერისთავებს დავალებით: ხელმწიფეს არ ვურიგდებით. დატოვეთ ადგილები და წადით, არაფერს არ გაწყენთ, «თუ არა თქვენს წინააღმდეგ წავალთო» [4].

ერისთავებმა შეუთვალეს აჯანყებულებს: «ჩვენ ვერ ვუღალატებთ ხელმწიფეს და არც ბრძანება გვაქვს ამ ადგილის დატოვების შესახებო» [5].

მიიღეს თუ რა უარყოფითი პასუხი, მთიულები შეტევაზე გადავიდნენ, იერიში მიიტანეს მარჯვენა ფლანგზე. მათ აქედან უნდოდათ სროლა დაეწყოთ ერისთავების თავდაცვითი ხაზისათვის. შანშე ერისთავი აჯანყებულთა ზურგში შეიჭრა. აჯანყებულებმა ამის გამო მიმართულება შეცვალეს, მარჯვენა ფლანგი მიატოვეს და მარცხენა ფლანგს შეუტიეს, რომელსაც მიხეილ ერისთავი იცავდა ოსებით. შანშე იძულებული გახდა მიხეილს მიშველებოდა [6].

---

1 Там же.

2 Там же, № 626, 1-ое приложение.

3 Там же.

4 Там же, стр. 317—318, № 630.

5 Там же, стр. 318, № 630.

6 Там же.

შანშე ერისთავი, სერიოზულ ხასიათს აძლევს რა აჯანყების ლომისის უბანს, 1804 წლის 22 ივნისს სწერს ვოლკონსკის: «უმჯობესია მალე დამთავრდეს ეს ექსპედიცია, თორემ ისინი სხვებსაც მიიწვევენ. მათი სურვილი იმაში მდგომარეობს, რომ ხელთ იგდონ ის ადგილი, სადაც ჩვენ ვიმყოფებით. თუ მათ დაიკავეს აღნიშნული ადგილი, ჩვენ ძალიან გაგვიჭირდება... თუ ინებებთ უბრძანოთ გორის მაზრის კეთილშობილთ, რათა თავიანთი ხალხით მოვიდნენ ლომისას, ძალიან კარგი იქნება» [1].

რაც დრო გადიოდა, აჯანყებულთა ლომისის უბანი უფრო და უფრო სერიოზულ ხასიათს იღებდა.

ვოლკონსკი ყოველგვარ ზომას მიმართავდა აჯანყების ჩასაქრობად, თუმცა ხევში მთლად მშვიდობა ჯერ ვერ აღედგინათ და მაიორი გაბრიელ ყაზბეგი 25 ივნისს ციციანოვს მოახსენებდა, «მთიულები ჩვენ ძალიან გვემუქრებიან და აპირებენ ჩემზე თავდასხმასო» [2]. მაგრამ რადგან, მისივე განმარტებით, აჯანყებულები «ცდილობენ ოსები და ხევსურები მიიწვიონ თავისთან», ე. ი. მიიმხრონო [3], ამიტომ ვოლკონსკის ბრძანებით 18 ივნისს ყაზბეგი კაიშაურის მთების გზა-ბილიკებზე ყარაულებს აყენებდა.

ყურადღებას იპყრობს მიხეილ ერისთავის წერილი ვოლკონსკისადმი. ეს წერილი 27 ივნისს არის დაწერილი. მიხეილ ერისთავი აღწერს ბრძოლის მსვლელობას და სწერს: «გუშინღამ შევაჩერეთ სროლა სიბნელის გამო, მაგრამ არც ერთ მხარეს უკან არ დაუხევია, მათ იქითა მხარეზე გააკეთეს სიმაგრეები, ჩვენ კი აქეთ გავმაგრდით; წუხელ მაიორმა და კაპიტანმა არ მოასვენეს ისინი მთელი ღამის განმავლობაში. დღეს განთიადიდან ორი საათის შემდეგ ჩვენ დავიწყეთ სროლა: ერთი მხრიდან შანშე ერისთავი, რომელიც მოვიდა დღეს, მეორე მხრივ კი ჩვენ ვუშენთ ქვემეხებს. 8 გასროლის შედეგად მათ მხარეზე 6 მოკლული აღმოჩნდა... ვფიქრობთ,

---

1 Там же, стр. 318. № 631.

2 АКАК, т. II, стр. 318. № 632.

3 Там же.

რომ თუ ჯარი არ მოგვაშველეთ, ეს ამბავი გაგრძელდება»[1].

ამავე ხასიათისაა მაიორ მელლას მოხსენებაც. იგი ერისთავების ბანაკში იმყოფებოდა, ლომისაში. მელლა 27 ივნისს მღელვარებით მოახსენებდა ვოლკონსკის: «მთიულები დაგვეცნენ ორივე ფლანგიდან; თუ მათ შესძლეს დამარცხება ქართველებისა[2], რომელთაც შორეული საგუშაგოები და მაღალი ადგილები უკავიათ, ჩვენ ყოველი მხრიდან ალყაშემორტყმულნი აღმოვჩნდებით, რაც თითქმის ხორციელდება: ჩვენ ახლა გვრჩება მხოლოდ ერთი, მათ მიერ დაუკავებელი ქსნის გზა, რომელსაც, ვფიქრობთ, მალე გადასჭრიან, რადგან ქართველები ძალიან ცოტანიღა არიან, პოდპოლკოვნიკ თავად ერისთავის ოსებს კი სულ არა სურთ ჩვენთვის დახმარების გაწევა»-ო[3].

მელლა მოითხოვს დღესვე შველას, წინააღმდეგ შემთხვევაშიო, ამბობს იგი, ჩვენ ყოველმხრივ ალყაში აღმოვჩნდებით და რომ გზა არ მოგვიჭრან, იძულებული ვიქნები ეს პუნქტი მივატოვო და სხვა უშიშარ ადგილას გადავიდეო, თანაც დასძენს: მას მერე, რაც დაამარცხეს ჩვენს მხარეზე მყოფი ქართველები, ახლა ზიანს გვაყენებენ ჩვენო[4].

ჩანს, ერისთავებს არ უნდათ გაამხილონ, რომ მათ ყმებს არ სურთ იბრძოლონ მთიულების წინააღმდეგ, მაიორი მელლა კი არ მალავს ამ ამბავს, აცხადებს, რომ ქართველები აჯანყებულთა მხარეზე გადადიან და ჩვენ ზიანს გვაყენებენო.

6 ივლისს ვოლკონსკი მოახსენებდა ციციანოვს, რომ ლომისის განლაგებას მუდმივ თავს ესხმიან აჯანყებულები და ამ უბანზე «აჯანყებულთა რიცხვი, ხმების თანახმად, 3.000 კაცს აღემატებაო»[5].

---

[1] АКАК, т. II, стр 318, № 633.

[2] აქ და სხვა მრავალ საბუთში „ქართველებად“ იგულისხმებიან ქართლელები, კერძოდ კი ერისთავთა ლაშქარში მყოფნი. საგულისხმოა რომ ლაშქარში სხვა ეროვნებისანიც იყვნენ, მაგალითად, მიხეილ ერისთავის ოსები. АКАК, т. II, № 634.

[3] АКАК, т. II, стр. 318, № 634.

[4] Там же.

[5] Там же, стр. 319, № 636.

ვოლკონსკის აზრით, ლომისის ხაზი მთავარია და წარმოადგენს «ერთადერთ დაბრკოლებას აჯანყებული მთიულების ოსებთან შეერთებისა და აჯანყებაში მათი ჩაბმისათვის»[1]. ყოველივე ამის გამო არწმუნებს ვოლკონსკი ციციანოვს, «მე ყველა საშუალებას ვიყენებ, რათა შევინარჩუნო ლომისის საგუშაგო და ხელსაყრელ შემთხვევაში დაუსჯელად არ დავტოვებ მათ თავხედობას»[2].

18 ივლისს, როგორც აღნიშნული იყო, ხევის ჯგუფმა დაამარცხა პოლკოვნიკ დრენიაკინისა და მაიორ ყაზბეგის სამხედრო საგუშაგოები. ამრიგად, სამხედრო საგუშაგოები ლიკვიდირებულ იყო და ამიერიდან აჯანყებულთა ხევის დაჯგუფებას თავისი მიზანი შესრულებულად მიაჩნდა. 20 ივლისს მაიორი მელლა იტყობინებოდა, «მთიულები სოფელ სტეფანწმინდიდან დაბრუნდნენო»[3].

მაიორი მელლა ატყობინებდა ზემდგომ მოხელეებს ხევიდან დაბრუნებულ მთიულების შემონათვალს. მთიულები მოითხოვენ, რომ «ჩვენ დავტოვოთ ეს ადგილები და წავიდეთ აქედან, და თუ არ წავალთ, ხვალ აუცილებლად შეერთებული ძალებით თავს დაგვესხმიანო»[4].

21 ივლისს მაიორ მელლას უკვე მოეპოვება ცნობები, რომ აჯანყებულ მთიულებს განზრახვა აქვთ ანანური აიღონ. იგი შიშს გამოთქვამს, რომ თუ «მთიულებმა დაიკავეს ანანური, ამით გადაგვიჭრიან გზას ახალგორზე, ნახავენ ბევრ ამხანაგს, რომლებიც ამჟამად იმალებიან და დახმარებას უწევენ აჯანყებულთ სურსათ-სანოვაგით»[5].

ანანურთან კავშირი შეიძლებოდა მხოლოდ ახალგორის გზით. ივლისის ბოლო რიცხვებში აჯანყებულებს განზრახვა ჰქონდათ ახალგორის გზაც ჩაეკეტათ, რადგან ახალგორ-ჟამურის, მაღრან-დვალეთის გზით გზავნიდნენ ცარიზმის მოხელეები კორესპონდენციებს ამიერკავკასიასა და რუსეთ-

---

[1] Там же, № 636.

[2] Там же, № 636.

[3] АКАК, т. II, стр. 324, № 641, 3-е приложение.

[4] Там же.

[5] Там же, № 641, 4-ое приложение.

ში. მას შემდეგ, რაც ოსებიც შეუერთდნენ აჯანყებულებს, ეს გზაც საშიში გახდა და თანაც დიდ ხარჯებს მოითხოვდა: «ლომისიდან მაღრან-დოვლეთამდე მეგზურები თხოულობენ 6 მანეთს და რამდენი ცხენიც დასჭირდება შიკრიკს, თითოეულ ცხენში უნდა გადახდილ იქნას ქირა 2 მანეთი»[1].

ივლისის ბოლო რიცხვებში აჯანყებულთა იერიშები ცარიზმის ჯარების განლაგებებზე გახშირდა. ამავე დროს ეს იერიშები კიდევ უფრო ხალხმრავალი იყო.

28 ივლისს გენერალ-მაიორი ტალიზინი მოახსენებდა ვოლკონსკის, რომ მთიულები თავს დაგვესხნენ მარცხენა ფლანგზე და ერთი საათის შემდეგ — მარჯვენა ფლანგზე, 1000-1000 კაცით თითოეულ მხარეზე, ცდილობდნენ მოხერხებული ადგილები დაეკავებინათ და ჩვენ ჩამოვეგდეთ ბატარეებიდან. შეუწყვეტელი ცეცხლი ორივე მხრივ 14 საათზე მეტხანს გაგრძელდა. მთიელთა თავგანწირვა უმაგალითოაო[2].

ცარიზმის მოხელეებისათვის ახლა უკვე ნათელი იყო, რომ მარტო ტყვიით არ შეიძლებოდა აჯანყებულ მთიელთა დამორჩილება; ამიტომ ისინი შეუდგნენ აჯანყებული ხეობების ურთიერთისგან გათიშვას.

მთიულეთში მიავლინეს ამბროსი ნეკრესელი და თ. რევაზ ერისთავი. ისინი დააფინანსეს კიდეც. მათ 300 მანეთი მისცეს ფულად. ფულით უნდა მოესყიდათ აჯანყებულთა ერთი ნაწილი, გახრწნილობა შეეტანათ აჯანყებულებში[3].

ამავე დროს ვოლკონსკი ფშავ-ხევსურეთში გზავნის თავად მაყაშვილსა და ქობულაშვილს საგანგებო დავალებით, რის შედეგად მათ მოახსენეს ვოლკონსკის «ხევსურის რამდენიმე ოჯახის ჩამოშორების შესახებ, რომელნიც მიდიოდნენ მთიულების დასახმარებლად»[4]. ხოლო ორი დღის შემდეგ, 30 ივლისს, შეატყობინეს: 1000 ხევსური, მთიულებთან რომ მიდიოდნენ, ჩამოვაშორეთო[5].

1 АКАК, т. II, стр. 325, № 642, приложение.
2 Там же, II, стр. 325, № 643.
3 Там же, стр. 324, № 642.
4 Там же, стр. 325, № 644.
5 Там же, стр. 325, № 645.

აჯანყებულებმა კონტრზომები მიიღეს. ცარიზმის ხელისუფლების მიერ გაგზავნილ ჯაშუშ-პროპაგანდისტებს ატყვევებდნენ, თავიანთ სასარგებლო პროპაგანდას ავითარებდნენ, დაზვერვას აძლიერებდნენ. აგვისტოს პირველ რიცხვებში ტალიზინის მიერ გაგზავნილი არხიმანდრიტი პაფნუტი დაატყვევეს და ტალიზინს შემოუთვალეს: «ჩამოდი ლომისიდან და ანანურს წადიო»[1]. ტალიზინმა ასეთ მოთხოვნაზე უარით უპასუხა, 3 აგვისტოს მოხდა შეტაკება. ამ შეტაკების დროს, როგორც ტალიზინი სწერს 4 აგვისტოს, «ორი სოფლის, ზემო და ქვემო მლეთის, მეტი ნაწილი გადასწვეს მათი ქონებიანად, დანარჩენი ქართველებმა გაძარცვეს»[2]. შეუწყვეტელი ბრძოლა 5 საათს გაგრძელდა. ამ ბრძოლაში აჯანყებულებს თუმცა დიდი ზარალი მიაყენეს, მაგრამ არც ამათ დაუკლიათ ხელი. ტალიზინის თქმით, «ბრძოლა უსასტიკესი იყო და აჯანყებულთა თავგანწირვა უმაგალითო».[3] ამ ბრძოლაში დაიღუპა ერთი ეგერი, ერთი გრენადერი, სასიკვდილოდ დაიჭრა შუბლში და შემდეგ გარდაიცვალა კიდეც შტაბს-კაპიტანი კიტკევიჩი. ამავე ბრძოლაში დაიჭრა ელიზბარ ერისთავი და მეცხრე ეგერთა პოლკის შტაბს-კაპიტანი ნოვიცკი. მსუბუქად დაიჭრა 6 რიგითი[4]; თუმცა ტალიზინი არ ასახელებს აჯანყებულთა დანაკლისის რაოდენობას, მაგრამ სიხარულით აუწყებს, რომ «ამის შემდეგ ისინი თვითონ მოვლენ ჩვენთან, რადგან დიდი შიშით არიან შეპყრობილნიო»[5].

ამ ბრძოლაში, როგორც შუაკაცები რევაზ ერისთავი და ამბროსი ნეკრესელი მოახსენებდნენ ვოლკონსკის, ტალიზინისა და ერისთავის თავგასულობა უკიდურეს საზღვარს აღწევდა, სალდათები არ ინდობდნენ არც ქალებს, არც ბავშვებს, ანგრევდნენ საცხოვრებელ სახლებს[6].

1 АКАК, II, стр. 326, № 646.
2 Там же, №646.
3 Там же, № 646.
4 Там же, № 646.
5 Там же, № 646.
6 Там же, № 647.

ამაოდ ეგონა ტალიზინს, რომ ასეთი მეთოდებით დაამშვიდებდა აჯანყებულთ, მოხდა პირიქით: აჯანყებულებმა, ჩანს, კაცები აფრინეს და მომხდარი ამბავი სხვა ხეობებს აცნობეს.

3 აგვისტოს ამბების შემდეგ აჯანყება ახალ ფაზაში შევიდა. იარაღი აისხეს ქამურმა, ჭურთამ, მუჯუხმა, ოხირმა, ლომისამ [1].

ამ დროს ალექსანდრე ბატონიშვილის კაცები მოვიდნენ აჯანყებულებთან და გამამხნევებელი წერილები მოუტანეს [2]. აჯანყებულთა საშველად გამოცხადდა 500 ხევსურიც [3].

9 აგვისტოს, განთიადისას, შეერთებული ძალებით (მონაწილეობას იღებდნენ: მთიულები, ხევსურები, ღუდელები, ქამურელნი, მუჯუხელები, ოხირელები და ლომისელები) აჯანყებულებმა მაიორ მელლას გადაუჭრეს ყველა გზა. ტალიზინი იქ აღარ იყო და ლომისის მთელ ოპერაციებს მაიორი მელლა ხელმძღვანელობდა.

12 აგვისტოს მაიორი მელლა მოახსენებდა ვოლკონსკის: «9 აგვისტოს აღმოვჩნდით ალყაში, საგუშაგოებს არსაითკენ გზა არ ჰქონდათ და მისი გახსნის საშუალებაც არ იყო» [4]. მაიორ მელლასთან ერთად იმყოფებოდა შანშე ერისთავიც. შანშე თავისი ყმებით მარჯვნით გაემართა და აჯანყებულთაგან ნაკლებ გამაგრებული ადგილები დაიკავა. ამან საშუალება მისცა მაიორ მელლას 60 ეგერით ამ მიმართულებით გაჭრილიყო. ამით მას უნდოდა მუჯუხისა და ქარჩოხის მთებით სამშვიდობო გზით მცხეთისაკენ წასულიყო, მაგრამ, მოლოდინის წინააღმდეგ, გამოირკვა, რომ ეს ადგილებიც მუჯუხელებს, ქარჩოხელებს და ჭართლელებს გამაგრებული ჰქონდათ [5].

აჯანყებულებმა მელლას მოსთხოვეს მთელი სამხედრო და პირადი ქონება. მელლამ ამ მოთხოვნაზე უარით უპასუხა, მან ბრძანება გასცა, გარდა აუცილებელი მცირე ბარგისა,

---

[1] АКАК, т. II, стр. 326, № 647.
[2] Там же, № 647, приложение.
[3] Там же, № 647, приложение.
[4] Там же, № 649.
[5] Там же, № 648.

ყველაფერი დაეწოთ, რომ აჯანყებულებს არ ჩავარდნოდათ ხელთ, თვითონ კი ღამით გაეკვლიათ გზა [1].

მელლას განკარგულებით იარაღის დიდი ნაწილი მოსპეს, ქვემეხები გააფუჭეს და მიწაში ჩაფლეს, მერე კი ჯარის ნაწილი გაყოფილ იქნა სამად. ეს ნაწილები ურთიერთს უმაგრებდნენ ზურგს. აჯანყებულები კვალდაკვალ მისდევდნენ და ზიანს აყენებდნენ მათ.

ამ ოპერაციების დროს მაიორმა მელლამ მოკლულთა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა სახით დაკარგა: სევასტოპოლის მუშკეტერთა პოლკიდან. პორუჩიკი გლაზატოვი, უნტეროფიცერი 1, მუსიკოსი 1, რიგითი 23, ფურმანი 1; სარატოვის მუშკეტერთა პოლკიდან: რიგითი 3; მეცხრე ეგერთა პოლკიდან: მუსიკოსი 1, რიგითი 7, დენშჩიკი 2; მე-7 საარტილერიო პოლკიდან: მეზარბაზნე 1 [2]; დაიჭრა სევასტოპოლის მუშკეტერთა პოლკიდან: რიგითი 5; მე-9 ეგერთა პოლკიდან: პოდპორუჩიკი სელიუდკინი, რიგითი ერთი [3].

ამრიგად, 1804 წლის 3 აგვისტოდან აჯანყებამ მოიცვა ქართლის მთელი მთიანეთი, კერძოდ არაგვისა და ქსნის ხეობებში შემავალი თემები. აჯანყებულებმა მოშალეს ერისთავ — მელლას სამხედრო ბანაკები და მაიორ მელლას უკან დახევის დროს მოუკლეს, დაუჭრეს ან ტყვედ იგდეს 48 კაცი; ამიერიდან «ქარჩოხელებმა და ქსნის დანარჩენმა მცხოვრებლებმა მთიულებს შეჰფიცეს, რომ რუსეთის ჯარებს არ გაატარებდნენ ლომისაზე».

მას შემდეგ, რაც აჯანყებულებმა ერისთავ — მელლას ლომისის ბანაკი მოსპეს, მათ მოქმედების არე უფრო სამხრეთით გადმოიტანეს და დუშეთს, ახალგორსა და ანანურს საფრთხე შეუქმნეს.

«ლომისის საგუშაგოს ხელში ჩაგდებით,— ამბობს დუბროვინი, — მთიულებმა ხელთ იგდეს ქსნის ყველა სამფლობელო და გზა ქართლისაკენ. თავად ერისთავების სოფლები

---

[1] Там же, стр. 327, № 648.

[2] Там же, стр. 326, № 648.

[3] Там же стр. 327, № 648.

დაარბიეს რუსეთისადმი ერთგულებისათვის და საშიშროება თვით გორს ემუქრებოდა»[1].

მოტანილ ამონაწერიდან ყურადღებას იპყრობს ერთი ადგილი, სახელდობრ: «თავად ერისთავების სოფლები დაარბიეს რუსეთისადმი ერთგულებისათვის». ეს გვიჩვენებს, რომ რუსი ისტორიკოსის წარმოდგენით, მთიანეთის მოძრაობას ჰქონდა ანტირეჟიმული ხასიათი.

გზადაგზა აჯანყებულები ანგრევდნენ და ანადგურებდნენ იმ მემამულეთა სახლებს, რომლებიც ერთგულნი დარჩნენ რუსეთის მთავრობისა და აქტიურად იბრძოდნენ გლეხების წინააღმდეგ. ასე მაგალითად, თავადი ერისთავები (დიდი მემამულენი, რომელთაც 4 ათას კომლზე მეტი ყმა ჰყავდათ), მთლიანად აიკლეს აჯანყებულებმა[2].

ვოლკონსკი თავის მოხსენებაში ალექსანდრე I-ს სწერს: აჯანყებულებმა «ამ დღეებში უპირველესი გვარეულობის ქართველი თავადები დაატყვევეს, ბევრ მათგანს სცემეს, რამაც მცხოვრებლებში სასოწარკვეთილება გამოიწვია»[3].

იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს აჯანყებულთა ბრძოლის მეთოდები და აჯანყების ხასიათიც, საჭიროა ყურადღება მივაქციოთ კიდევ ერთ ფაქტს.

როგორც მასალებიდან ჩანს, ჩვენს მიერ განხილული სამი დაჯგუფების ზოგადი მიმოხილვა შემდეგ სურათს იძლევა: აჯანყების ხევის ჯგუფი წარმოადგენდა თავისებურ თავსაფარს, იგი, როგორც აღნიშნული იყო, ჰკეტავდა დარიალის კარს და ამით თავისუფალი მოქმედების საშუალებას აძლევდა ლომისისა და ციხისძირის დაჯგუფებებს.

აჯანყებულთა ლომისის დაჯგუფება ჰკეტავდა მნიშვნელოვან კომუნიკაციებს არაგვისა და ქსნის ხეობებს შორის, ხოლო ციხისძირის დაჯგუფება ანანურზე იერიშისათვის ემზადებოდა. ამ თვალთახედვით სამივე დაჯგუფების სტრატეგიული გეგმა ერთი და იგივე იყო.

---

[1] Н. Дубровин, Закавказье..., стр. 367.
[2] Н. Дубровин, Закавказье..., стр. 367.
[3] Там же, стр. 368.

აგვისტოს შუა რიცხვებიდან ცარიზმის მოხელეებს საქართველოში დიდად გაუჭირდათ. ციციანოვი ერევანში იყო და შედეგი სასურველი არ ჩანდა. ვოლკონსკიმ საქართველოს საქმეებს თავი ვერ გაართვა, აჯანყების არე კიდევ უფრო ფართოვდებოდა. მართალია, იულონი ციხეში გამოკეტეს, მაგრამ ფარნაოზი უკვე აჯანყებულებთან იმყოფებოდა. ფშავ-ხევსურეთი, კახეთის თავადაზნაურთა დიდი ჯგუფი და, რაც მთავარია, ზოგიერთი ქართველი თავადაზნაური, ცარიზმის სამსახურში რომ იყო, აჯანყებულთა მხარეზე გადავიდა. «შეიტყვეს რა ფარნაოზის გამოჩენა, ადგილობრივი თავადები და თვით ალავერდის არხიმანდრიტი ბესარიონ ერისთავი, რომელიც 14 რიცხვს დღესასწაულში იმყოფებოდა ალავერდის მონასტერში, შეთანხმდნენ ყველა უკლებლივ, მათ შორის სამაზრო სასამართლოს მსაჯულიც სიმონ ქობულოვი და საერო პოლიციიდან ლუარსაბ ჯანდიერი და ხსენებული ქობულოვის ხელმძღვანელობით დაედევნენ ბატონიშვილს»[1].

მაგრამ დავიცვათ ქრონოლოგიური რიგი. ამის წინა დღით რუსი მოხელე გატცუკი სოფ. ქარჩოხიდან მოახსენებდა ვოლკონსკის: «დღეს (13 აგვისტოს. — ვ. ტ.) მთიულები გზავნიან თავის ჯარებს ანანურს, ანანურზე და აგრეთვე დუშეთზე დასაცემად»[2].

აჯანყებულებმა მას შემდეგ, რაც მოშალეს ლომისის ხაზი, უშუალო საფრთხე შეუქმნეს დუშეთსა და ანანურს.

ანანურის კაპიტან-ისპრავნიკი პეტრიკოვი იუწყებოდა, რომ 20 აგვისტოს აჯანყებულები დაესხნენ დუშეთს და «დასწვეს იქაური სახაზინო ყაზარმა»[3].

სექტემბრის დამლევისათვის ფარნაოზი არაგვის ხეობაში იმყოფებოდა და ფასანაურში იდგა 300 მთიულით[4].

თვით ალექსანდრე იმპერატორი იძულებული იყო ელიარებინა, «ჩვენი მდგომარეობა საქართველოში, ჯარის მცირე-

---

1 АКАК, т. II, стр. 138, № 232.
2 АКАК, т. II. стр. 327, № 649, приложение.
3 АКАК, т. II, стр. 331, № 658.
4 АКАК, т. II, стр. 331, № 659.

რიცხოვნობის პირობებში, დღითიდღე უარესდებაო»[1]. ასეთი შეფასება მისცა ალექსანდრემ ამიერკავკასიაში შექმნილ სიტუაციას, ვოლკონსკის ინფორმაციაზე დამყარებულმა, ვინაიდან 16 აგვისტოს ვოლკონსკიმ შეატყობინა იმპერატორს საქართველოში შექმნილი მდგომარეობა და სასწრაფო დახმარება სთხოვა[2].

«საქართველოს დაცვისათვის აუცილებელია დახმარება», სწერდა ვოლკონსკი იმპერატორს. რუსეთის სამეფო კარმა სასწრაფო ზომები მიიღო. იმპერატორის ბრძანებით საქართველოში უნდა გაგზავნილიყო სამხედრო ნაწილები: ყირიმიდან შავი ზღვით და სამეგრელოზე გავლით ქვეითა ერთი პოლკი და არტილერია, ხოლო «კავკასიის ხაზის» უფროსს გენერალ-ლეიტენანტ გლაზენაპს ებრძანა «სასწრაფოდ კავშირის დამყარება საქართველოსთან და საარტილერიო რაზმის, დრაგუნდთა პოლკის, კაზაკებისა და რეკრუტების დაუყოვნებლივ გაგზავნა»[3].

## VII

## აჯანყების მარცხი და აჯანყებულთა გასამართლება

ამავე დროს ციციანოვმა სექტემბრის ბოლო რიცხვებში ერევანი მიატოვა და სასწრაფოდ საქართველოს მოხედა. 30 სექტემბერს ციციანოვი იმპერატორ ალექსანდრეს უქვეშევრდომილეს მოხსენებაში აცნობებდა, რომ «არაგვისპირელები და ოსები დიდსა და პატარა ლიახვთან ცახცახებდნენ შიშით ჩემი დაბრუნების გამო, რასაც ისინი თავიანთი გულუბრყვილობის გამო არ მოელოდნენ»[4].

ციციანოვი აიმედებდა იმპერატორს, რომ მან გაგზავნა აჯანყებულებთან მირმანოზ და სოლომონ ერისთავები წერი-

1 АКАК, т. II, стр. 295, № 581, 1-ое приложение.

2 Н. Дубровин, Закавказье..., стр, 368, ср. АКАК, т. II, стр. 328, № 651.

3 АКАК, т. II, стр. 295, № 581, 1-ое приложение.

4 АКАК, II, стр. 330, № 655.

ლით, რომლითაც მოითხოვდა მთიულებისაგან თავკაცების გაცემას, აგრეთვე ტყვეებისა და ნაძარცვი ქონების დაბრუნებას. «თუ ამ წერილზე დამაკმაყოფილებელ პასუხს არ მივიღებ, კავკასიის გრენადერთა პოლკით, რომელიც ხვალ ან ზეგ მოვა, თვითონ წავალ ანანურს მათ დასაწყნარებლად, ხოლო იქიდან ცხინვალს ოსების დასაწყნარებლადო»[1]. ასეთსავე წერილს სწერდა ციციანოვი კოჩუბეის[2].

ოქტომბრის დასაწყისში აჯანყების ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ციციანოვი სამხრეთიდან უტევდა, ერისთავები დასავლეთიდან ავიწროებდნენ აჯანყებულებს, ხოლო გენერალმა გლაზენაპმა, მიიღო თუ არა იმპერატორის ბრძანება, გენერალ-მაიორ ნესვეტაევის სარდლობით ჯარი გამოგზავნა თერგის ხეობაში. «ნესვეტაევის რაზმში შედიოდა ყაზანის მუშკეტერთა პოლკის 6 ასეული, არტილერიის ორი ასეული, დონის კაზაკთა ორი პოლკი და 500 რეკრუტი»[3].

ჯარის ნაწილები ყოველ ნაბიჯზე აწყდებოდნენ აჯანყებულთა წინააღმდეგობას და ბრძოლით იკაფავდნენ გზას. ფარნაოზი ცდილობდა ყაზბეგის დაკავებას, მაგრამ ჯარის ნაწილების ავანგარდმა, რომელიც ყაზანის პოლკის ერთი ასეულისა და 300 კაზაკისაგან შედგებოდა და რომელსაც პოდპოლკოვნიკი ბიხალოვი უფროსობდა, დაასწრო და ფარნაოზი იძულებული გახდა სიონისაკენ დაეხია და იქ გამაგრებულიყო[4]. 12 ოქტომბერს მოხდა სიონთან ბრძოლა. რუსი ჯარის რიცხვი სიონთან ბრძოლისას, დუბროვინის ცნობის წინააღმდეგ, თ. ახვერდოვს ათჯერ მეტი ჰყავს დასახელებული. ერისთავისადმი წერილში იგი აღნიშნავს: «ჩვენ 300-ზე მეტნი ვართ და 30 ქვემეხი გვაქვსო»[5].

ამ ბრძოლაში ფარნაოზის ნაწილები დიდად დაზარალდნენ. ფარნაოზმა დაკარგა 100 კაცი მოკლულთა სახით, 55 კი ტყვედ ჩავარდა[6].

---

1 АКАК, т. II, стр. 330, № 656.

2 Там же.

3 Н. Дубровин, Закавказье... стр. 370.

4 Там же.

5 АКАК. т. II, стр. 322, № 662.

6 Н. Дубровин, Закавказье... стр 370.

12 ოქტომბერს ახვერდოვი სტეფანწმინდიდან ერისთავს აცნობებდა ცარიზმის სამხედრო ნაწილების გამარჯვების შესახებ: «მოგახსენებთ ჩვენი საქმეების შესახებ: ჩვენ გავანადგურეთ დუდარუკო და დავწვით მისი სოფლები; მთიულები გავდევნეთ დარიალიდან და სტეფანწმინდიდან»[1]. ამავე დროს ახვერდოვი ერისთავებს სთხოვდა, «კარგი იქნებოდა, რომ თქვენც თქვენი მხრიდან შეგევიწროებინათ მთიულებიო»[2].

ჩანს, აჯანყებულები არც თუ ისე იოლად თმობდნენ თავიანთ პოზიციებს და, მიუხედავად იმისა, რომ ოქტომბერში მთაში საკმაოდ ცივა, აჯანყებული მთიელები ტყეებში იმყოფებოდნენ ჯგუფ-ჯგუფად და «ხაზიდან» მოსულ სამხედრო ნაწილებს დიდ ზიანს აყენებდნენ.

ოქტომბერში საქართველოს უზენაესი მთავრობის პროკურორმა ზოტოვმა აღმასრულებელ ექსპედიციას განუცხადა, — აჯანყებულმა მთიულებმა ლომისაში ჯარი გაანადგურეს და სამი ზარბაზანი წაიღესო. მისი განცხადება ემყარებოდა ანანურის სასამართლოს მდივნის ხოდირევსკის რაპორტს, ეს უკანასკნელი კი ემყარებოდა ანანურისავე კომენდანტის პოკატაევის სიტყვებს. ასე რომ აღმასრულებელი ექსპედიციის მოხსენება ციციანოვისადმი 21 ოქტომბრის თარიღით ფაქტიურად შეეხებოდა ამის წინ მომხდარ ამბავს. მაგრამ სახელდობრ როდის მოხდა მთიულთაგან ლომისის ჯარის განადგურება და ზარბაზნების წაღება, ამის გადაჭრით თქმა ძნელია. ეს იმიტომ, რომ ეს ექსპედიცია ციციანოვს მოხსენებებს ხანდახან დაგვიანებით უდგენდა. მაგალითად, 20 აგვისტოს აჯანყებულთა დუშეთში შეჭრა და იქაურობის განადგურება ექსპედიციამ ციციანოვს მოახსენა მხოლოდ 30 სექტემბერს[3]. ასევე დაგვიანებით მოხსენდა ციციანოვს დუშეთსა და ანანურზე თავდასხმის განზრახვა — ივლისის შუა

---

1 ახვერდოვი მოკლულთა რიცხვს 40 კაცს ასახელებს, ტყვეთა რიცხვს კი—55 კაცს (აქტები, II, გვ. 332, № 662), რაც უფრო მართალი უნდა იყოს.

2 АКАК, стр. 322, № 662.

3 АКАК, т. II, № 658, стр. 331.

რიცხვების ამბავი 31 აგვისტოს[1]. მაგრამ ამის პარალელურად ვიცით საწინააღმდეგო ფაქტიც: 3 ივნისის პატაკი ექსპედიციამ ციციანოვს მოახსენა მეორე დღესვე, 4 ივნისს[2]. ასეა თუ ისე, ჩვენ არა გვაქვს შესაძლებლობა ზუსტად დავათარიღოთ ლომისის ჯარის განადგურებისა და 3 ზარბაზნის წართმევის ფაქტი და, თუ აქ არ იგულისხმება მაიორ მელლას ლომისაზე მარცხი აგვისტოში, როცა ეს მაიორი მოახსენებდა მართლაც ჯარის მარცხისა და 3 ზარბაზნის ამბავს (მიწაში ჩავფალიო!)[3], მაშინ ლომისის ამბავი შეიძლება მივიჩნიოთ აჯანყებულთა უკანასკნელ გამარჯვებად.

29 ოქტომბერს ციციანოვს უკვე საშუალება ჰქონდა მოეხსენებინა იმპერატორისათვის: «თუმცა მე ამ ქალაქში[4] მოვედი პატარა რაზმით მთიულების დასამშვიდებლად, მაგრამ მამაცმა გენერალმა ნესვეტაევმა და მისმა ავანგარდმა, რომელსაც კაზაკთა პოლკოვნიკი ბიხალოვი მეთაურობდა, ყველაფერი დაამთავრეს ჩემი დახმარების გარეშე და ვლადიკავკავიდან ამ ქალაქამდე ბრძოლათა რიცხვი გამარჯვებათა რიცხვით განისაზღვრა: შიშით არიან შეპყრობილნი ადგილობრივი მცხოვრებნი; ხიდები აშენებულია, გზები შეკეთებულია ძველებურად»[5].

აჯანყება ჩაქრობილ იქნა მძლავრი დარტყმებით. ანანურიდან ნესვეტაევმა ყველა მიმართულებით გაგზავნა პატარ-პატარა რაზმები და რამდენიმე დღეში არა მარტო დაამყარა სრული კავშირი მთელ საქართველოს სამხედრო გზაზე, არამედ აიძულა მცხოვრებნი აეგოთ ხიდები და შეეკეთებინათ გაფუჭებული გზები[6].

მარტოდ მიტოვებულმა ფარნაოზ ბატონიშვილმა სცადა ერევანში გაპარვა, მაგრამ თბილისიდან 40 ვერსის დაშორე-

[1] АКАК, II, № 652, стр. 328—329.

[2] АКАК, т. II, № 604, стр. 308.

[3] АКАК, т. II, № 648, стр. 826.

[4] ლაპარაკია ანანურზე, სადაც ციციანოვი ჩავიდა. იხ. АКАК, т. II, стр. 333, № 667.

[5] АКАК, II. стр. 333, № 667.

[6] თავად ციციანოვის წარდგინებით, ნესვეტაევს ამ მოქმედებისათვის ებოძა წმ. ვლადიმერის მესამე ხარისხის ორდენი და ფულადი ჯილდო. АКАК, т. II, № 667.

ბით, დემურჩასალოს მტევრის გადასასვლელზე, მას დაეწია თამაზ ორბელიანის რაზმი, რომელმაც იგი დაატყვევა. «ვისწრაფვი მოვახსენო თქვენს უდიდებულესობას, — სწერდა ამის გამო ციციანოვი, — ერთი გველეშაპთაგანი, რომლებიც საქართველოს ანადგურებდნენ შინა ბრძოლებით, შეპყრობილია და კეთილშობილ ტყვეობაში იმყოფება»-ო [1]. ორივე ბატონიშვილი გადაასახლეს საცხოვრებლად: იულონი — ტულაში, ფარნაოზი კი — ვორონეჟში.

ამით ციციანოვი არაგვის ხეობაში მომხდარ აჯანყებას უკვე დასრულებულად თვლიდა და იმპერატორს ატყობინებდა, რომ იგი ანანურს დარჩებოდა მცირე ხანს აჯანყების დამწყებთა გამოსავლენად და შემდეგ «ორასი გრენადერით, 150 ეგერითა და 150 კაზაკით წავიდოდა ცხინვალს დიდსა და პატარა ლიახვზე მცხოვრებ საქართველოს ოსებისაგან რიშკოვის ყაზახთა მთელი პოლკის (ხალხისა და ცხენების) სამხედრო ძალით გამოსახსნელად» [2]. ციციანოვი საგანგებო წერილებს უგზავნიდა არაგვის ხეობაში შემავალ ხეობათა ნაცვლებს და მოითხოვდა, რომ ყოველი სოფლიდან მხცოვან ნაცვლებთან ერთად ანანურს გამოცხადებულიყვნენ საპატიო ადამიანები, რომელთაც სოფლელები ენდობოდნენ. იგი ჩამოთვლიდა გამოძახებულთა გვარებს: პეტრე ჩოხელი და გერანა — გუდამაყრიდან; გავა ხორებოვი და გიორგი ჩიტაური (ნაცვლის შვილი) — ჭართლიდან; მედავითნე ცეველური, გიორგი სეთურიძე და პაპუნა მიდელაური — ხადელნი; 5 კომლი ნარიმანიძე, ტონჩაელი ნინია ბურდული; აბრამა კობაიძე — არაგველი, ჩირიკელი ლიბასას შვილი კობაიძე, კობოდკორელი ბარათას-ძე — ცხაოტელი, ფიცხელა ჩოხიევი — პავლიაურელი, მამისიმედი ჩიპრიკოვი — ხანდოელი და მოსახლიშვილი [3].

ციციანოვი ამავე წერილით ატყობინებდა მთიულებს: «ჩემს მიერ მოგეცემათ წერილობითი ნებართვა საქონელი

---

1 АКАК, т. II, стр. 143, № 248.
2 Там же, стр. 333, № 667.
3 АКАК, т. II, 333, № 666.

შწყემსოთ იქ, სადაც წინათ მწყემსავდით; გარწმუნებთ, რომ მას არავითარი საფრთხე არ ემუქრება»[1].

მაგრამ მთიულებმა ციციანოვის მოთხოვნა არ შეასრულეს და დაბარებულნი არ გამოცხადდნენ, რის გამო განრისხებული ციციანოვი 30 ოქტომბერს მთიულთა და არაგველთადმი გაცემულ ბრძანებაში სწერდა: «10 დღეა, რაც მე აქ ვიმყოფები, სამჯერ გამოვგზავნე თქვენთან და მოვითხოვდი ყველა სოფლიდან ორი ნაცვალის და მათთან ერთად პატივსაცემი ხალხის (რომელთა გვარებიც დავასახელე გამოგზავნილ ბრძანებაში) დაუყოვნებლივ გამოგზავნას. დღემდე არაფერი არ არის; გიგზავნით ამ მოთხოვნას და გაფრთხილებთ, თუ ხვალ არ მოხვედით, მაშინ ნახავთ, რასაც გიზამთ»[2].

ოსთა მღელვარებაც ჩაქრობილ იქნა, მაგრამ თავადი ციციანოვი არ დასჯერდა ამას. 1804 წლის დამლევს თვითონ მოაწყო ოსეთის მთებში ექსპედიცია, რომლის მიზანი იყო რამდენიმე სოფლის დასჯა ურჩობისა და თვითნებობისათვის. 13 ნოემბერს ექსპედიციის რაზმი მიადგა სოფელ კროჯას. კროჟელები ცეცხლით შეხვდნენ რაზმს, მაგრამ ბოლოს დამარცხდნენ. კროჯაში რაზმი სამ დღეს დარჩა, დაანგრია კოშკები, რომლებიც ციციანოვის განცხადებით შეადგენდნენ ოსების მთელ სიმაგრეს, გადაწვა სოფელი. «არ შემიძლია აგიხსნათ, — მოახსენებდა ციციანოვი ხელმწიფეს, — რა ზიზღით მივმართე სისასტიკის ამ ხერხს». მიუხედავად ამისა, ზემო სოფლები მაინც განაგრძობდნენ ურჩობას, ისინი იმედს ამყარებდნენ თავიანთ მიუწვდომლობაზე ზამთრის პირობებში.

აჯანყების უშუალო წამომწყებნი ლევან ნაზლაიძე და შიო ბურდული, რომელთა ხელშიც «დიდმნიშვნელოვანი წერილები არის», დიდხანს იმალებოდნენ ჟამურში[3]. ციციანოვი კატეგორიულ წინადადებას აძლევდა ქსნის ერისთავს

1 АКАК. т. II, стр. 333, № 666.
2 Там же, стр. 334, № 668.
3 Там же, стр. 335, № 671.

მიხეილს, რომ დაუყოვნებლივ ხელთ ეგდო აღნიშნული პირები.

ციციანოვის ბრძანების შესასრულებლად შანშე ერისთავი ქამურს გაემგზავრა, ხოლო 29 ნოემბერს ქამურში მგზავრობის შესახებ შანშე მოახსენებდა: შევკრიბე ჯარი, გავემართე ქამურს იქ დამალული მთიელების შესაპყრობად. ბურდული, რომელსაც დეკანოზს უწოდებენ, გადავიდა ღუდას. ჩემს მიერ შეპყრობილმა მღვდელმა მამუკას შვილმა, რომელსაც თავკაცის სახელი აქვს მოხვეჭილი, დამიტოვა მძევალი, რომ სადაც არ იქნებოდა იპოვიდა და მოიყვანდა ბურდულს; სოფელი, სადაც ის იმალებოდა, და აგრეთვე მეორე, სადაც ბოროტმოქმედნი იმყოფებოდნენ, მთლად გადავწვი... დავწვი აგრეთვე ოსი ყაჩაღები, რომლებიც პატიმრობიდან გაქცეულიყვნენ»[1].

დარჩა მხოლოდ მთავარი დამნაშავეების დასჯა და ზომების მიღება «უწესრიგობის თავიდან ასაცილებლად მომავლისათვის».

1805 წლის თებერვლის დასაწყისს ციციანოვის ბრძანებით შეიქმნა საგამომძიებლო საიდუმლო კომისია, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა ტარასოვი, ხოლო წევრებად ხორჯევსკი და ნაგელი.

კომისიას ევალებოდა აჯანყების წამომწყებთა და მეთაურთა საქმეების გარჩევა და დამნაშავეთა გარკვეული კლასიფიკაცია, იმის დადგენა, თუ ვინ იყო სასამართლოში გადასაცემი და ვინ — მხოლოდ დასაპატიმრებელი.

ასეთი გამოძიება-დაკითხვა თავდაპირველად ჩატარდა შემდეგ პირთა მიმართ:

| | |
|---|---|
| 1. თავადი დიმიტრი ვახვახიშვილი<br>2. თავადი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი<br>3. თავადი გრიგოლ ვახვახიშვილი<br>4. თავადი ნინია ვაჩნაძე<br>5. თავადი ივანე ჯანდიერი<br>6. თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე. | **ფარნაოზთან ერთად დემურჩასალოხ შეიპყრეს.** |

[1] АКАК., т. II, стр. 335, № 673.

| | |
|---|---|
| 7. თავადი ლუარსაბ მაჩაბელი | თავისით გამოცხადდა. |
| 8. თავადი სოლომონ ამირეჯიბი | შეიპყრეს სოფელ ავლევში. |
| 9. თავადი სოლომონ დავითაშვილი | გამოგზავნა იმერეთის მეფემ. |
| 10. თავადი ვაჩნი ვაჩნაძე | თბილისში დაბრუნებისას შეიპყრეს სომხებმა. |
| 11. თავადი ივანე სულხანიშვილი | თვითონ გამოცხადდა. |
| 12. ბერი იოსტოს ანდრონიკაშვილი<br>13. აზნაური გრიგოლ ნათალიშვილი<br>14. აზნაური ზაალ კობიაშვილი<br>15. აზნაური იაკობ აუშტროვი<br>16. აზნაური სიმონ დუჩიძე<br>17. აზნაური ივანე დივანოვი<br>18. ზურაბ თავყელიშვილი | დააკავეს ფარნაოზთან ერთად. |
| 19. აზნაური შალვა ჟურული | მოიყვანა გიორგი ამილახვარმა. |
| 20. სიმონ ანდრეევი | შეიპყრო ელიზბარ ერისთავმა. |
| 21. აზნაური გრიგოლ ქარუმიძე<br>22. მღვდელი ბესარიონ ალექსეევი | თვითონ გამოცხადდნენ. |
| 23. სომეხი ალა ყორღანოვი | შეიპყრეს კაზაკებმა. |
| 24. ლეკი გამზა ხასანოვი | შეიპყრეს ქარელში. |
| 25. თათარი ჰუსეინ-შარიფი<br>26. თათარი ნურ-მაჰმედ ყურბანოვი<br>27. ქართველი იოსებ ჯანიაშვილი<br>28. ქართველი ლომია გულაშვილი<br>29. ქართველი ჟანა ბამაშვილი | შეიპყრეს. |
| 30. თათარი აბდულ ჰასან-ოღლი<br>31. ქართველი გოგია მაისურაძე<br>32. ქართველი გოგია გაბაშვილი<br>33. ქართველი იოსებ ცალქალამანიძე<br>34. თავადი ფარსადან თუმანოვი<br>35. აზნაური სარათა მამაცაშვილი<br>36. ქართველი პოტა პიჩპერიძე | შეიპყრეს ალექსანდრე ბატონიშვილის ჯგუფიდან. |

| | |
|---|---|
| 37. გოგია დავითაშვილი<br>38. აზნაური იაკობ ზოტიკაშვილი<br>39. მთიული ბერო გაბიდაური<br>40. მთიული კიპიო მირაბოვი | დაიჭირეს მთიულთა ჯგუფიდან. |
| 41. აზნაური სოლომონ დივანოვი<br>42. აზნაური ზაალ ახუცეროვი<br>43. სომეხი სტეფანე აბოვი<br>44. თათარი იბრაჰიმ ჯაფარ-ოღლი | დაატყვევეს ალექსანდრე ბატონიშვილის ჯგუფიდან. |
| 45. თათარი ახუნდი ტარივერდი-ყორჩიბაში | თვითონ გამოცხადდა. |
| 46. ქართველი გოგია სინაშვილი | შეიპყრეს ფარნაოზის ჯგუფიდან. |
| 47. ქართველი დიმიტრი დავიდოვი<br>48. ქართველი ბერი ფოცხვერიშვილი<br>49. ქართველი გრიგოლ თამაზაშვილი<br>50. გლახა ზურაბიშვილი<br>51. ქართველი გიორგი ხუცაიძე<br>52. ოსი ლევან თაპაევი<br>53. თაგაური დუდარ ახმეტოვი<br>54. თაგაური სოლო ფუხაევი<br>55. ოსი პეტრე კულუმბეკოვი<br>56. ოსი ივანე როჩახოვი<br>57. ოსი ბაგი მულდაროვი<br>58. ოსი ჯეჩი ბეკოევი<br>59. ოსი ჯალი კონოევი<br>60. ოსი ქეჯი კონოევი<br>61. ოსი ჩობი კობულოვი | დაატყვევეს ფარნაოზ ბატონიშვილთან ერთად. |
| 62. ქართველი თარიმან ბასთანაშვილი<br>63. თათარი ჰასან ალიევი<br>64. თათარი ათაქიში ალი-ოღლი<br>65. თათარი მაჰმად გუმეთოვი<br>66. თათარი ნურსი კაზავათოვი<br>67. თავადი ზაქარია ბებურიშვილი | დაიჭირეს მხოლოდ იმიტომ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ გამოგზავნილი ჯაშუშები ნახეს და არ გასცეს. |

68. თავადი სიმონ ბებურიშვილი } თვითონ გამოცხადდა.

69. თავადი გიორგი ორბელიანი
70. აზნაური იოსებ ზედგინიძე
71. აზნაური ფარანა ბაგრატოვი
72. თვითონ ფარნაოზ ბატონიშვილი
73. ქეთევან ბატონიშვილი [1].

} წარადგინა კომენდანტმა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აქ ჩამოთვლილთა ნაწილი, განსაკუთრებით კახელი თავადაზნაურობა, აჯანყებას გვიან მიემხრო და ფარნაოზს მიუვიდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ფარნაოზი კახეთს ჩავიდა, ე. ი. სექტემბრის შუა რიცხვებში, ალავერდობას გამართული თათბირის შემდეგ [2].

როგორც ამ სიიდან და სხვა საბუთებიდანაც ჩანს, 1804 წლის აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო სხვა მრავალთა შორის პოეტმა ალექსანდრე ჭავჭავაძემაც. იგი ერთ თავის ჩვენებაში, რომელიც დაწერილია რუსულად 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო პატიმრობის დროს, ფარნაოზთან გაქცევის თაობაზე შემდეგსა წერს:

«მივატოვე მშობლები და გავიქეცი... ეს იყო, მგონი, 1803 წელს [3]. ზოგიერთი გზააბნეული ახალგაზრდის ცუდი გავლენით მივემხრე ფარნაოზ ბატონიშვილს, რომელიც იმ დროს მთიულეთში იმყოფებოდა, არაგვის ხეობაში. მე მოწადინებული ვიყავი ბატონიშვილ ფარნაოზს გავყოლოდი სპარსეთში. მაგრამ ჩემს იღბალზე მეც დამიჭირეს და ბატონიშვილთან ერთად ჩამომიყვანეს თბილისში.

---

1 АКАК, т. II, стр. 336, № 675.

2 АКАК, т II, стр. 136, № 226.

3 პოეტი თარიღებში სცდება: იგი გადაასახლეს ტამბოვს 1805 წელს სამი წლის ვადით, იმპერატორ ალექსანდრეს 11 აპრილის რესკრიპტის ძალით. АКАК, т. II, стр. 1029, № 2035, 3-е приложение. ოქტომბერში თბილისიდან გადასახლებული ალექსანდრე ჭავჭავაძე კავკასიის ხაზიდან გაამგზავრეს 1805 წლის 30 ნოემბერს. АКАК, т. II, № 680, стр. 337.

ნეტარხსენებულმა ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრე პავლეს-ძემ ეს ჩემი საქციელი მიაწერა ჩემს ახალგაზრდობას და სასჯელი შემიმცირა ხანმოკლე გადასახლებით ქალაქ ტამბოვში...

მალე ტამბოვიდან გამიწვიეს პეტერბურგში. 1805 წელს შევედი პაჟთა კორპუსში; მე პირდაპირ მიმიღეს კამერ-პაჟად მამიჩემის ნამსახურობის საპატივსაცემოდ და ჩამრიცხეს სახელმწიფო ხარჯზე»[1].

საქმის წარმოება გაჭიანურდა, 1806 წელს პატიმართა საქმის გარჩევა ჯერ არ იყო დამთავრებული.

აჯანყებაში ბრალდებულთა საქმის დამთავრებას ხელი შეუწყო, სხვათა შორის, იმ ვითარებამ, რომელიც შეიქმნა მთავარმმართებელ ციციანოვის ბაქოსთან მოკვლის შემდეგ. მივიდა თუ არა ეს ამბავი რუსეთში, მაშინვე ამოძრავდა ქართლის მეფის იესეს ნაშიერი, რუსეთში ცნობილი სარდალი და შემდეგ 1812 წლის სამამულო ომის გმირი, გენერალი პეტრე ივანეს-ძე ბაგრატიონი, რომელსაც, ჩანს, სურვილი ჰქონია საქართველოში ციციანოვის შენაცვლებისა. იგი აქეთკენ ჰგზავნის თავის ძმას, ლეიბ-ჰუსართა პოლკის პორუჩიკს რომან ივანეს-ძეს და იმპერატორს სთხოვს დაავალოს მას საქართველოში ყოფნისას შეკრიბოს სხვადასხვა ცნობები[2]. თვით რომანი უფრო შეუნიღბავად სწერს გენ. ნესვეტაევს თავის მისიაზე: «მე დავალებული მაქვს გავიგო მათი (ქართველი თავადებისა და სხვა გამოჩენილი პირების) აზრი, აგრეთვე გამოვითხოვო დაღესტნიდან და იმერეთის მეფისაგან დეპუტატები და მათთან ერთად გავბრუნდე უმაღლეს კარზეო»[3]. პეტრე ბაგრატიონის წინადადებაზე იმპერატორმა სიტყვიერი თანხმობა განაცხადა[4] და რომანიც წამოვიდა სა-

---

1 ცენტრალური არქივი, შეთქმულების საქმე, რვეული 8, გვ. 1368.

2 АКАК, т. III, № 6, стр. 11.

3 Там же, 1-ое приложение.

4 АКАК, т. III, № 6, стр. 11: по предложению, князем П[етром] И[вановичем] сделанному, дозволено было его величеством словесным кн. Багратиону [Петру] отзывом на сие его [Романа] употребить".

ქართველოსკენ, გენერალ პეტრეს წერილებით დატვირთული. ერთი ამ წერილთაგანი, გამოგზავნილი 1806 წ. 30 აპრილის თარიღით ქართლის გავლენიანი თავადის — ოთარ ამილახვრისადმი (ის იყო ქართველ მეფეთა დროს სარდალი და გორის მოურავი) და ამჟამად უკვე გამოქვეყნებული, გვიმჟღავნებს პეტრე ბაგრატიონის არა მარტო ერთგულებას რუსეთის ტახტის მიმართ, არამედ მის გულისნადებსაც. აქ იგი სწერს ოთარს: «ი ქ ნ ე ბ ა მ ე ც მ ო ვ ი დ ე და თვითონ მე გაჩვენებთ საქმით ერთგულებასა და სიყვარულსაო» [1].

პეტრე ბაგრატიონის ეს და სხვა წერილები საქართველოში ადრესატ თავადებს რომანმა ჩამოუტანა იმ ხანებში, როცა მოკლული ციციანოვის ნაცვლად აქ სამხედრო საქმეებს უძღვებოდა გენერალი ნესვეტაევი, ხოლო სამოქალაქო საქმეებს განაგებდა პეტრე ლიტვინოვი, და ციციანოვის მონაცვლედ გრაფ გუდოვიჩის დანიშვნა (1806 წ. 2 ივნისს) ჯერ არ იყო ცნობილი, იქნებ გადაწყვეტილიც.

პეტრე ბაგრატიონის წერილებმა აქაურობა ააფორიაქეს: ამოძრავდა ხელისუფლებაც და ქართველი თავადობაც. უკანასკნელი ახლაც, როგორც საუკუნის დასაწყისში, დასებად დაიყო. დასებს შორის ურთიერთობამ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. ამას გვიჩვენებს გენ. ნესვეტაევის პატაკი გენ. გლაზენაპისადმი 16 ივნისის თარიღით. აქ იგი სწერს: «შუღლი და უსიამოვნება ქართველ თავადთა ორ პარტიას შორის უაღრესად გამწვავდა და იმდენად, რომ ორჯერ კინაღამ მართლაც არ მოხდა მათ შორის მკვლელობა და სისხლისღვრა, მერე ისეთ დროს, როცა თბილისში თავი მოიყარეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან თავადებმა და აზნაურებმა, სათავადაზნაურო არჩევნების ვადის მოახლოვების გამო; არჩევნები ახლანდელ ვითარებაში სხვა დროისათვის გადაიდო. თავადაზნაურობამ შეადგინა პარტიები, რასაც შეიძლება მოჰყოლოდა მეტად არასასიამოვნო შედეგებიო» [2].

---

1 დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, პეტრე ბაგრატიონის ერთი უცნობი წერილი (საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. V, № 7, 1944, გვ. 744).

2 АКАК. т. III, № 6, стр. 12, приложение 4-ое.

«აქტებში» დაბეჭდილი საბუთების მეოხებით ჩვენ საშუალება გვაქვს გავარკვიოთ ორივე პარტიის პოზიცია. ერთი, ასე ვთქვათ, რუსული პარტია მთლად მორჩილია ხელისუფლებისა, მას არავითარი თხოვნა არა აქვს წარსადგენი იმპერატორთან და იგი დასჯერდება ყოველივე იმას, რასაც იმპერატორი თავისი გამოუთქმელი მართლმსაჯულებით ინებებს [1]. მეორე პარტია კი, რომელსაც შეიძლება ანტირეჟიმული ვუწოდოთ, პირველზე თამამია, ვერ ურიგდება საქართველოში შექმნილ რეჟიმს და მოითხოვს არსებულის გადახალისებას და მოსპობასაც კი. მაგალითად, იგი მოითხოვს სასამართლოს წარმოებას ქართულ ენაზე, კაპიტან-ისპრავნიკთა ინსტიტუტის გაუქმებას, მოურაობის სამუდამოდ დატოვებას და სხვ. მაგრამ მოთხოვნათა შორის ჩვენთვის თემატიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის, რომ ეს დასი მოითხოვს «იმ ხალხის განთავისუფლებას, ვინც უცოდინარობით მოტყუვდა და პატიმრობაში იმყოფება» [2]. სურათის სისრულისათვის უნდა დავძინოთ, რომ ეს თავისი სურვილები თუ მოთხოვნილებანი ამ მეორე პარტიამ წერილობით აცნობა პეტრე ბაგრატიონს მისივე ძმის საშუალებით, მაგრამ ამ სურვილ-მოთხოვნილებათ ადგილობრივი ხელისუფლება ნესვეტაევისა და ლიტვინოვის სახით გაეცნო დანიშნულებისამებრ გაგზავნა-ჩაბარებამდე [3]. ჩანს, კერძოდ ნესვეტაევმა შესაწყნარებლად დაინახა თავადაზნაურობის მოთხოვნა პატიმართა განთავისუფლებისა და ამიტომაც იყო, რომ ჯერ კიდევ 4 ივნისის უწინარეს გენერალ-ლეიტენანტ გლაზენაპის მეშვეობით ითხოვა საიდუმლო საგამომძიებლო კომისიის გაუქმება და 1804 წლის საქმეზე დაპატიმრებულთა ბედის საბოლოოდ გადაწყვეტა [4].

---

1 АКАК, т. III, № 6, стр. 11, прилож. 3-ье.
2 АКАК, т. III, № 6, стр 11, прилож. 3-ье.
3 АКАК, т. III. № 6, прилож. 5-ое, стр. 12.
4 АКАК, т. III, № 3, стр. 8—9; № 4, стр. 10.

თავადაზნაურობის მოთხოვნამ ერთი მხრით, და გუდოვიჩის მთავარმმართებლად დანიშვნამ მეორე მხრით, მხოლოდ დააჩქარა საქმის დაბოლოება.

1806 წელს ლიტვინოვმა გამოთქვა აზრი, რომ პატიმრები თავიანთ დანაშაულის მეტნაკლებობის მიხედვით გაეყოთ 3 ჯგუფად. მისი აზრით, პირველ ჯგუფში მოექცევიან: აჯანყების დამწყებნი და ისინი, ვისაც მინიჭებული აქვს ხარისხები და ვინც ირიცხებოდა რუსეთის ჯარსა ან მთავრობაში, ამავე დროს კი ფარულად დაკავშირებული იყო მტერთან და ცდილობდა ღალატით ჩაეგდო მტრისათვის ხელთ ჯარი ან ქალაქები.

მეორეს ეკუთვნიან ისინი, ვინც ფიცი დასდო ხელმწიფისადმი ერთგულებაზე, სინამდვილეში ჩაება აჯანყებაში, იმყოფებოდა ფარნაოზ ბატონიშვილთან, რამდენიმე ხნის განმავლობაში მის მხლებელთა რიცხვს ეკუთვნოდა.

მესამე და უკანასკნელ ჯგუფს უნდა მიეკუთვნონ ისინი, ვისაც არ დაუდვიაა ფიცი ერთგულებაზე მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისათვის და ვინც წაჰყვა ბატონიშვილებს რუსეთის ხელისუფლების შემოსვლამდე ან მის დროს, მაგრამ რუსებისათვის საზიანო საქმეებში შემჩნეული არ ყოფილა, მხოლოდ შეპყრობილ იქნა ბატონიშვილებთან ერთად ან თვითონ გამოცხადდა [1].

საიდუმლო საგამომძიებლო კომისიამ, რომელსაც ბოლო ხანებში ხელმძღვანელობდა საქართველოს მმართველი, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი პეტრე მაქსიმეს-ძე ლიტვინოვი, მთიანეთის აჯანყებაში მეტნაკლები მონაწილეობისათვის პასუხისგებაში მიცემულნი სამ კატეგორიად დაჰყო.

პირველ კატეგორიას კომისიამ მიაკუთვნა სულ ხუთი კაცი. ესენი იყვნენ: კოლეჟსკი ასესორი თავ. დიმიტრი ვახვახიშვილი, თუშთ მოურავის შვილი თავ. დიმიტრი ჩოლოყაშვილი, თავ. სიმონ ქობულაშვილი, ოფიციალურ საბუთებში «ფაბულოვად» მოხსენებული, ბერი იოსტოს ანდრონიკაშვილი და აზნაური ზაალ კობიაშვილი.

---

1 АКАК, т. III, стр. 103—104, № 186.

თითოეული მათგანის ბრალი საიდუმლო საგამომძიებლო კომისიას შეჯამებულად მოცემული აქვს ცალკე ნუსხა-უწყისში, რომელიც თავის დროზე დაიბეჭდა კიდეც კავკასიის საარქეოგრაფიო კომისიის აქტებში[1], ხოლო ქართულად მოგვითხრო ამ მოძრაობის მკვლევარმა ალექსანდრე ფრონელმა[2]. ამიტომ პირველი კატეგორიის დამნაშავეთა ბრალეულობის აღნუსხვას, არქივში დაცულს[3], აქ ცალკე არ ვურთავთ.

მეორე კატეგორიას საიდუმლო კომისიამ მიაკუთვნა სულ 20 კაცი და განსაკუთრებულ ნუსხა-უწყისში მოიხსენია თითოეული მათგანის ბრალი და დანაშაული. რადგან ეს საბუთი ჯერ არ გამოქვეყნებულა, ამავე დროს კი მას უდავოდ ისტორიული ინტერესი და მნიშვნელობა აქვს, ჩვენ საჭიროდ დავინახეთ მთლიანად მოგვეცა იგი აქვე ცალკე, პირველი დანართის სახით[4].

ეს უწყისი, როგორც მას საიდუმლო საგამომძიებლო კომისია უწოდებს, შედგენილია 1806 წლის 30 ნოემბერს და ფაქტიურად წარმოადგენს 1804 წლის აჯანყების იმ მონაწილეთა სიას, ვინც «საგამომძიებლო კომისიამ *ხელწერილქვეშ საიმედო თავდებობით* გაათავისუფლა მოთხოვნამდე».

საარქივო საქმეში დაცული ერთ-ერთი საბუთიდან ჩანს, რომ ამ კატეგორიის დამნაშავენი საიდუმლო საგამომძიებლო კომისიას ადრევე, 1806 წ. 30 ნოემბრის უწინარეს, ე. ი. ზემოხსენებული სიის შედგენამდე, გაუთავისუფლებია. ამ საბუთში, 1806 წ. 11 *აგვისტოს თარიღით* და 54 №-ით, კომისიის ხელმძღვანელი ლიტვინოვი კომისიის გადაწყვეტილებაზე გენერალ-მაიორ პეტრე დანიელის-ძე ნესვეტაევს აცნობებს შემდეგს:

«კომისიამ განიხილა *ამონიშნული* მასალა იმ დაკითხვებიდან, რომელნიც გადმოგზავნა საქართველოს ყოფილმა

---

1 АКАК, т. III, стр. 104—105.
2 ა. ფრონელი, მთიულეთის აჯანყება, 1896, გვ. 347—349.
3 ф. 218, дело № 105, л. л. 648—650.
4 წინამდებარე შრომის გვ. 149—162.

მთავარმართებელმა განსვენებულმა თავადმა ციციანოვმა და აგრეთვე თვით კომისიამ ჩამოართვა სხვადასხვა წოდების პირთ წარსულ 1804 წელს საქართველოში მომხდარი ამბოხების გამო, და გადაწყვიტა: ამ ამონიშნული მასალების მიხედვით შედგენილ იქნას იმ პირთა სიები, ვინც პატიმრობაში იმყოფება სინამდვილეში და ამ სიების მიხედვით ერთნი პატიმრობიდან გაშვებულ იქნან თავ-თავიანთ სახლებში ბილეთების მიცემით[1], მეორენი კი საიმედო თავდებობის ქვეშ იქნან განთავისუფლებულნი; ხოლო რადგან ამათ რიცხვში იმყოფება მისი უგანათლებულესობაც, ბატონიშვილი ქეთევანი, ამიტომ, მოგმართავთ რა ამით თქვენს აღმატებულებას, გთხოვთ უბრძანოთ ვისაც ჯერ არს მოიხსნას ყარაული მისი უგანათლებულესობის ქეთევან ბატონიშვილის სახლში, სადაც იგი იმყოფება პატიმრად და რომელსაც ეს ყარაული ჰყავდა მიჩენილი»-ო[2].

ეს საბუთი გვაძლევს ნებას დავასკვნათ, რომ მეორე კატეგორიის დამნაშავენი, რომელთა რიცხვს ეკუთვნოდა ერეკლე მეფის ასული და ივანე მუხრან-ბატონის ქვრივი ქეთევანი, თავდებობის ქვეშ, სანამ მათი ბედი იმპერატორის მიერ ავად თუ კარგად გადაწყდებოდა, გაუთავისუფლებიათ 1806 წ. აგვისტოში, სიის შედგენა-წარდგენამდე, სია კი დათარიღებულია, როგორც აღვნიშნეთ, 1806 წ. 30 ნოემბრით.

ეს სია უდავოდ ყურადსაღებ დოკუმენტს წარმოადგენს, ვინაიდან აქ, თითოეული ბრალდებულის დანაშაულის აღნუსხვისას, შიგადაშიგ მოცემულია მნიშვნელოვანი და საინტერესო წვრილმანები. მაგალითად ავიღოთ თუნდაც ზემოხსენებული ქეთევან ბატონიშვილი, რომელსაც სპარსეთიდან მოსვლია თავისი ძმის ალექსანდრე ბატონიშვილისაგან წერილები; იგი ამათ გამოსართმევად წასულა ავადმყოფ იობ ზედგინიძესთან (საბუთში მოხსენებულია «ზენკინიძედ»), ვი-

---

1 „Сочинив из тех выметок найденным налицо людям кто содержится под караулом списки, и по оным одних отпустить в домы их с билетами из под оного...“

2 Ф. 2/8, д. № 105, л. 640.

თომ ავადმყოფის სანახავად; ირკვევა, რომ არც გიორგი ორბელიანს წარუდგენია მთავარმართებელ ციციანოვისათვის გამოგზავნილი წერილები და სხვა.

მესამე და უკანასკნელ კატეგორიას საიდუმლო საგამომძიებლო კომისიამ მიაკუთვნა ნაკლებ დამნაშავენი. საბედნიეროდ, მოიპოვება ამათი სიაც, რომელიც, ისევე როგორც მეორე კატეგორიის დამნაშავეთა სია, დღემდე არ ყოფილა გამოქვეყნებული. ამ სიის აქვე მოტანა, მეორე დანართის სახით (გვ. 163 — 171), ჩვენ მიზანშეწონილად დავინახეთ, რადგან არც იგია ისტორიულ ღირებულებას მოკლებული, მიუხედავად არა ერთი ნაკლისა, რაც მას ახლავს.

პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ თუმცა ეს სია საგამომძიებლო კომისიის მიერ არის ხელმოწერილი და, მაშასადამე, მას სიზუსტე უნდა ახასიათებდეს, ნაკლები პასუხისმგებლობით არის შედგენილი. ეს უპასუხისმგებლობა კი ნიშნობლივად გვეჩვენება საქართველოში ახლად დამყარებული წყობილებისათვის, რაც უფრო ცხადი შეიქნება, თუ ზერელე ანალიზს მაინც გავუკეთებთ ამ ოფიციალურ დოკუმენტს, რომელსაც ხელს აწერენ პეტრე ლიტვინოვი, კომისიის წევრი, კოლეჟსკი სოვეტნიკი ივანე ნაგელი და მდივანი ემელიანე ოლენიჩი.

ამ საბუთის მიხედვით მესამე კატეგორიაში, ე. ი. ვინც პატიმრობიდან უნდა ყოფილიყო განთავისუფლებული ანუ, საბუთის ენით რომ ვილაპარაკოთ, სახლებში უნდა ყოფილიყო გაშვებული, საიდუმლო საგამომძიებლო კომისიას მოუქცევია თითქოს 262 კაცი, როგორც საბუთის ნუმერაცია გვიჩვენებს. სინამდვილეში კი ეს ციფრი არაა ზუსტი, სწორი.

მაგალითად, 73 №-ის ქვეშ ვკითხულობთ: „Все Эристовы вместе", 109—110 №-ად წერია: „Князья Поливандовы по 13, из них одного помнит по имени Элиазар"[1]; 132

---

1 თავად პოლივანდოვებს შორის ელიაზარის მოხსენება საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ აქ დამახინჯებულად მოცემულია ფალავანდიშვილების გვარი, ელიაზარ ფალავანდიშვილი კი ცნობილი პირია: ის იყო საქართველოს მეფის გიორგი XII-ის ელჩი რუსეთის საიმპერატორო კარზე.

№-ში მოქცეული არიან „Князья Херхеулидзевы“; ერთი № (173) აქვს მიჩენილი მაჩაბლებს: „Мачабеловы все“, უფრო საგულისხმო ჩანს 231 ნომერი, სადაც ვკითხულობთ: „Мустафа ага,... и п е 4 0 ч е л о в е к и з п е р в е й ш и х...“ და ჩამოთვლილია კიდევ ოცამდე კაცი, ან კიდევ 186 ნომერი: „Иеромонах Иван Николос и н е с к о л ь к о с л у г“.

ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ერთი №-ის ქვეშ ხშირად ორი კაცია ერთად მოქცეული (№№ 32, 36, 37, 40, 41, 48, 53, 58, 85, 100, 101, 102, 127, 141, 158, 160, 170, 174, 188, 193, 236), ზოგჯერ — სამიც (№№ 51, 96, 116, 168, 169, 192, 194).

თქმულიდან უკვე ცხადი და უეჭველი ჩანს, რომ სია კომისიას არა თუ ზუსტად, არამედ არც კეთილსინდისიერად შეუდგენია.

მაგრამ განვაგრძოთ ანალიზი. სიაში გვხვდება უსახელო პატიმრებიც. მაგალითად: „Монах князя Эристова“ (№ 74) „Князя Георгия Эристова человек“ (№ 75); „Дворяне Аказовы два брата“ (№ 193); „Князь Семен Бебурова слуга“ (№ 203); „Елизбара Эристова человек“ (№ 211); „Монах Моцгар Моцгаров“ (№ 216)[1]; „Тифлиский жители“ (№ 224) და, ბოლოს, „По тем же пунктам“ (№ 104).

მიუხედავად ამგვარი ნაკლოვანებისა, გვინდოდა მაინც დაგვეზუსტებინა მესამე კატეგორიის პატიმართა რიცხვი. მაგრამ ამაზე ხელი ავიღეთ, რადგან სიაში გამეორებანიც ვპოვეთ, ე. ი. ისეთი შემთხვევები, როცა ერთი და იგივე პირი რამდენჯერმეა სიაში შეტანილი.

აი ამის ნიმუშებიც: 10 №-ის ქვეშ მოხსენებული „Дворянин Дмитрий Мгалобела“ შეგვხვდა 171 №-ის ქვეშაც; 192 №-ის ქვეშ ერთად მოხსენებული სამი ორბელიანი — თამაზ, ზაალ და ვახტანგი — განმეორებით არიან აღნიშნული გვარის მოუხსენებლივ 194 №-ის ქვეშ, მაგრამ რომ ესენი ისევ ორბელიანები არიან, ირკვევა მომდევნო 195 №-იდან,

---

1 უეჭველია, აქ იგულისხმება რომელიმე ბერი, „მოძღვართ-მოძღვრის“ პატივით მოსილი.

სადაც, როგორც წინა ნომრის გაგრძელებას, ვკითხულობთ: „И Давид Орбелиановы“. ვფიქრობთ, იგივე თამაზ ორბელიანი უნდა იყოს მოხსენებული მესამეჯერ, 39 № ის ქვეშ ასევე, ჩვენი აზრით, სამჯერაა მოხსენებული ერთი და იგივე პირი —სიმონ როსების-ძე ჯანდიერი [1], რომელიც აღნიშნულია ამგვარად: „Князь Семен Расебов сын Жандиеров“ (№11), „Князь Семен Разсепов“ (№111) და „Князь Семен Жандиеров“ (№ 164). ორჯერ არის მოხსენებული ედიშერ ამილახვარი, ერთხელ—ცალკე (№ 16 ქვეშ), მეორედ—მამა ერასტისთან ერთად (40 №-ის ქვეშ). ასევე ორჯერ არის სიაში აღნიშნული ფარნაოზ ბატონიშვილის ცოლისძმა, ალავერდის არქიმანდრიტი ბესარიონ ერისთავი, აქტებით ცნობილი: „Виссарион архимандрит Алавердского монастыря“ (№ 42) და „Алавердского монастыря Архимандрит Эристов“ (№ 70), ერთხელ გვარის აღუნიშნავად, მეორედ კი სახელის მოუხსენებლივ. მსგავსადვე ორჯერ შეგვხვდა კიდევ ერთი ცნობილი პიროვნება — სოლომონ ბაგრატიონ-დავითაშვილი, შანშე მილახვრის-ძე: იგი იხსენიება საბუთში ჯერ როგორც „Князь Соломон Багратион“ (№ 43), მერე კი როგორც „Князь Соломон Шаншиев“ (№ 142). ცხადია, რაკი შანშიაშვილები არასდროს არ ყოფილან თავადები, აქ თავადად მოხსენებული სოლომონ შანშიევი იგივე სოლომონ ბაგრატიონია, რომლის მამა მართლაც შანშე იყო და მილახვრის პატივით მოსილი [2].

ამ სოლომონ ბაგრატიონ-დავითაშვილთან დაკავშირებით საგულისხმოა და უეჭველად აღსანიშნავი ორი გარემოება, რაც უფრო აძლიერებს ზემორე სიის ნაკლებ კეთილსინდისიერებას და, შეიძლება ითქვას, უპასუხისმგებლობასაც. საქმე ისაა, რომ ეს პიროვნება, სოლომონ ბაგრატიონი, იხსე-

---

1 ეს პიროვნება მერე, 1812 წელს, კახეთის აჯანყებაშიაც მონაწილეობდა და ამის გამო იყო კიდეც რუსეთში გადასახლებული. ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი მოთხრობა, თამ. ლომოურის რედაქციით, 1940, გვ. 134, § 29

2 ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ციტირ. შრომა, გვ. 88, § 58.

ნიება მეორე კატეგორიის დამნაშავეთა სიაშიც 4 №-ის ქვეშ შემდეგნაირად: „Князь Соломон Давыдов". ცხადია, რაკი ვიცით, რომ სოლომონი გვარად იყო ბაგრატიონ-დავითაშვილი და შანშეს-ძე, რუს მოხელეებს თავისუფლად შეეძლოთ იგი მოეხსენებინათ ბაგრატიონადაც, როგორც ვნახეთ ზემორე სიის № 43-ში, შანშიევადაც, როგორც შეგვხვდა იმავე სიის 142 №-ში, და დავიდოვადაც, ე. ი. დავითაშვილადაც, როგორც აღნიშნულია მეორე კატეგორიის სიაში. ასე რომ არავითარი ეჭვი არ არსებობს იმისა, რომ აქ სამგვარად მოხსენებული თავადი სოლომონი ერთი და იგივე პირია. მაგრამ რატომ მოხვდა მეორე კატეგორიის პიროვნება მესამე კატეგორიაშიც? უეჭველია, მოხელის დაუდევრობით, უპასუხისმგებლობით. ასე რომ, გამოდის, თითქოს ეს პიროვნება თავდებობითაც ყოფილა განთავისუფლებული და ყოველგვარი თავდებობის გარეშეც შინ გაშვებული ერთსა და იმავე დროს ერთი და იმავე დანაშაულისათვის.

არ შეიძლება დუმილით გვერდი ავუაროთ მეორე გარემოებასაც, რომელსაც მოგვითხრობს ბაგრატ ბატონიშვილი ამ პიროვნების შესახებ: 1804 წ. რუსებს, ე. ი. ახალ მთავრობას, შეუპყრიათ 30 ქართველი, მათ შორის «დავითისშვილი თავადი სოლომონ, შანშე მილახვრის-ძე». ამან ლურსმნით გათხარა კედელი, გამოაპარა ყველა პატიმარი და ყველანი სპარსეთს გაიქცნენ აპრილის 15-სო [1]. ასე რომ, თუ ბაგრატ ბატონიშვილის თხრობას არ ჩავუკვირდებით, ისე გამოდის, რომ სოლომონ დავითაშვილი ადრევე გაქცეულა ციხიდან და, მაშასადამე, მას არც თავდებობა უნდოდა და არც უთავდებოდ გაშვება ესაჭიროებოდა. მაგრამ თუ ყურადღებას გავამახვილებთ იმაზე, რომ მთიანეთის აჯანყება იწყება მხოლოდ 1804 წ. მ ა ი ს შ ი და მარცხდება ო ქ ტ ო მ ბ ე რ შ ი, ეს გაქცევა კი ნარიყალას ციხიდან მოხდა ა პ რ ი ლ ი ს 15-ს, გამოდის, რომ ბაგრატ ბატონიშვილი სულ სხვა ამბავს მოგვითხრობს, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს მთიანეთის აჯანყებასთან, რომ ამ მოძრაობის ლიკვიდაციის შედეგად სოლო-

---

1 ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ციტირ. შრომა, გვ. 88, § 58.

მონ ბაგრატიონ-დავითაშვილი, შანშეს-ძე, კვლავ შეუპყრიათ და იგი გაუთავისუფლებიათ სხვა პატიმრებთან ერთად 1806 წლის აგვისტოში, ჩვენი აზრით, თავდებობის ქვეშ, როგორც მეორე კატეგორიის დამნაშავე; ხოლო თუ ის მესამე კატეგორიის დამნაშავეთა სიაშიც მოჰყვა, ეს, ვიმეორებთ, შეიძლება აიხსნას სიის შემდგენელთა დაუდევრობა-უპასუხისმგებლობით, რაც, ვფიქრობთ, ისედაც საკმაოდ არის ნათელყოფილი ჩვენ მიერ.

ორიოდე სიტყვით კვლავ მივუბრუნდებით მესამე კატეგორიის დამნაშავეთა სიას, რომ მისი შეფასება მთლიანი იყოს.

ჯერ შევჩერდებით ამ საბუთის მართლწერაზე, რომელიც რუსული გრამატიკული ნორმების მხრივაც მოიკოჭლებს. როგორც ბუნებრივად მოსალოდნელიც იყო, რუსი მოხელეები ადვილად ამახინჯებენ მათთვის უცნობს აქაურ გვარებსა და სახელებს, რაც ზოგიერთი პიროვნების დადგენას აძნელებს და ზოგჯერ შეუძლებლადაც ხდის. ასეთ დამახინჯებათა საილუსტრაციოდ ორიოდე მაგალითს მოვიტანთ: დღესაც მთაში ცნობილი გვარი ნადიბაიძე დოკუმენტში აღნუსხულია ცალ-ცალკე, თითქოს სახელი და გვარი იყოს:—Назы Баидзе (№ 18); სახელი „შალვა" გაკეთებულია „შარვა"-დ (№ 27); გვარი „წიკლაური" გადმოცემულია Цыклаулы (№ 135); „ქალაურის მოურავი"—„Караульской моурав" (№ 80), „გადილა"—„Ходила" (№ 130), აზნაური ჯორაშვილი—Дворянин Джура (№ 123), „ჩოხელი"—„Хочили" (№ 141); მანაველი დუჩიძე მონათლულია „Тучидзе"-დ (№ 181), ქეზელი „Казили"-ად (№№ 214 243), სახელი „ასისთავი"—„И систав"-ად (№ 201) და მრავალი სხვა.

მაგრამ, როგორც ზემოთაც ვთქვით, მიუხედავად არა ერთი ნაკლოვანებისა, ეს დოკუმენტი მაინც ძვირფასია. თუ აქამდე აქტებისა და ალ. ფრონელის წყალობით [1] ჩვენ ვი-

---

1 АКАК, т. II. стр. 336; ა ლ. ფ რ ო ნ ე ლ ი, მთიულეთის აჯანყება, თბილისი, 1896, გვ. 338-340.

ცნობდით ამ მასობრივი მოძრაობის მონაწილეთაგან სულ 70-სა თუ მეტ კაცს, ამიერიდან ჩვენთვის ცნობილი ხდება, სულ ცოტა, 300 კაცი მაინც და ამათ შორის არის არა ერთი განთქმული პიროვნება. ვიტყობთ იმასაც, რომ ცარისტულ რუსეთს ორ წლამდე ჰყოლია ციხეში გამომწყვდეული ყველა წ ო დ ე ბ ი ს ა დ ა ე რ ო ვ ნ ე ბ ი ს ხალხი: ქართველებს გარდა, აგრეთვე ოსები, თათრები, სომხები. ამ თვალსაზრისით ორივე სია, რომლებიც აქ დანართის სახით წარმოვადგინეთ, ძვირფასი დოკუმენტია ჩვენი საზოგადოებრიობის ისტორიისათვის.

